

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახლში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევი

მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი

რედაქტორები:
ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალის წინა ნომრების შეძენა
შეგიძლიათ რედაქციაში

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თვითმ-
მართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტე-
ტის (მერი ბატონი **პლატონ კალმახელიძე**)
და თვითმმართველი თემი თელავის მუნიცი-
პალიტეტის (გამგებელი ბატონი **ალექსანდ-
რე შათირიშვილი**) მხარდაჭერით.



მარტი, ივნისი, სექტემბერი, დეკემბერი №3 (34), 2017



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი



შინაარსი

საქართველოს მწერალთა კავშირის
დაარსების 100 წლისთავისათვის

3. თელავი — ძლიერი სამწერლო და
ლიტერატურული ბასტიონი

„ზეცა — ვით მინა, მინა — ვით ზეცა,
იქნება ჩემი აკლამის კარი...“

6. ბენო კალანდია. საგალობელი უფლისთვის.
ლექსები

დაუძინებელი სახელები

8. იროდიონ რაინაული. გოდება შოთა
რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევა
თამარ მეფისადმი. პოემა

მსატვრული ლიტერატურა

10. ზარნა რაინა. კატრენები

29. რეზო აღამია. მომაკვდავი ცხენი.
მოთხრობა

32. აპაკი ბიძინაშვილი. ლექსები

34. ივანე ქაშიკაშვილი. ლექსები

36. მარიამ ქაშუკაშვილი. ორი მოთხრობა

38. ეთერ არჯვანიძე-ზუბაშვილი. ორი
მინიატურა

39. ოთარ რურუა. ლექსები

40. ქეთევან ათუაშვილი. ლექსები

თარგმანი

41. ალექსაი რიასკინი. ალუბლები. მოთხრობა

წერილები

44. ზაალ ზოტკოველი. ლიტერატურული
წერილები

52. ანზორ ჯაფარიძე. იყალთოს ცაო,
ლურჯთვალავ

54. მარინა მამალაშვილი. ბრძოლა
„ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ

სასკოლო ცხოვრებიდან

57. ნუნუ ქაშუკაშვილი. სამაგალითო სასკოლო
მუზეუმი

საიუბილეო საღამო

60. ნანა ჭიჭინაძე. „და პაპის ხელებს დავყურებ
კრძალვით, ვით საქართველოს პირვანდელ
რუკას“

ახალი ნიშნები

62. მახსიარების სპირიტიდან

გარეკანის პირველ გვერდზე
ნათელა (ნათია) შალამბერიძის ნახატი

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“



საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი

ლიჯლი

შო მღვიმელის პრემია

მიენიჭა

მწერალ ნუნუ ძამუკაშვილს ქართულ საბავშვო მწერლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

მაცვალა გონაშვილი

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

2017 წელი



მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ და ჟურნალ „ოლეს“ რედაქცია, მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, ნუნუ ძამუკაშვილს ულოცავს ამ დიდ წარმატებას — შო მღვიმელის პრემიის მინიჭებას და უსურვებს შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.



საქართველოს მწიგნობართა კავშირის დაარსების 100 წლისთავისათვის

2017 წლის 20 ივნისს, რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში, საქართველოს მწიგნობართა კავშირის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

გაგაცნობთ **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია-II-ის** მიმართვას ქართველი მწიგნობრებისადმი.

თქვენ ბრძანდებით ქართული სიტყვის მსახურნი და ამდენად, დიდი მისია გაკისრიათ, რათა ხელი შეუწყოთ ქართული აზროვნებისა და ცნობიერების დაცვას.

დღეს, როდესაც საქართველომ თავისი ადგილი მსოფლიო მასშტაბით უნდა მოიპოვოს, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა დონეზე იქნება წარმოდგენილი ქართული მწიგნობრობა, როგორ შეძლებს იგი, ერთის მხრივ, შეინარჩუნოს და ააღორძინოს ეროვნული ფასეულობანი და, მეორეს მხრივ, პასუხი გასცეს დროის მოთხოვნებს.

მიუხედავად სერიოზული პრობლემებისა, მე მჯერა ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი დღის, მჯერა ჩვენი კულტურის, ჩვენი მწიგნობრობის დიდი მომავლის.

ღმერთმა დაგლოცოთ და ერთგულად გამსახუროთ უფალს და სამშობლოს.

ქართული მწიგნობრობისა და კულტურის ცნობილ წარმომადგენლებთან ერთად, სადამოუკუნო სიტყვით გამოვიდა მწიგნობართა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე ფარნა რაინა.

თელავი – ქლიარი სამწიგნობრო და ლიტერატურული ბასტიონი

თელავს მდიდარი ლიტერატურული და საგანმანათლებლო-მნიგნობრობის ტრადიციები აქვს. აქ მოღვაწეობდნენ მეფე-პოეტები: არჩილი, დავითი და თეიმურაზ მეორე. აქვე უნდა მოვიხსენიოთ თელაველი მნიგნობრების: თურქესტანიშვილების, თუმანიშვილების, ქობულაშვილების, ხელაშვილების, ონიკაშვილებისა და სხვათა სამწიგნობრო-კალიგრაფიული ღვაწლიც.

1782 წლის 28 მაისს თელავში გაიხსნა სასულიერო სემინარია. სემინარიელებს უნდა სცოდნოდათ „ურთიერთობისადმი ჰაზრნი სტიხით იამბიკურად.“

ხსენებულ სასწავლებელში, ერთი წლის მოღვაწეობის მანძილზე გაიოზ რექტორმა ყველა პირობა შექმნა ლიტერატურულ-მნიგნობრობის საქმიანობის ააღორძინებისათვის.

იმ ხანად, ქართულ მწიგნობრობასა და კალიგრაფიულ საქმიანობაში თელავის სემინარიის სტილი დამკვიდრდა.

1790 წლის 21 სექტემბერს, ერეკლე მეორის მიერ გაცემული სიგელით თელავის სემინარიის რექტორად დავით ალექსი-მესხიშვილი დაინიშნა, რომელიც თელავში ლიტერატურულ, სამწიგნობრო-საგანმანათლებლო ცხოვრებას დიდხანს მესვეურებდა. სწორედ, მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველოში პირველი ლიტერატურული წრე.

შემორჩენილია ცნობა XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურაში მოღვაწე მწიგნობარ იოსებ თელაველზე, რომელსაც დაუნერია თხოვრება: „ნენსი მეფეთა აღწერილობისანი.“

მრავალი ქართული ხელნაწერი წიგნის ბედი დაკავშირებულია თელავთან.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში თელავში მკვიდრდება საოჯახო, ლიტერატურული შეკრება-საღამოები, რომლებიც იმართებოდა: ჯორჯაძეების, ანდრონიკაშვილების, ხელაშვილების, მთვარელიშვილებისა და სხვათა ოჯახებში.

თელავში ცხოვრობდნენ და ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდნენ: რაფიელ ერისთავი, ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძისა, გიორგი ანდრონიკაშვილი და სხვები.

თელავის ლიტერატურულ ცხოვრებასთან ახლოს იყვნენ: ილია, აკაკი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა.

ცნობილია თელავში გამართული შეხვედრები: ილია ჭავჭავაძესთან – 1893 წელს, აკაკი წერეთელთან – 1882, 1897, 1898 და 1911 წლებში, ალექსანდრე ყაზბეგის მონაწილეობა თელავის თეატრალურ ცხოვრებაში, ვაჟა-ფშაველას სწავლა თელავის სასულიერო სემინარიაში და მისი ურთიერთობა ადგილობრივ ლიტერატურულ ძალებთან.

თელავის ქალაქური ყოფისა და პოეზიის ტრადიციები გააგრძელეს XIX საუკუნეში: იოსებ დავითაშვილმა, ვასილ თუმანიშვილმა, ალექსანდრე შიუკაშვილმა და სხვებმა, ხოლო XX საუკუნე გააგრძელეს: შაქრო გაუარაშვილმა, („ტახტიგორელი“) და გ. დამუკაშვილმა.

თელავს ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ეპიზოდებით უკავშირდებოდნენ: ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ ნონეშვილი, მუხრან მაჭავარიანი, არჩილ სულაკაური, ლადო მრელაშვილი და სხვები.

თელავის ლიტერატურულ ცხოვრებაში თავისი კვალი დატოვეს: სოლომონ გოშაძემ, დავით თურდოსპირელმა, ნიკო შიუკაშვილმა, ნინო გოგოლაძემ, ივანე პაატაშვილმა, ნიკო ხატისკაცმა და სხვა.

აი, ამ, ლიტერატურულ-სამწიგნობრო ფონზე, თელავი დიდი ისტორიული მოვლენის მოწმე გახდა, – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს მწიგნობართა კავშირის სამდივნოს 1989 წლის 21 სექტემბრის





გადანყვეტილებით შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილებები: როგორც ზემო და ქვემო ქართლის, მცხეთა-თიანეთის, იმერეთის, სამეგრელოს, მესხეთის, სამაჩაბლოს, ასევე – მწერალთა კავშირის თელავის განყოფილება და დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირის თელავის განყოფილების აღმანახი „ალაზანი“.

1989 წლის 16 ოქტომბრიდან საქართველოს მწერალთა კავშირის თელავის განყოფილების თავმჯდომარედ დაინიშნა მწერალი ლადო მრელაშვილი. 1989 წლის 1 ნოემბრიდან აღმანახ „ალაზნის“ მთავარ რედაქტორად მწერალი კარლო კობერიძე. დანიშვნების ბრძანებებს ხელი მოაწერა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ – მ. მაჭავარიანმა.

საქართველოს მწერალთა კავშირის თელავის განყოფილების თავმჯდომარის ბრძანებით მოადგილედ დაინიშნენ სხვადასხვა წლებში: სულხან ქეთელაური, სოლომონ სამხარაული, აკაკი დაუშვილი. აღმანახ „ალაზნის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ ჯერ ზეზვა მედულაშვილი, შემდეგ ელდარ ჭიჭიაშვილი, ხოლო 1995 წლიდან, 2004 წლამდე, ფარნაოზ რაინაული.

1990 წლიდან დაინიშნა აღმანახ „ალაზნის“ სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ანზორ აბულაშვილი, თეიმურაზ აბულაძე, ავთანდილ ადეიშვილი, ბაადურ ბალარჯიშვილი, ტაგუ მებურიშვილი, ზეზვა მედულაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გიორგი პაპუაშვილი, ილია რურუა, სულხან ქეთელაური, ბელა შალვაშვილი.

1997 წლიდან: ანა აბაშიძე, გიორგი არსენიშვილი, შოთა ასანიშვილი, აკაკი დაუშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვალერიან ელანიძე, ფარნაოზ რაინაული (მთავარი რედაქტორის მოადგილე), არჩილ სპარსიაშვილი, ივანე ქეშიკაშვილი, გიორგი ცოცანიძე, როინ ჭიკაძე, ელდარ ჭიჭიაშვილი.

1990 წლიდან 2004 წლამდე (14 წლის მანძილზე), გამოიცა აღმანახ „ალაზნის“, სულ, 8 ნომერი.

1994 წელს გამოიცა ლიტერატურული აღმანახი „თელავი“ (მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი, რედაქტორის მოადგილე ნუგზარ ჩიკვაიძე).

1996-1999 წლებში გამოიცემოდა კახეთის სალიტერატურო გაზეთი „ათინათი“ (მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი).

1996 წლიდან დღემდე გამოიცემა წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (რედაქტორ-გამომცემელი ნუგზარ ჩიკვაიძე).

1998-2000 წლებში გამოიცემოდა სახუმარო-სალალობო ჟურნალი „ღვინჯუა“ (რედაქტორი კაკი დაუშვილი).

მწერალთა კავშირის თელავის განყოფილების წიაღიდან იშვა ახალი შემოქმედებითი ფრთა და თერგდალეულების სულისკვეთების მსგავსად, ალაზანდალეულებმა ახლებური სული შთაბერეს კახეთის ლიტერატურულ შემოქმედებით ცხოვრებას, – 2004 წლის 2 აპრილს დაფუძნდა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“, აირჩა გამგეობა: ფარნაოზ რაინაულის, ნუგზარ ჩიკვაიძის, აკაკი დაუშვილის, ნუნუ ძამუკაშვილის, გიორგი ბერძნიშვილის, ზინა სოლომნიშვილისა და გიორგი ჯავახიშვილის შემადგენლობით. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა პოეტი ფარნაოზ რაინაული. დაარსდა ჟურნალი „ოლე“ რომლის მთავარ რედაქტორად დაინიშნა პროზაიკოსი აკაკი დაუშვილი. მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთთან“ შეიქმნა ახ-

ალგაზრდა მწერალთა სექცია და მის ხელმძღვანელად დაინიშნა პოეტი ნუნუ ძამუკაშვილი. შემუშავდა ნესდება მწერალთა ასოციაცია ლიტერატურული კახეთისა და განისაზღვრა ასოციაციის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევნები გაიმართოს 5 წელიწადში ერთხელ.

2004 წელს ჟურნალის პირველივე ნომერმა მკითხველი საზოგადოების დიდი მონონება დაიმსახურა, რაც რესპუბლიკურმა პრესამ ჯეროვნად აღნიშნა. „ოლე“ გახდა ჭეშმარიტი, სახალხო და საზოგადოებრივი მხატვრული სიტყვის ალამდარი, განსხვავებით, ზოგი, – მწერალთა ორგანიზაციების ე.წ. „კარუსელისა“; 2004 წლიდან, 2017 წლამდე „ოლეში“ დაიბეჭდა 500-მდე ავტორის ნაწარმოებები. 2004 წლიდან 2012 წლამდე კახეთის მწერალთა ასოციაცია უდიდეს ფინანსურ გასაჭირს განიცდიდა, – თითქმის 6 წელი უხელფასოდ იმუშავა განახლებულმა მწერალთა კოჰორტამ, ჟურნალის სამი ნომერი დაფინანსეს ქველმოქმედებმა: ნოდარ საქუაშვილმა, ზაზა გოგოლაძემ და დომენტი გაგნიძემ. მიუხედავად უაღრესი სიძნელებისა, გასულ ათწლეულში კულტურის სამინისტროს 2-ჯერ, 2005 და 2008 წლებში გამოცხადებულ კონკურსებში, ორივეჯერ ჟურნალმა „ოლე“ გაიმარჯვა.

კახეთის მწერალთა ასოციაციამ დაარსებიდანვე დაანესა ლიტერატურული პრემიები: გიორგი ლეონიძის, გურამ რჩეულიშვილისა და „ოლესი“. სხვადასხვა დროს „ოლეში“ გამოქვეყნებული ნაწარმოებების მიხედვით, გიორგი ლეონიძის პრემია 2005-2008 წლებში მიენიჭა: ფარნაოზ რაინაულს, თეიმურაზ ლანჩავას, ფრიდონ ხალვაშს, დავით თედორაძეს და შოთა ზოიძეს.

გურამ რჩეულიშვილის პრემია: ნუგზარ ჩიკვაიძეს, აკაკი დაუშვილს, ოტია იოსელიანს და თამაზ ხმალაძეს.

ჟურნალ „ოლეს“ პრემია: ბალათერ არაბულს, ელგუჯა თავბერიძეს, მარინა კოზმანიშვილს, ლეილა შალვაშვილს, თამაზ ხმალაძეს, ელა გოჩიაშვილს, მიხო მოსულიშვილს, ფარნაოზ რაინაულს, გიზო თავაძეს, ნუნუ ძამუკაშვილს, გიორგი ჯავახიშვილს, ვაჟა ოთარაშვილს, ნიკო გოგოჭურსა და ელდარ ჭიჭიაშვილს.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულმა კახეთმა“ მოაწყო ახალგაზრდა მწერალთა კონკურსები: 2004 წელს – „პოეტების ახალი თაობა“, 2006-2008 წლებში – დევიზით – „ჩვენ მოვდივართ“. ამავე დევიზით – „ჩვენ მოვდივართ“ 2014 წელს და გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები დამსახურებისამებრ: ოქროს დიპლომი, ვერცხლის დიპლომი, ბრინჯაოს დიპლომი და სიგელები. 2005 წელს გამოვიდა სპეციალური ჟურნალი „ნაბიჯი“, რომელიც დაეთმო ახალგაზრდა ავტორებს. ჟურნალი „ოლე“ ხშირად უთმობს ადგილს ნიჭიერ ახალბედა ავტორებს.

2008-2015 წელს გამოვიდა ჟურნალ „ოლეს“ საიუბილეო ნომრები.

2016 წელს, „ოლე“-ს დაემატა ჩანართი, სადაც გამოქვეყნდა კონკურსში გამარჯვებული, ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასოციაციის დაფუძნებიდან, – 2004 წლიდან, 2017 წლის ივნისამდე, უნდა გამოცემულიყო „ოლეს“ 48 ნომერი, გამოიცა – 32, არ გამოიცა – 16, ნაციონალური ხელისუფლებისაგან დაუფინანსებლობის გამო.

2016 წლის 24 დეკემბერს ქ. თელავში მაღალ დონეზე აღინიშნა მწერალთა ასოციაცია „ლიტერ-





ატურული კახეთის“ თავმჯდომარის ფარნა რაინას დაბადების 80 წლის იუბილე და გამოიცა იუბილარი-სადმი მიძღვნილი სპეციალური საიუბილეო ნომერი. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაცვალა გონაშვილმა იუბილარს გადასცა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული პრემია და ფასიანი საჩუქარი (მანამდე იუბილარი დაჯილდოებული იყო: 2005 წელს – გიორგი ლეონიძის, 2006 წელს ჟურნალ „ოლეს“, 2010 წელს – ტერენტი გრანელის, 2015 წელს ვაჟა-ფშაველას, 2010 წელს – ქართული კულტურის ამაგდარის მედლითა და დიპლომით, 2013 წელს – ქრისტიანული პოეზიის მესამე ფესტივალის წმინდა ნინოს ჯვრითა და დიპლომით).

პერიოდულად ეწყობა ჟურნალ „ოლეს“ მკითხველთა კონფერენციები და ასოციაციის მესვეურნი ისმენენ პირუთვნელ აზრს. ასე იყო 2016 წელსაც, – ქ. თელავის ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ერთობლივი ღონისძიებით ჩატარდა 2015 წელს გამოცემული ჟურნალ „ოლეს“ ბოლო ორი ნომრისა და 2016 წლის პირველი და მეორე კვარტლის ნომრების მიმოხილვა-ანალიზები. მოხსენებებით გამოვიდნენ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორები, პროფესორები – ნანა რჩეულიშვილი, ნელი ცქიტიშვილი და პედაგოგი ნინო ლაჩაშვილი.

პერიოდულად ეწყობა პოეზიის საღამოები. რეზიუმეს სახით შეიძლება აღინიშნოს: საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილება უაღრესად გონივრული და აქტუალური იყო, რადგან ეს იყო ეროვნული, სახალხო დევიზი, ორიენტირი „მწერლობა – ხალხთან ახლოს“, „მწერლობა – ხალხის გულიდან“...

აღნიშნული პრაქტიკა დიდი ხანია აპრობირებულია ევროპისა და სხვა კონტინენტების სამწერლობო

ცხოვრებაში, სადაც ფუნქციონირებენ სამხარეო მწერალთა ორგანიზაციები. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ პერიფერიებში არიან უნიჭიერესი ადამიანები, გენიოსებიც, მაგრამ ყველას არა აქვს საშუალება, – იცხოვროს დედაქალაქში და უფრო ახლოს იყოს სათაო მწერალთა ორგანიზაციასთან და საგამოცემლო დაწესებულებებთან. ხალხთან ყოფნის განა შესანიშნავი მაგალითები არ არის?.. გენიოსების ლევ ტოლსტოის იასნია პალიანაში მოღვაწეობა, მიხეილ შოლოხოვის – ვეშენსკაიაში და ვაჟა-ფშაველასი – ჩარგალში... მიზანი უაღრესად ფასდაუდებელია და, მთავართა, ასევე ხელისუფლების მიერ ხელშემწყობი პირობების შექმნა, ხალასი ეროვნული კულტურა ზოგადსაკაცობრიო რომ გახდეს.

2012 წლიდან, ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის დღიდან, შეიცვალა მიდგომა ქართული, ეროვნული კულტურისადმი. „ოლეს“ გამოცემაში, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს (შესაძლებლობების ფარგლებში) ჯეროვანი ნვლილი: საქართველოს პარლამენტის წევრის გელა სამხარაულის, კახეთის ყოფილი გუბერნატორის – ირაკლი შიოლაშვილის, თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის მერის – პლატონ კალმახელიძის, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის – ალექსანდრე შათირიშვილის, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ახალი თავკაცის – ირაკლი ქადაგიშვილის, მათი სამსახურების, ასევე, გამორჩეული ყურადღება თელავის მაჟორიტარი დეპუტატის – ირაკლი სესიაშვილის.

ფარნა რაინა
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე
20 ივნისი, 2017 წელი

წერილი რედაქციას

ჩვენი, ლამაზი კახეთის საკეთილდღეოდ...

ჟურნალ „ოლეს“ გამოცემის აუცილებლობაზე მინდა ვისაუბრო. კახეთში უამრავი პოეტი და შემოქმედი ადამიანი ცხოვრობს, რომელთაც არა აქვთ საშუალება თავისი პოეტური თუ, პროზაული ნაშრომების გამოცემის. ჟურნალი „ოლე“ საზოგადოებას აცნობს ასეთი ადამიანების შემოქმედებას და ახლის შექმნის სურვილს უღვივებს მათ. ეს, უდიდესი სიკეთე და მადლია რედაქციის მხრიდან, რომელსაც უნიჭიერესი ადამიანები უდგანან სათავეში. მქონდა პატივი, ამ ჟურნალში მოხვედრილიყო ჩემი ლექსებიც, რაზედაც მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ფარნა რაინას და მთელ რედაქციას. ბატონი ფარნა ჟურნალის მთავარ რედაქტორთან, აკაკი დაუშვილთან ერთად, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სიყვარულით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს და, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, მაინც, გადაარჩინეს ჟურნალი, რომლის ფურცლებიდანაც, არაერთი ცნობილი თუ უცნობი ადამიანის შემოქმედება გაგვაცნეს. ჩვენი ლამაზი კახეთის საკეთილდღეოდ, ჟურნალ „ოლეს“ მინდა ხანგრძლივი არსებობა ვუსურვო, ხოლო, იმ ადამიანებს, ვინც ჟურნალს სიცოცხლე შეუნარჩუნეს, ჩემი და ჩემი თანამოაზრეების სახელით დიდი მადლობა მოვახსენო.

პატივისცემით,
ლეილა ლეგაშვილი
კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის –
გუბერნატორის ადმინისტრაციის მთავარი სპეციალისტი
კულტურისა და სპორტის სფეროში,
ღირსების ორდენის კავალერი,
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი



„ზეცა — ვით მინა, მინა — ვით ზეცა,
იქნება ჩემი აკლდამის კარი...“



უაღრესად დაგვწყვიტა გული გენო კალანდიას გარდაცვალებამ. ბატონი გენო სიცოცხლის ბოლომდე მუდმივ შემოქმედებით ძიებაში იყო, რისი დასტურიც მისი ბოლო უბრწყინვალესი პოეტური ციკლია — „საგალობლები უფლისთვის“. ერთი რამ გვაიმედებს — ბატონი გენო სამშობლოს, ქართული ლიტერატურისა და კულტურის, მეგობრებისა და ახლობლების წინაშე ვალმობილი ნაჲიდა. ბატონმა გენომ ზეციურ საქართველოში აფხაზეთის ტკივილი გაიყოლა და გვჯერა, ქვეყნის გამთლიანებისთვის იქაც გულმხურვალედ ილოცებს, იქიდანაც შეგვეწევა. პოეტი ერთ-ერთ საგალობელში ამბობს:

უფალო, ჩემი ანდერძის ქალაღდს,
ამშვენებს შენი დასტური დღემდე!
რომ შენთან, ცაში, რომ შენთან ახლოს,
ვიქნები ჩემი სიკვდილის შემდეგ.
ზეცა — ვით მინა, მინა — ვით ზეცა,
იქნება ჩემი აკლდამის კარი,
და იშრიალებს ვაზი და ძენა, —
ჩემი ცრემლების წვიმებით მთვრალი.

დიახ, იქ, სადაც ნაღდი პოეზიაა, მინისა და ზეცის გამყოფი ხაზი იშლება. გენო კალანდიას პირველხარისხოვანი შემოქმედება პოეტის ამქვეყნიური უკვდავების დასტური, მისი აკლდამის კარია.

*მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“
თავმჯდომარე **ზარნა რაინა**,
ჟურნალ „ოლეს“ მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი*

საგალობლები უფლისთვის

უფალო, დედას პურივით თბილი
ლოცვანით მოდის მოძღვარი ჩვენი,
ცა არის, როგორც მაისის ცვილი,
ჩამოღვენთილი ალაზნის ველით.

ბერ-მონაზვნები ეზოში დგანან
ღამისმთველების ერთგული გუნდით,
ლოცულობს მრევლი და ტაძრის კართან
ღუღუნებს შვიდი ცისფერი ხუნდი.

უფალო, ბარდა გაექცა ღობეს,
ჩამოეშალა მუხლამდე თმები,
მამა მარანში გარეცხავს კოპეს
და გამოჰყვება ნაბიჯით მხედრის.

ფეიხოას და ფორთოხლის ტევრში
ჭისკენ ჩიტივით გაფრენილ ბილიკს...
დგას დედაჩემი — საბრალო გვრიტი —
და დღემდე მალავს ფრთებსა და ღიმილს.

უფალო, წმინდა შაბათი მოდის
და ფართოდ ვაღებ მონასტრის კარებს,
ნოხივით ბზინავს ბალი და კორდი
კიპარისებთან და ბალის გარეთ
ანათებს, როგორც მაცხოვრის სურა,
ნათლითმოსილი მოძღვარი შენი.
სემირამიდას ვარდივით სუნთქავს
ტაძრის ეზოში კრავი და შველი.

უფალო, მღვდელი ლოცულობს მშვიდად,
გადახსნილი აქვს გული და მაჯა,
დგას ფეხშიშველი, ვით სერაფიტა,
სოფლის დედაო და მზეს და მარჯანს
ასხივებს მისი თვალი და ბაგე,
ცასთან, ცარგვალთან ახლოა იგი,
ლოცულობს მღვდელი და ტაძრის კარებს
ანათებს ლოცვით და წმინდა წიგნით.

ჩვენ, მალემსრბოლნი ღვთისა და უფლის,
განძივით ვეძებთ სახელს და გვირგვინს.



.....
რა ღვთაებრივი ხე არის თუთა,
რა ბედნიერი ლულუნებს გვრიტი!

უფალო, ნათლის სვეტივით ბრწყინავს
ნოემბრის ფერში მწვერვალი ერთი,
თითქო საყდარში გვერდიგვერდ დგანან
იესო ქრისტე და მამა ღმერთი.

ცა, შეთრთვილული ალოეს ცრემლით,
თითქო წმინდანებს უჭირავთ მხრებით,
რა კარგი დღეა... რა გზა და ველი,
რა იღუმალი შუქი და ხელი?

უფალო, მადლი გადმოდის ქედით,
მადლი გადმოდის ქედით, მაღლობით...
და თეთრი მტრედის შარავანდედი
მაკვირვებს, როგორც თოვლი აღდგომის.

ტაძრის კარებთან დგანან დილიდან
შენი ძის ძენი, დაო მარიამ,
აი, ეს არის ღვთის იდილია,
ღვთის სასწაული და ლიტანია.

უფალო, ბედი მქონია ხილვის —
წმინდანების და მაცხოვრის კვართის,
აიეტის და იდიას ხიდის,
ქუჯის, გუბაზის მაღალი მაღლის.

იადონის და ღვთისმშობლის გვრიტის,
მკერდნატყვიარი ბზიფის და გაგრის,
კრავაის ვარდის და სერაფიტის,
ჰანგის, — მარადის ქართული ჩანგის.

უფალო, შვიდი მდინარის იქით, —
ერთი მდიდარი სამეფო იყო,
იქ არ იცოდნენ, რა იყო ლიქნი,
იქ ზამბახივით ჰყვაროდა ხვითო.

გადმოდგებოდა აქატის კოშკზე
და ქადაგებდა სიყვარულს მეფე,
იყო მედეა და იაზონი,
ჯერ კიდევ მშვიდად ეძინა თებეს.

უფალო, სადაც ქარია ჩქარი,
სადაც ლელი და ლერწამი ხარობს,
იქ ცხოვრობს ერთი ლამაზი ქალი,
იქ ჩემი შვების ამოდის წყარო.

...და ვარდის ფურცელს ვაჭედებ ლურსმანს,
და ქალი თმებით ჰკიდია მთვარეს...
მე არ მინახავს, არასდროს, არსად
ასეთი ცა და ასეთი ღამე.

უფალო, ნათელს ამოჰყვა კაცი
და შუალამით მოადგა ტაძარს,
გადანერა პირჯვარი კრძალვით
და ხატის ქარგას, ვით პურის მარცვალს,

მიაპყრო შვებით ორივე თვალი,
ტაძარი იგი, — ვით მწუხრის კვარი,
ბრწყინავდა შენი ციური ალით,
შობის ვარსკვლავით და რიტუალით.

უფალო, კარგი დღეები დადგა,
შაშვს და იადონს გაუთბა ყელი,
ბაღია, როგორც მაისის საგა
გახარებული დედოფლის ხელით.

ჩიტები ჩიტებს უცვლიან ნოტებს,
ვით შემოქმედნი იღუმალ ხმათა,
ზის მაფშალია აღუბლის ტოტზე
და კენკავს სხივებს, ვით პურის თავთავს.

უფალო, ცხადი — ცხადია ჩემთვის,
როგორც ოდესღაც სხვებისთვის იყო,
მე შენი ტაძრის მონესედ ვრჩები,
სადაც და როგორც არ უნდა ვიყო.

მწუხრის სხივივით მშვიდი და მსხენი,
რომც დავიკარგო ზეცაზე ფიქრით,
კვლავ აღმომაჩენს მეუფე ჩემი,
ვით ხელუხლებელ ოქროს და ბივრითს.

უფალო, ჩემებრ ტიროდა იგი,
როცა ვტოვებდით საყვარელ ქალაქს,
ცრემლით და შიშით, ცრემლით და ფიქრით
ენკენის თვეში ვტოვებდით ქალაქს.

ვინც კაცი იყო, შეაკვდა ხაზარს,
ვინც ჩემებრ ფრთხილი, — გაექცა მდევარს...
და აი, ახლა, ამ თოვლის ზამთარს
ვიგონებ სოხუმს და მშობლის კერას.

უფალო, ჩემი სახელი უწყი, —
გენო ვარ, — სამი ფასკუნჯის მამა,
კვირაა, თბილა, რიცხვია ლუნნი,
საცაა წყალში მთელი მზე ჩავა.

მოლაღურივით ვალვიძებ სოფელს,
ჩემი ნალველით და ჩემი ლექსით
და მშობლიური ეზო და მოლი
მიყვარს და მტანჯავს, ვით ფესვის ფესვი.



დაუვიწყარი სახელები

ავტორი „გოდება შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევა თამარ მეფისადმი“ — იროდიონ რაინაული თუშეთში ცნობილი მოლექსე (ასე უწოდებდნენ ვინც ლექსებს წერდა) იყო. მისი ბევრი ლექსი გახმაურდა და დღესაც მღერიან თუშები.

შირაქის გზაზე

შირაქის გზაზე მივდივარ,
უკან მობრუნებს ქარიო,
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო.

ეს ლექსი ხალხურად მიაჩნიათ; სინამდვილეში კი მისი ავტორი იროდიონ რაინაულია. ორკლასიანი განათლების მიღების შემდეგ იროდიონმა თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა მწყემსის ხიფათით სავსე, მაგრამ ვაჟკაცურ ცხოვრებას.

თუში მეცხვარე ყოველ ხელსაყრელ დროს გატაცებით კითხულობდა წიგნებს, ხოლო მისი ხურჯინის მუდმივი თანამგზავრი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ვაჟა-ფშაველას პოემები იყო.

დიდმა სამამულო ომმა ნაადრევად შეწყვიტა მწყემსის პოეზიით გამთბარი ცხოვრების ბილიკები.

პოემა გადმოგვცა იროდიონ რაინაულის ვაჟიშვილმა, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარემ, ბატონმა ფარნა რაინამ.

იროდიონ რაინაული

გოდება შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევა თამარ მეფისადმი

შველა მოგვეც და შეწვენა,
ღმერთო, ვინც შენ კერძ ირებსა,
შენცა გვწყალობდე, გვხედვიდე,
გვიზღვევდე დანაპირებსა,

არ დაგეკარგვის მუქაფა,
ნუ მიგვცემ ლომთა პირებსა,
მიკვირს, რაღად შობს სანუთრო
თუ ხელს ჰკრავს განაპირებსა.

ჰეი, ბედო პირად შავო,
რად ჰზი ჩემთა სისხლთა ხვრეტად,
სამიჯნუროდ მოგვეც გული,
არ საჭრელად, გასახვრეტად;

დაგემოყვრე, ძირს დამამხე,
მით დავდივარ ასრე რეტად,
ზოგჯერ მტრობამ წინ წასწიოს,
სიყვარულზე უფრო მეტად.

დღე დამიბნელდა, არ ნათობს
ვარსკვლავი, მთვარე, — მზიანად,
ხელი მკრეს, დაბლა დამამხეს
ვარდმა, ზამბახმა, — იანად,

ისარმაც გული გამიპო,
არც იმან დაიგვიანა,
დაჭრილი სიკვდილს ვნატრულობ,
სიცოცხლე მიჩანს ზიანად.

დაჯდა და ბევრი იტირა,
ცრემლით დასეტყვა ბალები,

ვით მეფემ დამარცხებულმა
დახარა ბაირალები.

არწივმა ფრთები დაკეცა,
სისხლით აღარ აქვს ნალები,
ჯიხვი კლდიდან რად ვარდება,
არ ჰყოფნის იალალები?

ტირილით სული მოითქვა,
დაიმორჩილა სხეული,
ფიქრებმა გზები გაუხსნეს —
ხან სწორი, ხანაც ხვეული.

სთქვა: „სჯობს არ იყოს, თუ არის
გულდასერილი, ეული,
ომში ხმალგადატეხილი
და პერანგ ჩამოხეული“.

კვლა სთქვა: „მო, თავსა მოვიკლავ,
და მითი დავთმობ ჭირებსა“,
თვალზე ცრემლჩამომდინარი
ყელზე თოქს მოიჭირებსა,

მაგრამ ჩაფიქრდა — „ქედმობრა
ბედთან სჩვევიათ ვირებსა,
სატრფოს ვინ ჩივის, ლაჩრობით
ყვავიც არ დამიტირებსა.“

იქნებ ვიპოვო წამალი,
თავს რატომ ვიკლავ ნებითა?
კაცი ხან უფრო მოიგებს
მოცდითა, დაყოვნებითა.



მეც მოცდა მიჯობს, სიჩქარე
დამტვირთველია ვენებითა,
ვინც მწვადსა შეწვას, არ აცლის,
ვით შესჭამს გემოვნებითა?

ვინ დამიხსნის შეჭირვებულს,
ცრემლთა გუბებს აღარ ვღვრიდე,
სად გავიქცე, თავს რა ვუყო,
თუ ჩამიტეხს წყალზე ხიდებს,

რა ძნელია, ვინც გიყვარდეს
მასზე გითხრან: ეძმე, იდე,
გეაჯები არსთა მხედო, —
ხორცისაგან სულს გამყრიდე.

იგი მეფეა უძლევი,
ცათა და ხმელთა მპყრობელი,
აღმოსავლით და დასავლით
მტერთა მსვრელი და მსპობელი,

ერთგულთა დიდი მოწყალე,
ორგულთა ძილის მკრთობელი,
ან მისი მსგავსი ვინა თქვას
მზე ქვეყნის მანათობელი.

ღმერთად მიჩნს იგი და მე კი
შევექმნილვარ ძუძუს მწოველად,
იგ დამისახავს სიკვდიმდე
ჩემთა პატიჟთა ყოველად,

რა ზომ განრისხდა საწუთრო,
მეკვეთა ლხინთა მძოველად,
გლახ მომეახლა ზამთარი,
უზომო ფიფქთა მთოველად.

თუ ვერ მივწვდები, რას მარგებს
ამაოდ ხელთა შევრანი,
ცუდად ჩამივლის წვალეზა,
ბულბულის მსგავსად მღერანი,

იქნება ხმალმაც ვერ გასჭრას,
გზაში ნამექცეს მერანი,
ბრიყვს უცებ მახეს დაუგებს
წუთისოფელი ვერანი.

მაგრამ სთქვა: „სიბრძნე რას მარგებს,
ვით ოქრო უქმად დებული? —
თუ დროზე წყალს არ დაასხამ,
დაინვის ცეცხლმოდებული;

ჭირსა აროდეს შეუდრკეს
ვაჟკაცი სახელდებული,
ბედის მონა და მორჩილი
წუმც არის დაბადებული.

თავს ვუთხარ წიგნი დავწერო,
სასმენლად დამატკობელი,
მიჯნურთა ცეცხლის მომდები,
დამწველი, დამადნობელი.

იქნებ იგ ექმნეს სახმილად,
ულვინოდ დამათრობელი,
თვით ტირის, სხვასცა ატირებს
ჭირთა ლამაზად მთხრობელი.

ვინ დაუნთო გულში ცეცხლი,
ვის უნდოდა მისთვის ურვა,
მარგალიტებს ყორედ აგებს,
არად უღირს ოფლში წურვა.

ტანჯვას ცოტად უსუბუქებს
ცრემლის დენით სოფლის მღურვა,
უნავოდ და უხომალდოდ
რა ძნელია ზღვაში ცურვა.

მისთვის ყორნის ხმად გადიქცა
ნობ-წინწილი დასაკრავი,
სად გაიქცეს, ფეხს წინ ვერ დგამს,
მგელს შეეპყროს თითქოს კრავი;

ტრფობას პირში ვინ შეუდგეს
და გამოთქვას ან სიტყვა ვინ?
ნესტანს უკვე წერილს სწერს და
ჩაუცვია ვეფხის ტყავი.

ზოგჯერ, — ჭირს ლხინიც მოჰყვება,
მიწყვიტ ასრეა სოფელი.
დანერა წიგნი, — მსმენელთა
გულს ლახვრად დამასობელი,

იტყვი: მის მეტი თუ არის
ქვეყნად სიკეთის მშობელი,
ან მზემან ვარდად შესცვალოს
ცრემლები შეუშრობელი.

სურვილისგან ანთებულმა
სამი კარი შევლო შიგნით,
აღარ ჰყოფნის სხეულს ძალა,
მის გულს თითქოს ყვავი სძიძგნის,

უსიტყვოდ და დიდი კრძალვით
გაიარა ქალთა რიგნი,
ბოლოს შედგა და მუხლმოყრით
გაუნოდა ტრფობის წიგნი.

ჰა, მეფეო, საჩუქარი
მომიძღვნია, ნაიკითხე
ნახო დამწვარ-დადაგული
და ნადენი თვალთა სითხე,

იქნებ, შენაც შეგებრალოს,
უდაბნოში მორწყო მით ხე,
მე შვლის ნუკრად გამიზრდია,
შენ კი თუნდაც მხოლოდ ითხე.

პირს სიხარული დაეტყო,
მადლობა უძღვნა, დალოცა,
იტყოდა, ნეტავ აქამდი
უმზეოდ იყო რატომ ცა?

უთხრა: „თუ ყოვლი სწორედ ა,
იქნება საარაკოცა,
მერე ჩახედა თვალეებში
და მორცხვად შუბლზე აკოცა.





ფარნა რაინა



კატრინები

ეფე...*

დასაბამიდან, —
 შულლი,
 მტრობა
 გვიკიდებს ალთა,
 გოდება — ჩვენი,
 ჯვარცმა — ჩვენი
 ციურეთს
 ერთვის...
 თუ, —
 რამეს ვხედავ, —
 უდიადესს,
 წინაშე — თვალთა,
 ეს, —
 მზეა:
 ჩვენი —
 სიცოცხლის და...
 სიკეთის
 ღმერთი...

4. II. 2017

*„ღმერთი, რომელსაც მე თვალთ
 ვხედავ, ეს, — მზეა“...
 ნაპოლეონ ბონაპარტი

ნატვრა...

სიცოცხლეც,
 სუნთქვავე...
 და...
 ნატვრისთვალო, —
 მამულო,
 როდის გამზიანდები?...
 საერთო მიზნით,
 საერთო საქმით,
 როდის გნახავ და...
 გაფრთიანდები?...
 რწმენის,
 სიკეთის,
 სიყვარულის და...
 სიბრძნის,
 იმედის
 განთიადებით,
 როდის ახდება:
 ნატვრაც,

ოცნებაც, —
 ნეტავი,
 როდის —
 გამთლიანდები?..

26. V. 2016

ხილვა...

ნუთუ, —
 საშველი
 აღარ ჩანს, —
 არ — სით
 და... ვშლით
 პლანეტას —
 მშიერ ქანებად?!..
 ნუთუ, —
 სამყარო:
 სულით და...
 არსით,
 დასაბამისკენ
 მიექანება?!..

21. VIII. 2017

ფული...

წარსულს ჩაბარდა:
 ძველი ომი...
 და...
 ძველი დრონი...
 ახალი ომის
 თაოსანი —
 პლანეტას
 უვლის...
 რის —
 ატომური?!..
 რის —
 წყალბადი?!..
 რის —
 ნეიტრონი?!..
 უფრო მრისხანე
 იარაღი —
 დღეს, არის:
 ფული...



მთავარი...

ფოლადის ფრთებით,
კაცი, როცა —
კოსმოსში მიქრის,
დაშრიტეს, —
თითქოს,
სიბრძნისა და
აზრის თალარი...
სასაცილოა:
ერთი ქვეყნის —
ავ-კარგზე ფიქრი,
ახლა, —
პლანეტის
გადარჩენა
არის მთავარი...

23. I. 2017

ახალი დედამინა...

ვის —
სული სძვრება...
ნეტარების:
ვინ —
ზღვაში ცურავს, —
ბაზარი გახდა —
ეს პლანეტა, —
ცა —
ვნების ქართა...
იყიდი,
რაც გასურს, —
ამ მინაზე,
არსებობს თუ, რამ,
სიმართლის,
რწმენის,
სინდისის და...
ღირსების გარდა...

14. IV. 2017

სიყვარული გადაგვარჩენს, — მარტო...

სიძულვილით —
მაისიც კი
მარტობს,
ჭკნება — ვარდი,
ხარობს —
ნარი,
ლოლო...
სიყვარული გადაგვარჩენს, —
მარტო...
სიყვარული გადაგვარჩენს, —
მხოლოდ...

8. VI. 2017

პლანეტა — ფლეის...

ფულია —
დღეის:
ომიც და
ჯარიც...
პლანეტა, —
ირგვლივ,
იცვლის —
იერსო...
დღეს, —
გოლგოთაზე,
ფულია —
ჯვარი,
ხოლო,
სიმართლე
არის —
იესო...

20. II. 2017

როგორც — სიწოწლოე...

ყველა, —
ატომით,
რომ არ გავხდეთ —
მინა, —
აყალო,
რომ ავიცილოთ:
ჯოჯოხეთი, —
ომი, —
ჭირთ დება,
დღეს, —
რუსთაველი*
უვრცესსა და
მთლიან
სამყაროს,
როგორც — სიცოცხლე,
როგორც — სუნთქვა,
ისე
სჭირდება!..

27. XI. 2016

*მისი გენიალური პოსტულატებია:
სიკეთე, სიყვარული და მეგობრობა...

პოეტი — ზევსი*

სიბრძნეა, უწინ, —
ღვთიური
რაც არს,
სიბრძნეა — კიბე, —
გენიის ზესვლის...
დროს და წლებს
ფანტავს,
ვით, ქარი —



ნაცარს,
მზე არის სიბრძნის —
პოეტი, — ზევსი...

14. VII. 2017

*გადატანითი მნიშვნელობით, —
ზევსი დიდ შემოქმედს ნიშნავს. გერცენი
გოეთეს ხელოვნების ზევსს უწოდებდა.

**ყველა ტკივილზე —
უფრო,
ძნელი
და... უფრო,
ძნელი...**

ხან, —
გავლა გვინევს —
ცეცხლმოდებულ ბანარზე, —
რთულად,
ხომ, ძნელი არის:
ტკივილებით, როდესაც
ვინვით?
ძნელზე ძნელია —
ტკივილები, —
არსებობს
თუ, რამ,
უფრო ძნელია
ტკივილები:
მამულის,
მიწის...

27. IX. 2016

**ძალიან, —
წოტა...**

სიცოცხლე —
განა,
სუყველას
მზით ჰყვება? —
კისრით
რამდენი ატარებს
ცოდვას?!..
პირიდან —
ბევრი ამოდის
სიტყვა,
მაგრამ...
გულიდან —
ძალიან,
ცოტა...



**მე —
შემოვევლე,
ვენაცვალე
და...
ვეთაყვანე...**

ვეალერსები,
ვეფერები:
ცას,
ველთა ყანებს,
ველარ აუველ:
გულზე —
ფიქრის,
განცდის თარეშებს...
მე —
შემოვევლე,
ვენაცვალე
და...
ვეთაყვანე:
ვინაც —
არ იტყვის,
არც ერთ სიტყვას, —
გულის გარეშე...*

19. XII. 2016

**ისევ და...
ისევ,
მხოლოდ და...
მხოლოდ —
ღირსებით...**

რამდენი ვნახეთ:
ძალით — ზევსის, —
სისხლით მფერავი,
ფარაონთ,
მეფეთ,
სპასპეტთა და...
საჩინო გვართა...
ვერ გამაკვირვებს:
ტახტით,
ჩინით,
განძით —
ვერავინ,
დიადი სულის,
მზესულის და...
ღირსების გარდა...

P.S.

სიცოცხლეც,
ყოფნაც,
მოსვლაც,
წასვლაც —
ქროლაა ქართა,
ქარია:
ყველა...
ყოველივე...
ღირსების გარდა...

25. I. 2017



სიმართლე სად არს?!..

არარაობა არის, —
ვიციტ, —
სიმართლის
იქით,
სიმართლეს ვეძებთ, —
უფლისა და...
ცაზე მზის
სადარს...
სიმართლეს ვლოცავთ:
ჯამით,
ყანნით,
დოქით, თუ —
ჭიქით,
სიმართლეს ვეძებთ, —
დასაბამით,
მაგრამ... თქვით:
სად არს?!..

9. IV. 2017

მაგრამ... არისლა?!..

ეს, — მზესიტყვები —
თამადისა,
გულზე დამადნა, —
გაუმარჯოსო —
საქართველოს, —
ბრძანა თამადამ...
გაუმარჯოსო, —
მაგრამ...
ბედმა —
რატომ გვარისხა?!..
დაილოცოსო —
საქართველო,
მაგრამ... არისლა?!..

10. V. 2017

რად მეჩვენება — ნეტავი, ასე?!..

ლამეა, —
კუპრი,
კუნაპეტი,
სულს
ფიქრით ვავსებ, —
პაექრობა და
ჭიდილია —
ეპოქის ქართა...
რად მეჩვენება?!..
რად მგონია,
ნეტავი, ასე?! —
სუყველას
სძინავს —
პლანეტაზე,
ამ გულის
გარდა...

ასი წლის შემდეგ...

თუმც, —
ბევრს ამოვხსნით —
იქს-იგრეკს, თუ,
ომეგას,
ალფას,
მე — ვერ განვჭვრიტე
ყველაფერი
და... განგებ,
შევდექ...
აღარ გვეყოფა —
ფანტაზიაც, —
მისანთა,
ალბათ,
თუ, რა იქნება:
პლანეტაზე,
ასი წლის
შემდეგ...

28. III. 2017

ვერავინ შევვლის ჭეშმარიტებას

ცხოვრება გახლავთ:
ცოდნის,
შრომის,
გამოცდილების, —
ლაგდება მიჯრით:
ავიც,
კარგიც, —
წელთა რიტმებად...
ყველაფერს შეცვლი
სამყაროში, —
ძალმოსილებით,
ვერვინ,
ვერასდროს,
ვერ-რით შეცვლის —
ჭეშმარიტებას...

8. I. 2017

ვერ დამავინყმს...

ხან, —
უსასრულოდ,
ავად,
კარგად
გავყვები ფიქრებს;
სიცოცხლედ
არ ვთვლი,
თუ, მამულზე —
არ ვფიქრობ,
იმ წამს...
მე —
ჩემი თავიც
დამავინყდეს, —
ხანდახან,
იქნებ,



ვერ დამავინწყებს:
სიკვდილიც კი,
ჩემს —
ცას და
მინას...

23. I. 2017

ჩემი ტკივილი რა არი?

თუმც, — მოველ
სიბრძნის
ვენახად,
ჩემი ტკივილი
რა არი?..
ღმერთიც რომ ვიყო,
ვერ მნახავს, —
ვინც უნდა მნახოს, —
ბრმა არი...

16. III. 2017

თუ, გნებავს...

თუ, გნებავს
იყო —
ნადავლიანი, —
მზისებრ,
ბრძენი და...
მზისებრ,
მართალი,
ჯერ, —
უნდა იყო —
ადამიანი,
მერე —
მეფე და...
მერე —
სარდალი...

4. III. 2017

სასწაული...

კავკასიონი —
ორფეოსი, —
მზისებრ უმრეტი,
მინისტვის —
თითქოს,
უფლის ხელი
ცას წაუვლია...
საარწივეთი,
საჯიხვეთი, —
ჩემი თუშეთი:
სილამაზის და
სიდიადის —
სასწაული!..

5. III. 2017

კაცს — გული რომ სტკიოდეს...

მიხვდებიან?
კი?.. ოდეს?..
სხვა, რა ვუთხრა —
ქონდრებს?..
კაცს —
გული რომ
სტკიოდეს,
გული უნდა
ჰქონდეს...

17. III. 2017

ფულს — საქართველო, — ფულს!!!..

ველარ ვიცილებთ —
მტვერს,
ველარ ვიცილებთ —
ბუღს...
ფურევეთ:
მოყვარეს,
მტერს...
დულს — საქართველო, —
დულს!!!..

23. VII. 2017

გაიღვიძე — საქართველო!!!..

მტრებით სავსე
ქართველი რომ
აქართველო,
სულგაყიდულთ
გულგაყიდულთ:
ალი, — ბლინძებს!!!..
გაიღვიძე, —
ბედდამწვარო,
საქართველო,
ბედისწერის
ჟამი დგება,
გაიღვიძე!!!..

10. VIII. 2008

წხოვრება — ტელესკოპი...

ვინ არის —
ქვეყნის:
მტერი, თუ —
მრჩენი,
ვინ არის —
ვინ და...
ხვეჭავს, თუ —



კარგავს?..
ტელესკოპია —
ცხოვრება, —
ჩვენი:
ჩანს —
ყველაფერი, —
ათასჯერ
კარგად...

29. IV. 2017

რა ეშველება? — არ ვიყრი, — ჰაჰა...

ქვის სროლას —
ჩვენთვის,
არავინ უკლებს,
ჩვენ —
არ ვუბრუნებთ, —
უკანვე,
იმ ქვებს...
რა ეშველება? —
არ ვიცო, —
უკვე,
ამ — ჩემს ქვეყანას, —
დამხობილს —
პირქვე...

3. VIII. 2017

როგორ?!..

განა, — ჭამაა —
ლელვის?!..
განა, — ჭამაა —
კივის?!..
მამული, როცა —
კივის,
როგორ გავუძლო —
ტკივილს?!..

22. VII. 2017

ვინ?!..

ვინ — ძერა არის,
ვინ — ქორია,
ვინ კი — ნიბლია,
ვინ დადის აზრით —
სატანურით,
და... ვინ — განგების?!.
შენ ილაღადე:
თუნდაც,
ერთად,
ასი ბიბლია,
ვინლაა მისი:
ან — მომსმენი,
და...
ან — გამგები?!..

ბედნიერები — უფრო...

ხომ არის —
ზოგჯერ,
წყალს ვეძებთ
ზღვაში,
მზეს ვხედავთ —
ცაზე, —
შავი
სათვალით...
ბედნიერები ვართ —
უფრო;
მაშინ,
სინდისის ღმერთთან:
თუ, ვართ —
მართალი...

16. V. 2017

უნდა — ღმერთი იყო და...

მმოძღვრავს:
ხანძთა,
იკორთა,
ლამეს —
სიბრძნის
მინვავს მზე, —
უნდა —
ღმერთი
იყო და...
დადიოდე —
მინაზე...

9. III. 2017

ზოგი...

წევრია, ვინაც —
კოლტის, თუ,
ჯოგის,
სურს, ვისაც —
ყოფნით,
სანუთრო —
ბოლოს...
სიცოცხლეს
ისე ამთავრებს —
ზოგი,
ვერ იგებს
არსის —
თავსა და
ბოლოს...

26. III. 2017



ოდიდან...

ვართ —
 მეუფენი,
 განა მდგმურები?!..
 და...
 ჩვენი ჭვრეტა
 როდია —
 საგა?!..*
 ჩვენი —
 მოთხრის და...
 განადგურების
 სცენარებს წერდნენ, —
 ოდიდან,
 სხვაგან...

4. IV. 2017

*ძველი, — სკანდინავიური და ირლანდიური ხალხური, საგმირო თქმულება, ლეგენდა...

რომ გადავრჩეთ...

დღეს, —
 პლანეტა რომ ქცეულა —
 გლობალ
 სახლად,
 რომ ვარჩევდეთ:
 რწყილს და
 სპილოს,
 ბუზს და
 აქლემს, —
 რა გვჭირდება,
 რომ გადავრჩეთ —
 უნინ,
 ახლა? —
 მეტი — აზრი,
 მეტი — ხედვა,
 მეტი — საქმე...

12. IV. 2017

ხილვა...

პლანეტას, —
 თითქოს,
 ეშმა დაღავს და...
 სურს:
 ცოცხალს —
 გულზე,
 მინა აყაროს...
 რად მეჩვენება?!.. —
 თითქოს, დაღამდა, —
 უკულმა ბრუნავს
 მთელი სამყარო?!..

P.S.

რად მეჩვენება?!..

4. III. 2017

იწოდე უნდა...

ავით და...
 კარგით,
 ვინ... და...
 რა —
 იგრძნეს?
 რად კვდება
 ღამე?..
 მზე —
 რატომ იწვის?..
 იცოდე უნდა:
 სიბრძნეთა
 სიბრძნე, —
 ფილოსოფია —
 ცისა და...
 მიწის...

5. V. 2017

რა ცომ?!..

სატანა, —
 ხან, ჰგავს —
 სახით,
 ნიმფასო,
 გვაქეზებს:
 გავქრეთ, —
 დარდით ნახარშით...
 რატომ ვერ ვსწავლობთ,
 ხალხო, —
 ძვირფასო?! —
 რამდენჯერ შევძვრეთ
 ლომის ხახაში?!..

19. VIII. 2017

სად ხართ, ხალხო?!..

თითქოს, —
 ქრება —
 მალლა, მზე...
 შველას ითხოვს:
 ქვე — ყანა...
 სად ხართ,
 ხალხო?! —
 მაყვალზე?!..
 ვის დარჩება
 ქვეყანა?!..

17. VI. 2017

ნუთუ?!..

ალარ — ალარ
 დაილია:
 იმისტები,
 ამისტები, —
 ტახტისტები,



სკამისტები,
ხვეჭისტები,
ჭამისტები...
ნუთუ, — ქრება
ქართველობაც,
ვართ:
ერთურთის —
ლამის, მტრები...

26. VIII. 2017

დროის სარკეში...

ვიყოთ:
მამულის თვალნი, —
უთვლესნი...
და...
ნუ ვიქნებით —
ნურავისტები...
დროს შერჩებიან:
ვითარ —
უმტრესნი, —
ფულით ნაყიდი
ჟურნალისტები...

13. IV. 2017.

ავაჰმე!!!

როდემდე —
დარდის ბორანო?!..
როდემდე —
ჭირო, — მალულო?!..
ავაჰმე, —
ნადიდგორალო,
ნაშამქორალო,
მამულო?!..

16. VI. 2017

უშენოდ...

ჩემთან რომ
არ ხარ,
სევდის ურჩხულს
ვებრძვი, —
გოლიათს,
ვფიქრობ —
ამ სევდით,
ოკეანეს და...
ზღვას ვავსებო...
ვარ მონყენილი
უშენოდ და...
ასე
მგონია:
უშენოდ... თითქოს,
ეს სამყაროც
ალარ არსებობს...

23. VII. 2017

იქნებ?..

იქნებ, —
გონების
ვერ მიჭრის
თვალი? —
სიბრძნე და
აზრი
შევკრა ტივებად...
მე —
სიყვარულის
ღვინით ვარ —
მთვრალი,
მთვრალს, ხომ,
ზოგი რამ,
ეპატიება?..

სიყვარული...

რად ვიყოთ
კენტი?
როცა —
ნეტარ ვიქნებით
ლუნი?..
უსიყვარულოდ, —
რატომ გვქონდეს:
მწუხრი და
გლოვა?!..
სიყვარულია:
თუ, რამ არის,
სიკეთე, —
უნინ...
და... არა:
ფუჭი, —
ფარისევლის
სიტყვების —
გროვა...

2. VIII. 2017

როგორც — სიზმარში...

თითქოს, — გვეახლა —
სიზმარი უხნო,
თუმც, —
გაგვიფრინდა —
ნამსვე,
უთმენი...
სიტყვა არ გვითქვამს, —
ვიყავით უხმოდ,
არაფერი კი
დაგვრჩა —
უთქმელი...



**მე –
ბედნიერი
მაშინ ვარ, –
მხოლოდ...**

ჩემი სიცოცხლე —
სულის,
გულის
მზედ მიეღვევა:
ვინც კი —
ცა-მზის ქვეშ,
სიკეთით და
ღირსებით
მძლოლობს...
სხვას —
თუ, ვანიჭებ:
სიყვარულს და...
ბედნიერებას,
მე —
ჩემი არსით,
ბედნიერი
მაშინ ვარ, —
მხოლოდ...

16. IV. 2017

შემირცხვენია...

ვინც —
სულზეც,
გულზეც
გადიკრა ნისლი,
ქცეულა ვინაც —
ლოდად და...
ხედა,
შემირცხვენია —
სიცოცხლე მისი:
„მე“-ს იქით, ვინაც —
ვერაფერს
ხედავს...

31. VII. 2017

რად გვენატრება?!..

რად ვერ ველევით:
დროს, —
ცბიერს,
თარსულს?! —
სინდის-ნამუსიც
ვაქციეთ
დახლად...
ხომ, გახსოვთ? —
როგორ ვთათხავდით
წარსულს?!..
რად გვენატრება, —
ნეტავი,
ახლა?!..

5. VIII. 2017

რად გვიკვირს?!..

რად გვიკვირს?! —
რატომ გვატყდება
რისხვა?! —
სიცოცხლის ვარდი
რად ხდება —
ძეძვი?! —
სხვებს რომ ვაბრალებთ, —
ვინ — სხვა და
რის — სხვა?!
სუყველა, —
თვითონ,
თავის თავს
ებრძვის...

18. III. 2017

**ჯეშმარიტების –
ჯეშმარიტება...**

თუ, — გნებავთ,
ჰკითხეთ:
ასსა და...
ათასს,
პასუხი, ყველას,
ექნება —
ერთი:
არ უყვარს, ვისაც —
სიკეთე, —
სხვათა,
არა თქვას,
რომ სწამს
და... უყვარს —
ღმერთი...

26. IV. 2017

**სიწილით
კვდებან...**

წავიდა ბევრი,
ვინაც —
მზის ქვეშ,
მზესავით ენთო,
ტკივილი — ხალხის,
ჭმუნვა — ხალხის
გულზე რომ —
ება...
ვსაუბრობ, როცა:
გულზე,
ხალხზე,
მამულზე,
ღმერთო,
სინდისდამწვარი, —
გარეწარი —
სიცილით
კვდება...

30. I. 2017



მაჩვენეთ – ერთი!!!.

მაჩვენეთ სარკე, —
ამ ცხოვრების,
ნამდვილი,
რაც არს:
სიმართლე —
ვის სწამს,
ხალხი —
ვის სწამს
და... ვის სწამს —
ლმერთი?..
ხალხს და ქვეყანას:
თვალეებში რომ
აყრიან —
ნაცარს,
ხალხის — ცხოვრებით,
ხალხის — ბედით
თუ, ცხოვრობს —
ერთიც?!..

3. II. 2012

ხომ, ხდებ, — ახლაც?!..

ცით —
კუნაპეტი ანათებსო, —
ელვარებრ,
მზისებრ,
და... გულის გულზე,
არის —
განცდის ტყვიებს
დახლა...
თვალეებში:
ნაცარს,
მტვერს და
ლამსაც
გაყრიან, —
ისე,
ლმერთს რომ
სწამებენ ულმერთობას,
ხომ, ხდებ, —
ახლაც?!..

7. V. 2012

დანტე...

ქვესკნელი ფარავთ
პოეტის —
მკვდარ მტრებს,
ზიზლით ვიგონებთ
სულებს —
დანრეტილს...
კოცონზე
უნდა დაენვათ
დანტე,
დღეს —
იტალია მზეობს
დანტეთი...

ის — ვით იქნება სახელით კარგად?!..

სიცოცხლე, ვინაც —
ნილაბით
ქარგა,
გაქრება, რადგან —
არსებით,
ქარს გავს...
ვინაც —
სამზეო ღირსება
ქარგა,
ის —
ვით იქნება:
სახელით,
კარგად?!..

27. VIII. 2017

დასაბამით...

არავინ არის —
დასაბამით,
სულ, —
მზით ნათალი,
ვინ — რით
ვსუნთქავთ და...
რისთვის ვიბრძვით,
ვინ — რის
მსურველი?!..
ვისაც ჰგონია:
ყველაფერში
არის მართალი,
იგი — ბრიყვია,
ან — რეგვენი,
ანდა — სულელი...

2. VIII. 2017

მტერი, როდესაც — კერავობს...

წინაპართ —
ჯაჭვის პერანგო,
ბევრჯერ, —
ნაცადო —
ომითა,
მტერი, როდესაც —
ვერაგობს,
კვლავ, —
შენი ჩაცმა
მომინდა...

6. VIII. 2017





ბრძენი და... სულოელი...

მოვდივართ, რაიც, —
დასაბამით,
ადამის ძენი,
ყოველთვის, — ვცდილობთ:
გავარჩიოთ —
ვარდი და...
ლოლო...
როდესაც ცდება,
აზრს შეიცვლის:
ჭკვიანი,
ბრძენი,
აზრს არ შეიცვლის —
არასოდეს,
სულელი, —
მხოლოდ...

7. VIII. 2017

ხატად ვინამებ...

ხატად ვინამებ,
ლამე, რომ რიყოს, —
დრო —
სისხლის,
ცრემლის, —
კუშტი და...
ცხარი...
ზოგ-ზოგი ცდილობს:
შიგ,
მგელი იყოს,
ხოლო, — გარედან —
მაცხოვრის
ცხვარი...

8. VIII. 2017

ასჯერ — გაზომე... ერთხელ — გადაჭერ...

სიჩქარემ —
როდის?..
და... ვის, რა —
არგო?..
წინაპართ სიბრძნეს
ვანთებ —
ათასჯერ...
რომ... აღარ შეცდე —
იცოდე,
კარგათ:
ასჯერ — გაზომე,
ერთხელ — გადაჭერ...

10. VIII. 2017

ნული აქვს — ფასი...

რაიც გვჭირს —
ავი,
რა — ვერ გავლიეთ? —
დამთავრდეს უნდა:
ფაფხური,
ფარსი...
ტახტ-სკამ-სავარძლებს
და რეგალიებს —
ღირსების იქით,
ნული აქვს —
ფასი...

21. XI. 2016

თუ...

უნდა იცოდე —
სიბრძნე, —
ლერწამო,
რომ არ გეგონოს
ჭიკჭიკი —
მერცხლის,
თუ, ხარ —
იესო,
უნდა ეწამო,
თუ, ხარ —
იუდა,
აილო ვერცხლი...

7. II. 2015

წარმოსახვა, — უშენოდ...

უშენოდ ყოფნა:
წამითაც, არ ღირს,
შენ —
ზღვაზე ხარ და
მე ვგავარ
ეულს...
მე მშურს:
იმ — ზღვის და..
იმ — ლურჯი ტალღის,
რომელიც, —
ვნებით,
გიკოცნის
სხეულს...

20. XI. 2016

გული და... სიტყვა...

ენა — მზაკერული
და... მოთაფლული,
თქვენ გინახიათ
ალაგმული სად?!..



ზოგს სჯერა —
სიტყვის,
განა — გულისა?!..
რამაც:
გამცრა და...
გამაგულისა...

1. VIII. 2017

დიდი ფუხჭირი...

საქვეყნო საქმე
როდესაც —
ქუფრობს,
აიშლებიან, ირგვლივ,
სამტრონი...
არა ყოფილა
დუხჭირი, —
უფრო,
ქვეყანას, როცა —
არ ჰყავს
პატრონი...

10. X. 2010

უფრორე, — მაშინ...

სიბრძნეთა სიბრძნე
ფიქრს ფიქრზე —
მაშლის, —
ვის —
კიცხავს საქმე...
და... ვის კი —
ლოცავს?..
ვარ ბედნიერი —
უფრორე, —
მაშინ,
ბედნიერებას
სხვისთვის ვქსოვ,
როცა...

18. VIII. 2017

ჩვენ რომ გვგონია, იმაზე რყდად...

მედება —
რისხვის
ცეცხლი და...
ალხი,
ზეიმი არის —
ფლიდთა და
ცრუთა...
ვით მოჩანს
ხვალე —
პლანეტის?..
ხალხის?..
ჩვენ რომ გვგონია,
იმაზე ცუდად...

ახალი — ცხოვრება...

ვისთვის, — თქეშია —
ფულის...
და... ჩვენთვის —
ნამსაც
ცრის კი?..
ცხოვრება, —
ეგზომ, რთული,
გახდა:
ნამდვილი,
ცირკი...

1. VI. 2017

უფრორე...

სიდარბაისლე
რარიგად გშენის, —
ყოველთვის სწონი:
ფიქრს,
აზრს და
სიტყვას...
თუ, რამე, მიყვარს,
უფრორე, — შენი —
ოლიმპიური
სიმშვიდე
მიყვარს...

X. 2017

მანჯ, — აროდეს, არ მომწყინდები...

ოცნებამ —
ფიქრის კალო
მოლენა,
ჩემთვის —
მუდამ, მზედ,
ამობრწყინდები...
შენთან რომ ვიყო —
თუნდაც,
ყოველ წამს,
მანჯ, —
აროდეს,
არ მომწყინდები...

15. VIII. 2016

ფიროსმანი...

სულეთის მგელი
მოძუნძულდა, —
რუხი, თუ —
ნაბლა...
დატოვა სულმა
გენიოსი, —
კიბის ქვეშ,





დაბლა,
 ღირსებას ხალხის
 და... სიყვარულს —
 დაეცა
 დამბლა?!..
 არც — გამკითხავი?!..
 აღარც — ხსოვნა?!..
 და...
 აღარც — ტაბლა?!..

უკვირს...

ადამიანი კვდება,
 როდესაც,
 არის:
 ტირილი
 და... ცეცხლთა
 დება...
 უკვირს:
 ცას,
 მიწას,
 უკვირს:
 ლოდებსაც —
 რად არ ტირიან
 დრო, როცა —
 კვდება?!..

2. III. 2017

ნეტავი...

ერთურთი —
 რად ვბრდღენათ?!..
 და... რად
 ვუბაზროთ?!..
 როდემდე ვიდგეთ —
 ცეცხლთან, —
 მაზარიტ?!..
 ნეტავი, —
 სიბრძნე იყოს —
 უსაზღვრო...
 და...
 სისულელეს —
 ჰქონდეს
 საზღვარი...

22. XI. 2016

მიყვარს...

ვით — მზე, —
 ყვარლის,
 თუ, ატენის,
 ვითარ — სიბრძნე, —
 განდის,
 მიყვარს:
 ლექსი, —
 ჟრუანტელი,
 როცა —
 გულზე
 გადის...

იწოდეს, ღაე, — ყოველთვის, ყველამ...

სუყველა საქმე —
 მსგავს ნაყოფს
 ისხამს,
 დრო განსჯის:
 ავ-კარგს, —
 სწორსა და
 ელამს...
 დრო არ დატოვებს —
 განუსჯელს, —
 მისხალს,
 იცოდეს, ღაე, —
 ყოველთვის,
 ყველამ...

15. VII. 2017

თუ, — მინდა...

ლექსებით დაგწავ —
 ღრუბლების
 დასტას,
 გულის სხივით კი —
 პური დავაცხო...
 ვულკანად ვაქციე —
 თუ, —
 მინდა,
 მთას და...
 საჭირო თუა,
 ვულკანს დავაცხრობ...

11. VII. 2017

სად დაიკარგა?!..

ამის თქმა —
 მიჭირს,
 ძალიან მიჭირს,
 ტკივილი —
 ამ ცას,
 ამ მიწას
 გასცდა...
 სად დაიკარგა —
 სიკეთის ნიჭი?!..
 სად დაიკარგა —
 სირცხვილის განცდა?!..

3. IV. 2017

აპრილი მიყვარს...

კისკისებს მზე და...
 ცა —
 ველარ ბლანტობს,
 ბუნებაც
 თვალებს ახელს, —
 ლაპრივით...



აპრილი მიყვარს, —
არ ვიცი, რატომ?!..
გადასარეგად მიყვარს
აპრილი...

4. IV. 2017

არ ვიცი, — ასე, რამ შემაყვარა...

თითქოს, —
სხივები
ცამ შემაყარა,
თითქოს, —
დაინვა —
დარდი, — სხეული...
არ ვიცი, —
ასე,
რამ შემაყვარა:
ეგ, — მზესული და
ვარდი-სხეული...

7. IV. 2017

ვიწი...

ვერ ხედავ —
სულის ტაძრებს...
და...
როცა ნახავ,
მჯერა:
ვიცი —
უმზეოდ გაძლებ,
მაგრამ...
უჩემოდ —
ვერა...

20. VII. 2017

კარგობა...

ბოროტი არის:
ასპიტი და...
ავი,
ავცოფა, —
წყევლა-კრულვაა
მისი ძეგლიც
და... მისი —
ბოლოც...
არავინ არ თვლის
ბოროტებას,
არსად,
კაცობად,
კაცობა არის:
სიმართლე და
სიკეთე, —
მხოლოდ...

7. III. 2017

უპირველეს და უწინარეს...

სიფრთხილე გვმართებს, —
არ შემოვრჩეთ,
ვითარ —
ნაცარი...
მარად გვახსოვდეს, —
სხვათა ნიშით*
რომ ვართ —
გართული,
უნდა გვიყვარდეს:
ყველა ენა, —
მზის ქვეშ,
რაც არი...
უპირველეს და...
უწინარეს —
ჩვენი, —
ქართული...

10. IV. 2017

*(თუმ. მოხევ.) ეკლესიის ნაცვლად,
პატარა ნაგებობა-სამლოცველო, —
სალოცავი.

პოლიტიკა...

პოლიტიკაა:
ვისთვის,
ასეთი —
ბზეს
მზე ადინოს,
ხოლო,
ქვას — ზეთი...
პოლიტიკაა:
ტელეც,
გაზეთიც, —
ჭირიც და
ლხინიც —
ხშირად,
მას ერთვის...
პოლიტიკაა:
ზოგან,
ასეთი, —
ერთი — მართალი
და... ცრუ —
ასერთი...

9. IV. 2017

მეტის — მეტი...

„მეტის მეტი —
რეტისრეტი“...
ხალხური

არ გასცდება
ვინც —
მზის საზღვარს,





არის, ვინაც —
 მზისებრ,
 მჭვრეტი,
 არ შეხვდება:
 ურვით,
 დარდით,
 სავაგლახო, —
 დღეთა
 მშრეტი...
 ბრძენმა ბრძანა:
 მეტის —
 მეტი,
 სიყვარულიც,
 არის —
 რეტი...

9. IV. 2017

ასე მგონია...

უნდა ნავართვით
 დროს —
 მეფის კვერთხი,
 არ გავატანოთ —
 ამოდ, —
 ქართო...
 ასე მგონია:
 ორი ვართ —
 ერთი, —
 და... ვერ დაგვტოვებს —
 სიკვდილიც, —
 მარტო...

14. III. 2017

უნდა მოვასწროთ...

რა დიადია:
 სულიც,
 გულიც, —
 ვარდი რო არი...
 სიყვარული, ხომ,
 სასწაული —
 მაღლი რამ არი...
 უნდა მოვასწროთ
 სიყვარული, —
 სანამ —
 დრო არი,
 სანამ —
 ვარდებზე დაგვყვრიან
 მიწას, — სამარის...

19. VI. 2017

რა არის — ჩვენი ცხოვრება?!..

ხალხური მოტივით...

ვინ ეძებს
 სულის ცხოვრებას?!..
 შულ-ჯავრმა
 გადაგვიყოლა...
 რა არის —

ჩვენი ცხოვრება? —
 იყო...
 და...
 არა იყო... რა...

10. VI. 2017

სავსე თავთავი თავდახრილია...

ეს სიბრძნე ითვლის:
 უამრავ
 ას წელს,
 სიბრძნე ჰგავს
 უფლის —
 ბაღჩას, — ხილიანს...
 „ფუყე თავთავი
 თავს —
 მალა
 ასწევს,
 სავსე თავთავი —
 თავდახრილია...

2. V. 2017

შენ, ჩემო — ნატვრისთვალო...

ფიქრებში
 მიმალულო,
 როდემდე —
 დარდი ვთვალო?!..
 შენ,
 ჩემო —
 სიყვარულო,
 შენ,
 ჩემო —
 ნატვრისთვალო...

26. VII. 2017

ლამის...

ფრთები აქვს
 ვისაც:
 ყვავ-ყორნის და...
 მადა კი —
 მგლური,
 ქვეყნის და
 ერის
 ამომძირკველს, —
 სიავის ბოცას,
 ბუდიდან —
 ლამის,
 ამოვარდეს,
 ამოხტეს —
 გული,
 ხალხის სახელით
 ლაპარაკობს —
 სატანა, როცა...



უნიჭობის – სინონიმი...

ქარად იშვა,
წავა,
როგორც — ქარი,
სადაც ზეობს,
ილრუბლება —
იქ, ცაც...
დღეს, —
რამდენის:
სახელი და
გვარი —
უნიჭობის
სინონიმად
იქცა...

7. VI. 2017

რად მეჩვენება?!..

რად მეჩვენება:
ღმერთო ჩემო?!..
ცეცხლი რად
მავსებს?!..
რიგში დგებიან —
თითქოს,
წლები, —
დარდით
მზარავი...
სუყველა ფიქრობს:
თითქოს,
მხოლოდ,
საკუთარ —
თავზე...
და...
ქვეყნის ბედზე,
ხალხის ბედზე,
ნუთუ —
არავინ?!..

23. II. 2017

ტყუიხარ, როჯა...

თვითონ დაისხა
თავზე ლაფი —
ტყუილის ბოცამ,
გაზომე ასჯერ, —
რასაც ამბობ,
ერთხელ —
გადასჭერ...
თავს თუ, იმართლებ, —
სავალალოდ,
ტყუიხარ, როჯა —
ერთხელ კი არა,
მტყუანი ხარ:
უფრო, —
ათასჯერ...

17. VIII. 2016

ჭია...*

ზეობდა:
სისხლის,
ცრემლის
დამდენი —
ცა — მზის ქვეშეთში
ყველას
მძლე ვარო...
ასე —
ფიქრობდა:
ჭია, —
რამდენი?! —
დაბლა —
ღმერთია,
მალლა —
მე ვარო...

3. XII. 2016

*ყველა, — ქედმაღალი,
ამპარტავანი და დამპყრობელი —
არარაობა, ჭიაა, — მხოლოდ...

სოფიალოური იერარქია...

ვიფიქრე:
„ანი“,
„ჰოე“
და... ამ კითხვასთან
შევდექ, —
მონათმფლობელი და —
მონა...
ფეოდალი და —
ყმა...
კაპიტალისტი და —
მუშა...
შემდეგ?..

10. VIII. 2017

რა, სამარცხვინო, — რამ, არის?!..

ძმისთვის, ვინც —
დაშნას
აღესავს,
თავს უწყობს მოთხრას —
სამარის...
ვინც —
დღეს, ერთს ამბობს,
ხვალე — სხვას,
რა, სამარცხვინო, —
რამ, არის?!..

14. VII. 2017



სიბრძნე...

სიტყვა, —
 სულ სხვაა:
 პარლამენტის,
 ქუჩის, თუ —
 ბაზრის, —
 სიბრძნე ძნა არის —
 სიბრძნის ყანის, —
 ვაგროვებთ იმ ძნებს...
 სიბრძნეა —
 ხალხის სიკეთისთვის,
 ღვთიური
 აზრი, —
 არც — ლაილაი,
 არც — ლაქლაქი
 არ არის სიბრძნე...

15. VI. 2017

ვერ წავიყვანეთ ქვეყანა ნაღმა...

ვერ დავაღწიეთ
 თავი —
 ბანრად გაკიდულ
 აღმართს,
 ვერ ავაბრუნეთ
 ნაღმა:
 ქვეყნის —
 ცხოვრების ჩარხი,
 ქვეყანაც,
 ხალხიც —
 როგორ წავა:
 უფლის გზით, —
 ნაღმა?! —
 ჯალათი,
 როცა ლაპარაკობს —
 სახელით ხალხის...

8. IV. 2010

დავფიქრდეთ უნდა...

დავფიქრდეთ
 უნდა, —
 კუპრის ქვაბში
 ქვეყანა
 როა,
 ანგელოსს —
 საქმე
 რომ ვუძრახეთ
 და... ეშმაკს
 ვუქეთ?!..
 რა საჭიროა —
 ქარაფშუტა სიტყვების
 გროვა?!..
 როდესაც —
 საქმე ლაპარაკობს, —
 ყველაზე
 უკეთ...

მეფე...

ჩვენ —
 ლამაზ სახელს
 ღირსების
 მზე გვფენს, —
 სიკეთის სხივით —
 მზისებრ,
 ვივსებით...
 ვინ —
 მხოლოდ,
 ტახტით ბრძანდება —
 მეფე,
 ვინ კი:
 სინდისით,
 სიბრძნით,
 ღირსებით...

აღალი და ავსული...

ხან, —
 გვიან არის:
 ვაი,
 ვუი,
 ვიში,
 ვალალი,
 ყველას სურს:
 ჭირი, რაც გარდახდათ,
 იგი —
 კმაროდეს...
 წუხს შეცდომებზე —
 გულმდულარე,
 ნრფელი,
 ალალი,
 მაგრამ...
 ბოროტი
 და ავსული —
 არ-რით,
 აროდეს...

2. III. 2017

ჯოჯობეთია — სიწოცხლე, — ასნილო...

გულის მზე, —
 თუმცა,
 ზეცამდე ასნი,
 ვერ გაიხადე —
 კაემნის
 მანტო...
 ჯოჯობეთია —
 სიცოცხლე, —
 ასნილ,
 რჩები ტკივილთან,
 როდესაც, —
 მარტო...

15. III. 2017



ექო...

გვეშლება, როცა —
 თეთრი და
 შავი,
 გვაქვს, როცა —
 სხვისთვის,
 სიავის ნუკვა,
 სხვებისთვის, როცა —
 გვწყურია
 ავი,
 ის ექო —
 მუდამ,
 ბრუნდება უკან...

19. III. 2017

ღირსება...

ატლასითა და
 აბრეშუმით
 რაც უნდა
 ფუფუნონ,
 ჩანს —
 შავი სული
 სხეულიდან, —
 ჭირით და
 ვნებით...
 ღირსება ბრწყინავს
 ბრილიანტზე —
 ათასჯერ
 უფრო,
 მაგრამ...
 ღირსებას
 ვერ ხედავენ, —
 ღირსებით
 ბრმები...

7. I. 2017

მზიური...

**ვუძღვნი ბავშვთა სიმღერის
 ლეგენდარულ ანსამბლს — „მზიურს“...**

ხმებს — ორფეოსის:
 ფანტავს — მზიური,
 მზისდარ, —
 ხან — მიწას,
 ხან — ცას დაუვლის...
 რა — ჯადოსნური?!..
 ფანტაზიური!!!..
 რა — ანდამატი!!!..
 რა — სასწაული?!!!!..

P.S.

დღეს, —
 სიმღერები —
 უფლის სადარი,
 სად დაიკარგა?!..
 ნეტავ, სად არი?!..

19. II. 2017

ჩემი უფალი...

ნლები —
 ფიქრით და...
 ბრძოლით ილია,
 ვარ —
 ნუთისოფლის
 შხამის მწრუპალი,
 და... ვითარ, —
 ბრძანა —
 ბრძენმა ილიამ,
 სინდისიც არის
 ჩემი უფალი...

27. I. 2017

ჰკითხეთ...

ჰკითხეთ:
 ებრაელს,
 ბერძენს,
 რომაელს,
 ქართველს,
 ესპანელს,
 რუსს, თუ —
 ბრიტანელს:
 ქაჯები
 ღმერთებს
 რად ვერ
 იტანენ?! —
 სიყვარულით
 და...
 აზრით —
 ტიტანებს?!..


17. XII. 2016

არა ყოფილა... და... არც იქნება...

ზოგი რომ კარგავს:
 ტახტს და
 დოვლათს,
 ესხმება — რეტი,
 ინვის — განცდებით,
 ინვის — დარდით,
 ინვის — ფიქრებად...
 დიდი ტკივილიც,
 დიდი დარდიც —
 მამულზე მეტი,
 არა ყოფილა,
 არც-რა არის...
 და...
 არც იქნება...

3. III. 2017





რაიმონ ადამია



მოაკვლავი ცხენი

ჩვენი სახლ-კარიდან დასავლეთით, მიმდებარე რამდენიმე ჰექტარი შავნიადაგიანი მიწაა, რომელიც ერთ დროს მთლიანად ბაბუაჩემს ეკუთვნოდა. ამჟამად უამრავი ძველისძველი ჩაჯირკული ბოლის ხეებითაა სავსე და რამდენიმე მსხვილ-წვრილ ტოტებჩამომტვრეული ხნიერი კაკალიც დგას. დღეს ესენი, ყველაფერი კოლმეურნეობის საკუთრებაა და ამ ყანებში სიმინდთან ერთად სოია და ლობიო მოჰყავთ. ყოველ შემოდგომით, ოქტომბრის თვეში, მოსავალს რომ აიღებენ და დააბინავებენ ფართობებში შესასვლელ შუკებთან, ნაჯახით გათლილი აკაციის ხისგან შეკრულ განით-ჭიმკრებს გახსნიან და იქაურობა ახლომახლო ოჯახების საქონლით, უამრავი ღორით და კიკინა თხებით გაივსება. ზოგჯერ მათში მდიდარი კომუნისტების ცხენებსაც იხილავს კაცი. ამ უახლოეს ყანებსა და სადავითაიოს მრავალნაკვეთიან სათესებს შორის პატარა წყალსუფთა ანკარა მდინარე გაედინება, მისი ორივე ნაპირი თხმელას სხვადასხვა ზომის და ხნოვანების ხეებით, ეკალბარდებით და უამრავი სახეობის წვრილ-ტოტებიანი მცენარეებითაა დაბურული, რომლებიც მხოლოდ მარჯვენა და მარცხენა ნაპირების მიყოლებითაა ჩამწკრივებული. ეს ზოლები საერთო სიმდიდრესთან ერთად სადავითაიოს და საადამიოს მცირე ქარსაფარის მოვალეობასაც ასრულებს. სოფლის რომანტიკულად ორად გამყოფი მდინარის მიწათხრილი ანუ სავალი ჩემს ბავშვობაში ღრმა არ იყო და ზაფხულის, ზოგჯერ გადაუღებელი წვიმების შემდგომ საკმაოდ რომ ადიდებოდა, აღმოსავლეთის ჩვენი მხრის ყანებს ნახევრად გადარეცხავდა, გაღმა მონითალომინიან, ნაკლებმოსავლიან ყანებს კი წყალი არ ეკარებოდა, რადგან მათი სათესი მიწები, მთის ძირიდან თანმიმდევრულად მდინარის ნაპირამდე დაქანებული იყო. უცნაური სახელი ჰქვია ჩვენს პატარა მდინარეს, რომლის სათავე იწყება კვარჩღალის სოფლის მრავალგორაკიანი მთიდან; ოცნებასავით ანკარა წყარო უხმო ბუტბუტით რომ ამოდის — მთებსშუა ჩაღრმავებული და ლამაზი მოლურჯო მწვანე მრგვალმსხვილი ქვების ბუნებრივად გამაგრებული გარემოცვიდან, ზაფხულობით საკმაოდ ცივია, ზამთრობით კი ოდნავ თბილი და რომ დაღვე, თავისებური საამო წყალსირბილე დაჰყვება. ბუნების ამ ლირიკული განწყობილების წყაროს წყალი უვნებლად მოკანკარებს და დაღმა სოფლისკენ თამამ-ლიკლიკით მიემართება. გაგიკვირდებათ და, ქვეყნის ჩრდილოეთით, დაბალ ბუჩქნარებში ზოგან, თითქოსდა მორცხვად ჩამალული დაახლოებით ნახევარ კილომეტრზე მეტს აგრე გაივლის, მერმე უფრო თამამად დაადებს წყაროსეულ გამჭვირვალე თავს

და ჩრდილო-სამხრეთით ლალად გაედინება. ხოლო სოფელ ქვემო სორტის (სორტი, ძველი კოლხეთის მეფის სახელობისაა) მთის ძირიდან, უკვე მართლაც ძლიერ ამოჩუხჩუხებული, რამდენიმე მოზრდილი და ასევე პატარა შენაკადებითი თვითმყოფადი ჰარმონიული წყაროთა ჯგუფია. ერთ-ერთ ოდნავ განცალკევებულ წყაროზე კომუნისტ მეცნიერებს ანალიზ-გამოკვლევები ჩაუტარებიათ და დაუდგენიათ, რომ კუჭ-ნაწლავს კურნავსო (ალბათ, დროთა ჟამში ახლომახლო მცხოვრებლებმა შეამჩნიეს). მახსენდება, რაიონში ხმაც გავრცელდა, ამ წყაროებთან ორი თუ სამი სანატორიუმის გაშენებასაც აპირებენო, მაგრამ ჯერჯერობით მაგდაგვარი არაფერი გაუკეთებიათ და ამ სახის ბუნებრივი წყალ-სიკეთე კაცთათვის გამოუყენებლად იკარგება. შემდეგ ერთად შერწყმულ, თავმოყრილ ამ მდინარეს უხსოვარი დროიდან ადგილობრივ მცხოვრებლებს მერსიოლე დაურქმევიათ. მასში პატარა ზომის ულამაზესი თევზებ-ლიფსიტები ბუდობენ, ალბათ ისინი რომ წამოიზრდებიან, დიდი მდინარეებისკენ გადასახლდებიან და უთუოდ დროთა ჟამში ტეხურის მოზრდილ ტარანებად გარდაიქმნებიან. დღეს მრავალნი, თანასოფლელები თუ სტუმრები, ხშირად კითხულობენ, ამათი აგრე განსხვავებული სახელები საიდან წარმოიშვა. ამ შემთხვევაში, არ გახლავთ არავითარი ბუნდოვანი მითოლოგია ან შორეული ისტორიული მინიშნება. მხოლოდ ხალხურ ზუსტად შემადარ და ბუნების რეალურ მოვლენებთან გვაქვს საქმე, რომ წყაროსთვის კვარჩღალუ დაურქმევიათ, ანუ უკუღმართი წყარო — ლელე. რახან ის, ყველა მდინარეებისგან განსხვავებულად გაჩენილი, არღვევს გეოგრაფიულ ნორმებს და ჩრდილოეთით ულამაზესი კავკასიონის მთების მიმართულებით მიედინება. რა მისი ბრალია, კვარჩღალუს უზარმაზარმა მთებმა უცნაურსა და უჩვეულო ადგილზე რომ დაბადეს, იქ, სადაც ასი მეტრის იქით, ლოლა ადამიას უძველესი ეზოს გაღმა, დაახლოებით შვიდი კილომეტრის სიგრძის საკვირველი მღვიმე გადის. წარმოიდგინეთ, ამ პატარა წყაროს სახელი შერქმევია იქაურ მთებსაც და სოფელსაც. ამდაგვარი უკიდურესად უცხო დინების თვისებებიდან გამომდინარე წარმოიშვა მისი პირობითი სახელი და ახლომახლო, როგორც გიამბეთ, გარემოსიც. ხოლო მდინარე მერსიოლე კი, სოფელში ისიც თავისებურად ნახევარწრედ მიედინება და მართლაც რომ ფიზიკურად ტრიალებს. მერმე ჩვენი სამეზობლო ყანებიდან ლამაზად და მდუმარედ ჩაედინება, შემდეგ უერთდება ორჯერ თუ სამჯერ მასზე დიდ მდინარე ნახურს, რომლის სიგანე ზოგ ადგილას ხუთ მეტრამდე აღწევს. ისიც შედარ-



ებით პატარა წყნარმავალი მდინარეა, ზოგ ადგილას ფსკერის მწვანე-მოყვითალო ხავსიანი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვები თავისუფალ ზეცას მწყურვალედ ეფერებიან; აქაც თევზის მრავალსახეობა ბუდობს მოშავო, დიდლაყურა ღორჯოებით დამთავრებული და ყავისფერი კიბორჩხალების სიმრავლეცაა. უსაშველო ივლისის წვიმებისას ნახურმაც უზომო აღიდება იცის. იყო შემთხვევა, ყოფილი მაზრის, ძველსენაკის ცენტრი და ახლომახლო ოჯახები დიდი ზიანის მიმყენებლად რომ დატბორა. ჩვენი სოფლის სამივე მდინარის არსებობა სახელები, შესაძლებელია, ეგრისის სახელმწიფოს უძველეს ისტორიაში ეტევა. თუკი ესენი რამდენიმე ათასი წლისანი არიან, მაშინ მათ წყალდინებას ლეგენდარული კოლხეთის ჰაერშიც უბანავიათ. უბნის ბავშვები, ზოგიერთის გამოკლებით, მდინარე მერსიოლის მოსიყვარულე და ხშირი სტუმრები ვიყავით. ხან მის ნაპირებთან შურდულისთვის ზღილის მრავალწლიან, ორად გაყოფილ ტოტებს ვეძებდით, ვიპოვდით და საგანგებოდ მოვჭრიდით. ზოგჯერ მრგვალი ქვის კენჭებით ჩიტებზე და შაშვებზე ვნადირობდით, მაგრამ ჩვენგან მოკლული კი არა, ფეხდაზიანებული ბელურა, სკვინჩა თუ შაშვიც არ გვინახავს. ზოგჯერ ტანჭრელი და თვალჭროლა გულმამაცი მიმინოები თავზე გატყორცნილი ისარივით გადაგვიქროლებდნენ, როდესაც გაავებულნი ჩიტებს თავს ესხმოდნენ. ერთ მშვენიერ, თბილსა და ოდნავ ღრუბლიან დღეს, დილის საუზმის შემდგომ, ბავშვები ჩემს ეზოში, ორასწლოვანი კოპიტის ხის ქვეშ შევიკრიბენით, ვითათბირეთ და სათამაშოდ მერსიოლესკენ წავედით. გვიანი მშვიდი შემოდგომის პირი იყო. ასეთ დროს ჩიტები თუ შაშვები ძალიან მოძრავნი არიან და მათ ფრთათა ფრთიანი და ხშირი გადაფრენა-აჟივჯივება გარემოს აცოცხლებს. შაშვები, განსაკუთრებით მამლები, თუ დააფრთხო რამემ, ჭახჭახით აიკლებენ იქაურობას და შორ-შორი მანძილებით მოხერხებულ ბუჩქებში გადაადგილდებიან და დროგამოშვებით ფხიზლად ისევ კუთავენ. ოთხივეს გამხმარი, კანგაცლილი მოკლე — თხილის ჯოხები გვიკავია და ხმალაობის თამამ-ხტუნაობით მერსიოლესაკენ გავრბივართ. ამ დროს, შუა, ოდნავ ჭაობიან ფართობში შევნიშნეთ, რალაც დიდი ცხოველია ჩანოლილი. ასეთ დროს ძროხები თუ ღორები არასოდეს არ ისვენებენ. ისინი მთელი დღე ყანებში დინჯად დადიან და საკვებს პოულობენ. აღელვებულნი — ქლოშინით და გაკვირვებულნი მისკენ მივინევთ და, რას ვხედავთ! მარცხენა ფერდზე დანოლილი ცხენი ყურებსა და კუდს არ ამოძრავებს და ცოცხალ-მკვდარი, ნაცრისფერ-ცისფერ-ჭუჭყიანი ტალახმოსვრილი ტანით, საცოდავად გამხდარ ძვალ-ტყავად ქცეული უღონოდ გდია. თან ცნობისმოყვარეობით შევყურებდი, რადგან მინაზე დანოლილი ცხენი არასოდეს მენახა. გაცელებული და ოდნავ დამფრთხალი ბავშვები თავზე ვადგავართ და იქით-აქითაც ვიყურებით: შალვა, დემური, გივი და მე. უძღურს თვალები ოდნავ გახელილი აქვს, მისი სუნთქვა არ გვესმის. უაზროდ და უმისამართოდ იმზირება, საცოდავს უპეები ჩაყვითლებია და ტანჯვის ცრემლიც შეშრობია. საიდან და რისგანო და უამრავი აბეზარი ცერა თითისოდენა მუქი ლურჯი მონადირე ბუზები სახეზე და თვალებზე დასევია. შეძრწუნებულმა უმალ პერანგი გავიხადე, ნერვიულად გავფერთხე და საზიზლარი პარაზიტები მოვაშორე. თან ბავშვები ერთმანეთს დღევანდელ ცოცხალ გეგმა-ფანტაზიას ვაყალიბებთ. როგორმე ეს მოვაკეთოთ, ბიჭებო, და დღეიდან საკუთარი ცხენი გვეყ-

ოლება, — აგრე გახარებულნი და დასაქმებულნი ურთიერთს ვახალისებთ.

ჩვენ ვერ ვამჩნევთ თუ არა, ბნელეთის მსახური სიკვდილი ძალიან ახლოს დაიარება თურმე, დალეული, უდანაშაულო, კეთილი მსხვერპლის უკანასკნელად მიმხედავ-იმქვეყნად წამყვანი.

ასეთ უღონოდ დავარდნილს ხან ფეხებზე ვექაჩებით, ზოგჯერ სევდიან, შეწუხებულ თავსაც ვებლაუჭებით, მაგრამ ადგილიდან ვერა ვძრავთ. მერმე მეზობლის ლობიდან, ეგერ-აგერ ფარულად, აკაციის მსხვილი მესრები დავაძვრეთ. როგორ და რა მიდგომით არ ვანვალვებთ ამ მოურჩენლად თავმიდებულს, მაგრამ ვერაფრით ფეხზე ვერ დავაყენეთ. ჩვენსკენ სტუმრად წამყოფი, სოფელ სადავითაოსკენ მიმავალი ქალები და მამაკაცები ჩვეულებრივ შემოგვეხმიანენ, დაანებეთ, ბავშვებო, თავი, მაგას თავისი გაჭირვება ეყოფა, გამოუჩნდება მფლობელი კაცი და თვითონვე მიხედავსო.

შალვა — ძმა, ჩემზე სამი წლით დიდი იყო, უფრო მარდი და ღონიერი, თავისი ნებით სახლში გაიქცა, საცოდავი მშვიერი იქნება და ახლავე საქმელს მოგუტანო. მართლაც, ძალიან მალე ძველისძველი თუჯის ქვებით, თბილ წყალში გახსნილი ყვითელი სიმინდის ღერლილი მოარბენინა, უძღურს საკვები პირში ძალითაც ვერ ჩავასხით. როცა ძლივძლივობით ქვედა ყბა ჩამოვუნეთ და პირის ღრუში ჩავიხედეთ, კბილები თითქმის არ ჰქონდა. ჩაყვითლებული რამდენიმე ცალილა უჩანდა, ისინიც ბოლომდე დალეულ-გაცვეთილი; ენა ტყავივით გამშრალი ჰქონდა. — ეს ცხენი ძალიან ბებერია, ბიჭებო, — ვთქვი. — მერე რა? — მიპასუხა გივიმ. დემურმა, უფრო ნერვიულად კუდიტ დაუნყო იქით-აქეთ ქაჩვა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს ამდაგვარი უთავბოლო ნვალება-შრომით და შედეგის უიმედობითაც დაძაბულ-დაღლილები, ბეჩავს ირგვლივ მივუსხედით, ჭირისუფლები მიცვალებულს რომ მიუსხდებიან, ისე და გაურკვეველი გლოვა-დუმილიც ჩამოწვა. ამასობაში შემოგვალამდა კიდევაც. ჩემი და გივის დედები, ცალ-ცალკე თავიანთი ეზოებიდან, გაბმული, ნერვიული ხმით გვეძახიან, დაღამდა უკვე და მოოდით სახლში, ჭამა მაინც არ გინდათო? მერმე, სანამ დავიშლებოდით, შეფიცულებივით ერთპირად მოვილაპარაკეთ, ხვალ დილიდანვე დიდი ბიჭებიც დავიხმარიოთ და ამ ცხენს აუცილებლად ფეხზე დავაყენებთო. ამდაგვარი იმედ-ფიქრებით საკმაოდ დაქანცულები, ტიტინ-საუბრით ურთიერთს დავშორდით და სახლებისაკენ დავიშალენით. უთუოდ გარდაუვალი იყო, რომ ამაღამდელი ღამე გამიხდებოდა მძიმე და მწარედ-გაუთენებელ ოცნება-ფიქრ-ფანტაზიებით სავსე. ვითომ ეს შემთხვევით ნაპოვნი უცხო ცხენი, კარგად მოკეთებული, ჭალაში გავიყვანეთ და ტეხურის პირას ვაჭენებთ. მანამდე საპნით კარგად დავბანეთ და საგულდაგულოდ დავვარცხენეთ. ამ სახის ოცნებებში მიდიოდა გაუთავებელი ჩემეული მრავალშინაარსიანი ღამე. ერთი დრო იყო და მარტომ დავაპირე ყანაში დავარდნილ და მიტოვებულ ცხენთან გასვლა, მაგრამ დაუნდობელი მგლებისა და ტურების შიმშა შემაკავა. ასე გონამღვრეული ვწევარ და სინანულით ვიგონებ გუშინდელი დღის სევდიან მოვლენებს.

რა მაინცდამაინც ამ ყანაში უნია სიბერემ და სიკვდილმა, ცალყბად ჩაილაპარაკა მუხლებამდე შარვალაკაპინებულმა და შემთხვევით გამვლელმა მამაკაცმა, რომელიც მრავალგოჭებიან, ტალახისგან აყვითლებულ, მოთეთრო დედა ღორს მიერეკებოდა. მანაც იმ კაც-ქალებივით მოგვაცახა: — ნუ აწვალვებთ,





ბიჭებო, და თავის ნებაზე აცალეთ სიკვდილი მაგ საცოდავს! საკვირველი ის იყო, არსაიდან მომკითხავი მესაკუთრე რომ არ ჩანდა. მართლაცდა, აქამდის როგორ მოაღწია მთლად ბებერმა, მაგრე დაავადებულმა მომაკვდავმა. ალბათ ყანებში უკანასკნელი გასეირნება იყო მისი. კითხვა-პასუხებიც არ მასვენებდა და ღამე ხშირ-ხშირად ყანის მხარისკენ გამავალი სანოლი ოთახის ვინრო ფანჯრიდან ვიცქირებოდი, მაგრამ იმ სიშორიდან უმთვარო ღრუბლიან ღამეს რა უნდა დამენახა. თან სულ სხვა, მოუსვენარი აზრიც მიტრიალებდა თავში. რატომ მაინცდამაინც ამ ღამეს არ ისმის იმ გარეწარი ტურების კვილ-ღნავილი? რაშია საქმე?! ცალკე ასეთი მძიმე ეჭვებიც მღრღნიდა. ალბათ ქვემო სორტის ყანებში დაძრწიან; იქ, მინდვრის თავგებზე და ვირთხებზე თუ ნადირობენ: შემთხვევით ფიზიკურად სუსტი გოჭი, დედა ღორს რომ ჩამორჩეს, ის უკვე დაღუპული და მათგან დაფლეთილ-შეჭმულია. ეს ღორები მართლაც რომ დოყლაპიებია, შენს შვილებს ბოლომდე არ უნდა მიხედო? მაგ მჩხავანა, თახსირ და მშიშარა ტურებს რომ არ დააგლეჯინო. ვფიქრობდი ჩემთვის, კიდევ კარგი, მაგათი ხმა-კნავილი არ ისმის. წარმოიდგინეთ, ჩვენს მომაკვდავ ცხენს თავისუფლად დაესევინ და რა დღეში ჩააგდებენ. ამათზე ბევრად უფრო უარესზეც მანვალებდა ფიქრი და დარდი. ავბედითად მშიერმა მგელმა თუ ჩამოიარა კვარჩხლალუს მთიდან, ტეხურისაკენ მიმავალმა და, თავში უმაღლვად ინათა, უფროსები რომ ყვებოდნენ, კარგ ამინდში, უფრო მთვარიან ღამეს, მდინარე ტეხურში მგლები საბანაოდ დადიანო. გზაზე გოჭი, მოზრდილი ღორი, თხა, ხბო და დედას ჩამორჩენილი ჯიუტი კვიცი თუ შეხვდათ, გამოეკიდებიან და ააკვილებ-აბლავლებენ და ძვლებად დაყრიან. შემდგომ მსგავსი შემაშფოთებელი მრავალი ფიქრი ერთმანეთს მუქი ფერებით გადავაბი და მაინც სასიკეთოდ დავადგინე, არა მგონია, საქმე მაგრე იყოს. არავითარი საბანაოდ, მგლები უფრო მსხვერპლის საშოვარზე ჩამოდიან მთიდან და გულთამამად გადიან ჭალებში, ტეხურისპირა მინდვრები ხომ მათთვის მდიდარ სათარეშოს წარმოადგენს. თუმცა მდინარე ტეხურში, ნადირის ბანაობის თქმულებებსაც ზოგჯერ ვიჯერებდი და მსიამოვნებდა კიდევაც. ღმერთმა დაგვიფაროს და მშიერ-დაუბანელმა ამ ღამეს მთიდან თუ გადმოიძუნძულა, ხვალ დილას, ჩვენი საცოდავი და ყოველმხრივ დაუცველი ცხენის დაღრღნილი ფეხების კოჭებილა დაგვხვდება. თუმცა მეორე დღეა, ცა ღრუბლიანია და მგონი წვიმასაც აპირებს. ეს დაძაბული და გაუთენებელი ღამე უთავბოლო ფიქრებში გავატარე: ვითომ ჩვენი ცხენი ბიჭებმა ყოჩაღად წამოვაყენეთ, ვაბალახეთ, ვედროთი ბლომად სიმინდიც ვაჭამეთ, მოვამჯობინეთ კიდევაც და მდინარე მერსიოლის პირას რიგრიგობით შემჯდარნი ვასეირნებთ.

აბა რა გასაკვირია და ამდენი ბიჭი სასმელსა-საჭმელს როგორ მოვაკლებთ. გუნებაგაბადრული ამდაგვარი მოჩვენებითი სურათის ხილვებითაც ვტკებოდი. მერმე სამწუხაროდ ერთ-ერთი სიზმარი მწარედ დამიმძიმდა და ცხენს ჩვენდა დამაღონებლად ნამდვილი მზრუნველ-მესაკუთრე გამოუჩნდა. ამდაგვარად განწყობილებანამხდარ ბავშვებს ეს ყაზახი კაცურ მადლობასაც არ გვეტყვის და თავის ცხენს „აჩუ-აჩუ, შე სამგლე!“-ს ძახილით გაგულისებულ მარდად წაიყვანს, თან საყვედურსაც კი მოგვაყრის: — „თქვე მირსიოლეს უსაქმურო ჭინკებო, იმდენი გითხარიკებიათ და გიჭენებიათ, ეგ საცოდავი კინაღამ მოგიკლავთ“. წარმოიდგინეთ, მაგ შემთხვევაში,

ტყუილუბრალოდ ასე შეურაცხყოფილი და გულმკვდარნი, როგორ ხასიათ-გუნებაზე დავდგებოდით. ეს უხეში ვირკაცა მეცხენე ხომ ბესრეკი, გაუჩორკნავი-ჩაჯირკული მამაკაცი იყო, ასევე ტურჩბამოყრილი და წვერგაუპარსავი: მისმა ველურობამ შეგვაშინა, თორემ ჩვენგან ნასროლი ტალახიანი ქვების და მინის ბელტების წვიმას დაუზოგავად დავაყრიდით. წარმოიდგინეთ, რომ მაგრე დამლელად დამთავრდა ამ საცოდავი ცხენის ამაზრზენი სიზმრის მწარე თავგადასავალი. ესენი ხომ ყოველივე ღამეულ ხილვებში, ფიქრებში და ოცნებებშია ნანახ-გადატანილი, ხოლო ხვალინდელი ნამდვილი დღეა ჩვენთვის მთავარი. ოღონდაც მშვიდობით გაგვითენდეს და ამ დამბლადაცემულ, უიმედოდ დაგდებულ ცხენს ვაუკაცურად მივხედავთ და მართლაც რომ კარგი ვეტერინარი ექიმებივით ფეხზე წამოვაყენებთ. სასიამოვნო მომავალზე დაიმედებული ჩემთვის თამამად, თბილ ლოგინში ვტრიალებ, თან ვგულიანდები. ამასობაში ფიქრებ-ოცნებებისგან დაღლილს, ისევე ჩამძინებოდა. შემდეგ, მრავალი ჯანსაღი, ტანსრი-ალა ცხენები დამესიზმრა; შავ-მოთეთრო მგლების გახელებული და მშიერი ხროვა ფეხდაფეხ სისხლიან ენაგადმოგდებულნი რომ მისდევდა ტალღასავით არეულსა და გაფიცხებით ცეცხლნაკიდებულ რემას. ისინიც ცხენეული თავანყვეტით უდაბნოს ცხელი ქარიშხალივით მიქროდნენ და ყველაფერი მგლებიანად უკან ჩამოიტოვეს, მხოლოდ ყვავ-ყორნების ჯგუფები აკონტროლებდნენ ამღვრეული ციდან იქაურობას. ამ ფორმის, შინაარსის მოქმედებამდგომარეობის სიზმრებიდან გამომდინარე, მძინარეს, ბედნიერი სახის გამომეტყველება მქონდა ალბათ. როგორც იქნა გათენდა და მეშველა. სრული დღე და ღამე, შრომითა და ანთებული ემოციებით დაღლილ-დაქანცული ლოგინიდან ვერ ვდგები. გივი, კარის მეზობელი და უახლოესი ძმაკაცი, დედისერთა ბავშვია. სხარტი, კეთილი და იუმორით სავსე, ქვრივი დედა ზრდის. მამა დიდ სამამულო ომში წაიყვანეს და არ დაბრუნებულა. ხოლო ჩემი, ომიდან კი ჩამოვიდა, მაგრამ ორივე ფეხზე ყველა თითმოჭრილი და რამდენიმე ორდენ-მედლით ქალაქ ცხაკაიდან ერთცხენიანი ფაეტონით ჩამოიყვანეს. დედაჩემი, მინადორა ხორავა იმ დღიდან კი არა, ომის პირველი წლებიდან მოყოლებული ოჯახში კაციც იყო და ქალიც. თან ოთხ შვილსაც ზრდიდა. ზოგჯერ აუცილებელ სამუშაოზე, კოლმეურნეობის ბრიგადირი მეზობლებთან ერთად გაიყვანდა ხოლმე. ამავე დროს, დიდი ყურადღებით, თითქმის ლოგინს მიჯაჭვულ ინვალიდს, გამოცდილი ექიმივით უვლიდა. თუმცა ბებია და მამიდაც ესმარებოდნენ, მაგრამ... მახსოვს, ბავშვი ნათლად ვგრძნობდი, დედა მაინც ბედნიერი და ხალისიანი რომ იყო...

უკვე დილაა, ღრუბლიანი. გივი სასთუმალთან მიზის, მეტიტინება, მეთამაშება და თავის თხილის ჯოხით მიჩხიკინებს, თან მეუბნება: ადექი, ბიჭო! დროზე წავიდეთ ყანაში და დროზე ვნახოთ ცხენი როგორაა. არ გატყუებ! ამ დილით, შორიდან რომ გადავხედე იქაურობას, რაღაც არ მომეწონაო. ამის გაგონება და ლოგინიდან ბუიკნაკბენივით წამოვხტი. მოკლე ტოტებიანი შავი გახუნებული სატინის შარვალი საჩქაროდ ჩავიცვი, ჩინური ცხვირმოზრეცილი კალოშები ფეხზე მოვირგე და ყანისაკენ ფიცხლად გავკურცხლეთ. როგორც შეგვეძლო მარდად გადავირბინეთ მეზობლის, მარგალიტა ზარქუას მიტოვებული ეზო და ცხენს რომ მივუახლოვდით, ვაი! თავო ჩემო! რას ვხედავ. ყველასგან მივიწყებული, უღონოდ დავარდნილი, მრავალხროვა ტურებს თითქმის შეუ-



ჭამიათ, წუნკალურად, უდღეურად დაუღეჭიათ მაგ ლაჩარსა და პირსისხლიანებს. თვალები თავის ქალის ძვლამდე ამოუთხრიათ. მუცელი ხომ მთლიანად გამოუხრავთ და გულ-ღვიძლიანად უძიძგნიათ. ასე საცოდავად დაგვეღუპა და ჩვენს ყანაშივე დავკარგეთ ლურჯ-მონაცრისფრო, თვალებდანილულ-ცრემლებშემშრალი, ჩვენგანაც სამარცხვინოდ უყურადღებოდ უკუნ უფარსკვლავო ღამეს მიგდებული ცხენი. რაზეც უკვე, მხოლოდ მოგონებებია დაგვრჩა. მე თავად, მრავალგანცდებიან ძილბურანში მყოფს, რა ვიცოდი, ეს უცხო ცხენი, წუხელის მარტოდ არ ყოფილა: უკვე უბოროტესი სიკვდილის უსაშველო გარემოცვაში ჩავარდნილს, ბნელეთის ტურებიც გაცოფებულნი აჩქარებდნენ მსწრაფლ მოკვდინებას და სიცოცხლის ამომძირკვავის თანაშემწეებს მის დაძაბუნებულ სხეულზე აგრე თავისუფლად უთარეშნიათ. მომაკვდავი ცხენის აზრწართმეული სხეული სამუდამოდ დაასვენეს თუ წამებით სანვალეზლად ისევ იმ ქვეყანას მიჰგვარეს, მხოლოდ უფალმა იცის... ამ ძალიან დასანანი ამბის შემდგომ უბნის ყველა თვალცრემლიანი და დაღონებული ბავშვი ჩვენი ოჯახის ბარებით და თოხებით შევიკრიბებით. ზოგიერთ მოზრდილსაც ვთხოვეთ და ფეხმოკლე და სახემხდალი ტურებისაგან დაფლეთილ-განადგურებული ცხენის დარჩენილი გვამი, იქვე რაც შეიძლება

საიმედოდ ღრმად დავმარხეთ. ბოლოს ატალახებულ საფლავზე ჩაყრილ-მიყრილ-მოყრილი მიწა საგულ-დაგულოდ დავტკეპნეთ, რათა ღამეულ მოხეტიალე ნადირებს ისევ არ ამოეთხარათ. შემდეგ დაღლილ-ხასიათდანილულნი, ცხვირჩამოშვებულნი ლობის ძირას ჩამოვსხედით, ზოგმა პაპიროსი „პრიბოი“ მოწია და გულნალვლიანად მერსიოლის ქარსაცავის, და უახლოესი მთის ფონზე შემოდგომის ფოთლებავითლებულ, ზოგან გადანიტლებულ ზოლს გავყურებთ; მოულოდნელად, მდინარის გაღმით, სოფლის სასიამოვნოდ მორბენალმა სურათმა ერთიანად გამოგვაფხიზლა: მწვანემინდვრიან ნაპირზე, სადავითაიოს უბნის ნაცნობი ბავშვები, ჩვენი ზოგიერთი კლასელიც რომ ერია, რამდენიმე უბელო ცხენზე, მარდად შემეჯდარნი, ვაჟკაცურად მიაჭენებდნენ სოფელ კვარჩღალუს მთის მიმართულებით. ჩვენს გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ვიხილეთ, მათგან ერთ-ერთი — გუშინდელ — უკვე არარსებულ ცხენს-მომსგავსებული ტანის ფერებიანი რომ ერია, მაშინ ერთიანად უფრო გამოვცოცხლდით და შორიდან კეთილმეგობრული ყიჟინა-სტვენა გავუგზავნეთ, მართლაც მაგ ბედნიერებს.

2017 წელი



წერილი რედაქციას

უაღრესად საჭირო, ქართული საქმე

სრულიად შემთხვევით მოვხვდი ჟურნალ „ოლეს“ რედაქციაში. გავესაუბრე მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარეს ბატონ ფარნა რაინას და მის თანამშრომლებს. იმდენად მოვიხიბლე მათი შემოქმედებით, რომ შემრცხვა, რადგან ჟურნალის არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი.

როდესაც გავეცანი ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებს დავრწმუნდი, რომ საქართველოში კიდევ არის შემორჩენილი ქართული სული, დედა ენის სიყვარული და პატრიოტიზმი. გაოცებული ვარ ფარნა რაინას საიუბილეო ნომერში ამოკითხული, პოეტის შემოქმედებითი ნაღვანის ბრწყინვალე შეფასებებით. აღფრთოვანებული ვარ ჟურნალის შემოქმედებითი კოლექტივის პროფესიონალიზმით. ვთვლი, რომ ბატონი რაინა ქართული კულტურის აღორძინებისათვის ფასდაუდებელ საქმეს აკეთებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალის კოლექტივს მოუწესრიგებელი სამუშაო პირობები აქვს, ფინანსებზე აღარ ვსაუბრობ, უაღრესად საჭირო საქმეს აკეთებენ. დიდება მათ, იხარონ და იდღეგრძელონ...

ფარნაოზ რაინაულის ლექსში „ქართული ენის სადიდებელი“ ნათქვამია:


„მარადი და უკვდავი ხარ, —
ვერავინ გნახავს დღემოკლეს,
გწვავდნენ, მაგრამ არ დაიწვი,
გკლავდნენ, მაგრამ ვერ მოგკლეს...“

იმედია, ასეთი შემოქმედი ადამიანების წყალობით, ქართული ენა არ მოკვდება...

მოვუწოდებ ყველა ქართველს, ყურადღება მიაქციონ ჟურნალ „ოლე“ შემოქმედებით კოლექტივს. ნაიკითხონ ჟურნალი „ოლე“ და სულიერად ამაღლდნენ.

ციური ბადურაშვილი





აკაკი ბიჩინაშვილი



ოდა საქართველოს

გაზაფხულივით სიტურფე გშვენის
და მეგულები ყოვლის თავდებად,
სუყველაფერი იწყება შენით,
სუყველაფერი შენით მთავრდება...

ამ ქვეყანაზე მე ვცოცხლობ შენთვის,
ვამაყობ სულის გოლიათობით,
სიცოცხლესავით ხარ ერთადერთი,
სინათლით სავსე, როგორც მნათობი!..

ბედნიერება სხვაგვარი არ მწამს,
შენს მთებს და ველებს ველარ ველევი,
მე შენი მიწის მშვენიებამ დამწვა
და მიანდერძა შენი გენები...

ყველა სიმაღლის შენ ხარ სამანი,
შარავანდედი ბედნიერ დღეთა,
ხარ წინაპარიც, შთამომავალიც,
ლეგენდადქცეულ გამირების დედა...

ამ მწვერვალების სიმაღლე გშვენის,
შენ მეგულები ტრფობის თავდებად,
სუყველაფერი იწყება შენით,
სუყველაფერი შენით მთავრდება!..

მე იმ სიმღერის სათქმელად მოველ!..

ახლა იწყება თავდავინწყება...
ჩემი ანძები აფრებს მართავენ,
ალარასოდეს არ დამინდება
ცხელი ვნებების შმაგი სათავე.

ახლა იწყება ჩემი ბალადა,
ლეგენდებად და ლამაზ მითებად,
შვიდფერმა მუზამ თუ მილალატა —
წყალმა წაიღოს ჩემი დიდება...

ქვეყნად პოეტის სახელი ვპოვე,
მინდა სამშობლოს გულზე მოხვევა,
მე იმ სიმღერის სათქმელად მოველ,
რაც დამაბარეს ძველმა კოლხებმა!..

ქვეყნად გულნაკლულს არავის ვტოვებ,
ლიმილითა და ცრემლით სავსე ვარ,
მე იმ ლაშქრულის სათქმელად მოველ,
რომ ვერ მოასწრეს ომში ლაზებმა!..



ახლა იწყება თავდავინწყება...
ჩემი ანძები აფრებს მართავენ,
ალარასოდეს არ დამინდება,
ცხელი ვნებების შმაგი სათავე!

შენ მეორენზე თვალეზი გქონდა...

შენ იყავ ისე ლამაზი გოგო,
შენ ისე ლურჯი თვალეზი გქონდა...
სად იყავ, ასე დაბერდი როგორ?
იმ მხარეს, განა, რა ქარი ქროდა?

შენ იყავ მართლაც ლამაზი მეტად,
ნაზი ღიმილი სითბოს გამატებდა,
დაგატარებდა ხელკავით დედა,
ჰგავდი ენძელას და ქრიზანთემას.

ალბათ, მეუღლე შეგხვდა გულცივი,
მის დანყვილებას, გახსოვს? გიშლიდნენ,
ზოგი სამყაროს ყალბად უცინის
და სიყალბეში ეძებს სიმშვიდეს...

შენ იყავ ისე ლამაზი გოგო,
შენ მეოცნებე თვალეზი გქონდა,
ჟამთა ტრიალში დაბერდი როგორ...
იმ მხარეს, განა რა ქარი ქროდა?!

იმედით შენით...

ქალო! განგებამ დაგბადა დედად!
შენ ხარ მშობელი, ადამთან ერთად,
შენ გაბარია სამყაროს ბედი,
შენ ერთადერთი გინამეს ღმერთად!

შენ მხოლოდ სულის სინმინდე გშვენის,
როს გვევლინები ღიმილისმჩენი,
იმედით შენით, ნუგეშით შენით,
უნდა ამაღლდეს სამშობლოს ჭერი!

ილაპარაკონ

ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ,
გინდა, თვალეზი შურიტ ავესოთ.
სიზმარშიც შენთან ვიქნები მუდამ,
უსაყვარლესო!

თუნდ, ბედისწერამ არ გაგვახაროს
სიმტკიცეს ჩემსას ყველგან გიჩვენებ,
მთლად მირჩევენისარ ახლა სამყაროს,
თუ დამიჯერებ!

ერთი ვართ რწმენით, ერთნი ვართ სულით,
მწამდი და მარად ღმერთად გინამებ,
ბედნიერება მენვია სრული,
ნუ გამიმწარებ!

ჩვენ საუკუნოდ ვიქნებით ერთად,
არ მომწყინდება მე შენზე ლოცვა...
გადილახება ოდესმე ეს მთა,
გიხილავ, როცა!

იმედი

იმედს სიმღერით ელიან,
საფლავს რა ფარავს ქვის მეტი?!
სიკვდილი ჩემი მტერია,
სიცოცხლე — ჩემი იმედი.

სამკალი ბევრჯერ მოიმკა,
ბულბული იქცა აშულად,
სიკვდილმა დედა მომიკლა!
სიცოცხლემ შვილი მაჩუქა!

ედელვაისი ეძებ ჩემში

მე სიყვარული ისედაც შემშლის,
იქნებ, დავსახლდე კიდეც მთვარეზე.
აღმოაჩინე საუნჯე ჩემში,
ნაკლოვანებებს რატომ დაეძებ?!

უშრეტი გრძნობის ჩირაღდანს ვანთებ,
მისი მშვენება მნათობებს მიაქვთ.
ამ გაზაფხულით მოვედი ადრე
გაშლა დავასწარ ვარდსა და იას.

გთხოვ, მოიცილო ფერები მუქი,
სულის სიმალლეს მიაპყრო თვალი,
ეჭვის აჩრდილი გენვევა თუკი —
ჩემს ერთგულებას მიახდე მხარი.

მე სიყვარული ისედაც შემშლის
და მარად გულით მინდა გატარო...
ედელვაისი ეძებ ჩემში
ეკალს არასდროს არ შემადარო!

და მაინც...

გავუძელ ყინვას, გავუძელ გრიგალს,
შეუძლებელის შეძლება შევძელ.
სადაც კი ვიყავ, სულ შენთან ვიყავ,
რაც კი ვიმღერე, ვიმღერე შენზე...

შენით შევხარი ყველას და ყოველს,
შენი ხატება ყველგან მომყვება...
და მაინც შენთან ვერაფრით მოველ,
ვერ შევძელ შენი გულის მოგება!

აღმიდგინე დაკარგული რწმენა

გამოძებნე წყაროს თავში ჩერო,
აირჩიე მცხუნვარე მზის საფარი,
გაიღვიძე სიჭაბუკევე ჩემო,
გადაიდრე ტანზე თოვლის საბანი.

მოისმინე ბულბულების სტვენა,
ყვავილების უნაზესი ტაშით,
აღმიდგინე დაკარგული რწმენა,
გადაეშვი სიყვარულის ტბაში...

ეს ორი წრემლი...

ეს ორი ცრემლი
არ გეგონოთ უბრალო ცრემლი,
ეს ორი ცრემლი
სიცოცხლეა, იცოდეთ, ჩემი.
დიდხანს ვიომე,
ვიდავე და ბევრი დავძაღვე,
მაინც ვერაფრით
ვერ ჩავაქრე სულში ხანძარი!
არ ვიცი, ვისთან,
სად და რატომ, როგორ იტირა,
სხვისმა ცრემლებმა
ვინ დაათრო, ვინ შეინირა...
ეს ორი ცრემლი
არ გეგონოთ უბრალო ცრემლი!
ეს ორი ცრემლი
სიცოცხლეა, ირწმუნეთ, ჩემი!

გორის წიხე

ყვავილებით შევხვდი მაისს,
ასად მოვრთე დღე სამფერი,
რალაც ვთქვი და ვერ ვთქვი მაინც,
მე სამშობლოს შესაფერი...

ის გაიგებს ამას მგონი,
ვინც ვერ გასცვლის სხვაში დედას —
რატომ მიყვარს ჩემი გორი,
ბევრ ქალაქზე უფრო მეტად.

ბოლომდე ვცლი დღეს ამ ჭიქას,
მზად ვარ, ღამეც გავათენო...
გორისციხის ეშხით მიყვარს
მუდამ ჩემი საქართველო!



ივანე ქავთავაძე



მოდის წმინდა მთის წყარო
შეურყვნელი, ანკარა,
მოდის, თან მოიმღერის
ხევხუეების კარ-კარა.
ხან ჩადუნას იხუტებს,
ბუერა აქვს კაბადა,
უფალს მადლობას სწირავს,
რადგან წყაროდ დაბადა.
ჭალის ბოლოს, შორიდან
ისმის გრგვინვა-ქუხილი,
მდინარეს რომ იქ ერთვის,
არის წყაროს წუხილი.
იკარგება უკვალოდ
სათავეში ანკარა,
მარგალიტის ცვარ-ნამი —
წყაროს წყალი პატარა.

მზე ჩაესვენა მთების გადაღმა,
ზეცას ამშვენებს ფერი დაისის,
ნიაფი დაჰქრის აღმა და დაღმა,
საღამო არის ოცი მაისის.

გზაგასაყარზე ვჩერდები წამით
და მახსენდება შენი თვალები.
ეს იყო წინათ, მაისის ღამით,
შენ იყავ მკაცრი, შეუბრალები.

მაშინ დავცილდით, ოცნების ფრთები
ჩემთვის ტკივილით იქ დაიკეცა,
გახსენებისგან, სევდისგან ვთვრები,
უვარსკვლავოა ნათელი ზეცა.

დილით მზის სხივს შევხაროდით, —
ნოემბერში ციოდა.
ხეს ფოთლები შერჩენოდა,
მაგრამ ისიც ცვიოდა.

მთიდან ბარში მოისწრაფვის
თეთრი რაშით ზამთარი,
დაუნდობლად კბილებს აჩენს,
ვით დაჭრილი აფთარი.

მალე ბარსაც მთლად დაფარავს
უთეთრესი სუდარა.
ზამთარიც ხომ ამით ხარობს, —
მეტი არა უნდა რა.

შორი ალპების დარი,
თუ უკეთესი არა,
მშობლიურ მთების ჯარი
გულდიდობისთვის კმარა.
სხვაგან სად არის მხარე,
მთები — დარაჯი ბარის,
ასე ნათელი მთვარე,
ცა ზურმუხტებში მჯდარი.
მზით მოქარგული ველი,
როცა სხივებს სვამს დილის,
ყვავილთა სარეცელი
შემოგაგებებს ღიმილს.
ედემს მეტი ჰყავს მტერი
ვიდრე უდაბნოს ვერანს,
სადაც ქარი და მტვერი
უდაბურობას სერავს.
მიტომ გვტაცებდნენ მამულს,
ურდოსა სცვლიდა ურდო,
ცრემლებით გადანამულს
ცხოვრება გვსურდა მყუდრო.
ვილაც რაღაცას მაღავს,
დღესაც ტკივილი ძველი,
ვერსად ვშოულობთ წამალს,
არ მიგვიწვდება ხელი.

აქ ფხოველნი ბინადრობენ
ქართულ იერ-სახის,
ისტორიაც გადავფურცლეთ
თავისუფალ ხალხის.

მითოსშია ეს სამყარო
მართლაც გახვეული —
ნიჭით, გარჯით სანაქებო
და მებრძოლი სულით.

როცა არავს შეუყვები
სათავისკენ აღმა,
სალოცავებს ბევრს იხილავ
გამოღმა და გაღმა.

თვითეული საარსოა
ღვთისგან ნაბადების.
სხვაგვარია ფხოველთ წრმენით
მათი დაბადების.

მაგრამ იგი ხელს არ უშლის
მსახურებას ღვთისას,



გამორჩეულ სიყვარულსაც
ბარისას და მთისას.

ყური უგდეთ მთა-კლდეებში
თავშენახულ წარსულს,
გმირულ სულსაც გაუტყებელს,
მწვერვალამდე ასულს.

ჯვარ-ხატების საზარეზე
დღესაც რეკავს ზარი,
ხევისბერი ლოცვად დგება
წმინდა, სახემტკნარი.

როს ლაშარი წინ მიგიძღვის
და გუდანის ჯვარი,
გჯეროდეს, რომ შენი მჯობნი
ქვეყნად არვინ არი.

აგერ, მთვარეც ამოცურდა
დიდი მთების იქით.
მთების მსგავსად თითქოს მთვარეც
დაფარულა ფიფქით.

ბადრი მთვარე ფეხს აიდგამს,
როგორც მოგზაური,
გადასერავს ცის კაბადონს
ჩუმი, უხმაური.

ჩამოდგება უკუნეთი
ჟამი უჟამური.
დაბინდული არემარე
ხდება უდაბური.

მაგრამ როცა მზის მორბედი
ხარს მოჰპარავს მეხრეს,

ჯადოქარი ბულბულის ხმა
ცას მისწვდება მეცხრეს.

მზე ზოგის კარზე ამოდის,
ზოგიერთს მზეშიც სცივაო.
ზოგან ბნელია, უკუნი
სხვაგან ვარსკვლავი ცვივაო.
მაინც ასეა, სოფელი
ყველასთვის ბოლოს ბინდდება,
სიცოცხლეც, ახალგაზრდობაც
ჩიტივით გაგვიფრინდება.
აქ რასა ვტოვებთ სამზეოს
რა გვრჩება მოსაგონარი, —
ზოგისთვის საკარგემო ითქმის,
ზოგიც დარჩება მცონარი.
არაფერია ახალი,
უთქმელი, გაუგონარი.

პირველი თოვლი, პირველი გუნდა
ისე მსუბუქი, როგორც ფანტელი.
არ გამდნარიყო — ფანტელსაც სურდა,
რომ იწვებოდა, წუხდა სანთელიც.

მაგრამ სხვა არის ჭრილობის კვალი,
გულში რომ რჩება, ვით სახსოვარი.
გადაუხდელი წარსულის ვალი,
ფერმკრთალი, მაგრამ დაუვიწყარი.

მახსოვრობიდან არ ქრება მაინც
პირველი გუნდა, თოვლის ფანტელი —
განდობა, ტრფობა და სიყვარული
და მოციმციმე წმინდა სანთელი.





მარიამ ქამუკაშვილი

36



მარიამ ქამუკაშვილი დაიბადა 1961 წლის 12 აპრილს, თელავის რაიონის სოფელ რუისპირში. 1985 წელს დაამთავრა ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, — მათემატიკა-ფიზიკის სპეციალობით. 1986 წლიდან დღემდე პედაგოგად მუშაობს რუისპირის საჯარო სკოლაში.

ბუნების საუფლოში

სენტიმენტალური ადამიანი ხედავს და უდიდესი ძალით შეიგრძნობს ყველაზე უმნიშვნელო დეტალს, მოვლენას, სამყაროს მოკვდავთათვის რომ უბოძებია. მეც მათ რიცხვს მივეკუთვნები. კმაყოფილი ვარ ჩემი ხვედრის...

ნანვიმარის არომატით გაჟღენთილა ჰაერი, თითქოს ვილაცამ გადასწია ფარდა ღრუბლები-სა. მათი უსწორმასწორო, ფუმფულა, ზღაპრული ფორმები ზანტად მიცურავს მთებს გადაღმა.

მსუბუქად დაძვრება ხეებს შორის ნიავი. ტყე, რომელსაც შემოაძარცვა დამათრობელი სურნელი ნანვიმარისა ყველაზე სანუკვარი ადგილია მათ შორის, რაზეც კი მიოცნებია. ზოგჯერ, გაურკვეველი, სიძულვილნარევი გრძნობა მეუფლება მისი დიდებულად ზეცაში აზიდული, უღმობელი სილამაზის მკვიდრთა მიმართ, ასე რომ დამიმორჩილეს, მონად მაქციეს. სხვა ველარაფერზე ვფიქრობ, მათითაა გაჯერებული გონება და სხეული.

რომელი სიძულვილი — სინანულის ღიმოლს მგვრის ეს სიტყვა. მე ხომ მათ ვეკუთვნი, მათით ვსუნთქავ, ისინი მიმაცილებენ საუკუნო სასუფევლისაკენ, მაძლევენ საბოლოო ბინას, ჩემთან ერთად ერწყმიან მარადისობას.

საქმიანად შრიალებს ტყე. ხეები, რომელთა ტოტებში, გამუდმებით მზეს რომ ესწრაფვიან, მწვანე სუნთქვა მხიარულად მიაჩუხჩუხებს სიცოცხლეს.

ნარისა და მაცვლის გზისპირა ბუჩქებმა სწრაფად ჩაიქროლა. ტყემ იძალა. საუცხოო ხედი გადაიშალა. ფოთლოვანი ტყის მორევში აქა-იქ ნაძვის ხეთა კორომები მოჩანს. ქარის ქროლვაზე მსუბუქად ირწევა რცხილისა და ნიფლის ვარჯები. შუადღის ხვატშიც კი ტენიანი და გრილი ბინდბუნდი სუფევს. დაკლაკნილი, ოკრობოკრო, მსხვილი ფესვები პირდაპირ ჰაერშია გადმოკიდებული, ღრმად იკარგება ნაპრალებში. სურო, მუქი მწვანე, ერთმანეთში ჩახლართული ფოთლებით ისე შეუსისხლხორცებია ამ ბუმბერაზეებს, ძლივძლივობით ირჩევა მათი ტანიდან.

მაღალი მშობლების გვერდით, წელგამართულად დგანან პანია ხეები და ნორჩი ტოტებით ნაზად ელამუნებიან სხეულზე.

მოჩვენებითი ბილიკები, ლოკოკინების ვერცხლის ძაფებითა და ობობების უნაზესი ქსელებით და-

ვარული, ყველა მხარეს მიემართება და ჩემს ერთადერთ გზას წარმოადგენს. დაბიჯებისას ხმელი, დაფუტუროვებული, წვრილი ტოტების ტკაცუნის გარდა არაფერი ისმის. ისეთი სიმყუდროვეა, მგონია, იმ ხმასაც გავიგონებ, მცენარე მინიდან რომ მოძვრება.

ერთმანეთში შერეული ხმელი ფოთლები და წინვები. ნელა მივაბიჯებ. ყავისფერი, ოდნავ სიყვითლეშერეული, ფაფუკი ფარდაგი ჩემი ფეხის ფორმას იმეორებს და უმაღ უბრუნდება სანყის მდგომარეობას.

რამდენი საინტერესო რამ იმალება ტყის წიაღში. მათი აღმოჩენა ბუნების მოყვარული ადამიანის დაუოკებელი წყურვილია.

ერთ უზარმაზარ ხესთან ვჩერდები. ყურადღებას იპყრობს მცირე ფაჩუნი. თითქოს, რაღაც უცნაური ფიგურა დავლანდე ვეება, ტოტებგაბარდული ტყის ბინადრის უკანა მხრიდან, მაგრამ, ისევე სწრაფად გაქრა, როგორც გამოჩნდა, ფხაჭუნიც მომესმა. ბუნებით მშიშარა არა ვარ, არც ავი სულელების მჯერა, მაინცდამაინც (თუმცა, ტყის ბინდბუნდი შესაფერისი ადგილია, დავლური რომ გააჩაღონ და შიშის ზარი დასცენ უბრალო მოკვდავთ), მაგრამ, იმხელა ხმაურად ჩამესმა გასუსულ ტყეში, რომ წამიერად შევკრთი, „ვაჟკაცობამ“ მილალატა. ხის ქერქზე ბრჭყალებით გამონვეული ხმაური კვლავ განმეორდა და მსუბუქად მოსწვდა ყურთასმენას. პატარა, კოხტა ციყვმა მარდად აირბინა ხეზე და მიიმალა. კვლავ გამოყო ფულუროდან ცხვირი. ჩემი შიში ახალისებს, თითქოს, დამცინის — ტოტზე მოკალათებულმა თავი მოილამაზა, „ხელები“ სახეზე და პაჭუა ცხვირზე გადაისვა, კუდი გააბუა, თვალი თვალში გამიყარა. კვლავ შეტრიალდა ფულუროში და იქიდან რაღაც გამოიტანა. საქმიანად აფუსფუსდა და წინა, მოკლე თათებში მომწყვდეულ თხილს თუ რკოს გემრიელად დაუნყო კნატუნი. იცის, რომ არ ვერჩი, მისი მხოლოდ მოფერება მინდა ფუმფულა ბენვზე.

ცვრისგან დანამული სუროს ფოთლები კრიალებენ. ბოლოებზე დაკიდული წვეთების აღმასები თვალი იტაცებს. ხის ქერქი ნესტისგან ჩამუქებულია. ყველგან მაცოცხლებელ სისველეს დაუსადგურებია. ნამის ნაცრისფერი, ოვალური, ამობურცული, ზოლიანი სხეულები საქმიანად დაცოცავენ. ჟინჟულავს.

გაჟღენთილმა ტანსაცმელმა სიცივე მაგრძნო-



ბინა, შემაკანკალა... ისინი დგანან, — „ცა ქუდად არ მიაჩნიათ, დედამინა ქალამნად“, სიხარულით შემომცქერია... დიახ, ეს სოკოების ოჯახია. დიდ-პატარას ქოლგა მოუმარჯვებია, ალბათ, ფიქრობენ, რომ მე, — სულელს ქოლგის არსებობა არც გამიგონია, მართო ეს როდი უკმარებიათ, თავზე ფოთლების სქელი ფენა აქვთ წამოფარებული და სახელდახელო ქოხში უშიშრად გრძნობენ თავს, თუმცა წვიმა მათი სიცოცხლეა, მაგრამ, ზედმეტი არაფერი ვარგა.

იშვიათად მუხებიც მხვდება. ნამეხარ ფულურობებში შავად კამკამებს წყალი. ქვემოთ ათასობით რკო მიმობნეულა. ზოგ მათგანს თავი ქუდში (ხანდახან ჯამსაც ვეძახით) აქვს შერგული, ზოგს, მოუშვლებია და იქვე მიუგდია დაუდევრად. წვიმის წყალს სავესე ჯამებიდან მზის თბილი სხივები მალე სადღეგრძელოსავით შესვამს.

ტოტებს შორის უცხო არქიტექტურით ნაგები ბუდე ილანდება, კარგი ნახელავია, თუმცა, ისეთი ადგილია, უცხოთვისი ძნელად შესამჩნევი რომ იყოს, მაგრამ დაინტერესებული თვალისთვის არაფერია დამალული, ანდა, რატომ არ უნდა ნახო სასწაული, რომელიც, მხოლოდ ნისკარტითა და პანია ბრჭყალებით შეუქმნია მის პატრონს.

შუაგულ ტყეში პატარა გორაკი ფიჭვებითაა დაფარული. ტანზე საკმევებს გამოუყოფია, კვეცი ბლომად. ტოტებზე პანანინა, ახლად ამოტანილი ყლორტების ღია შეფერილობა კონტრასტს ქმნის მუქ მწვანესთან, თითქოს, სანთლებია.

ხმელი ხეები რალაც უცნაურ, მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი ფოლაქებითაა (ალბათ ხავსია) დაფიფქული.

ერთი ძირიდან ამოსულან... პირველს სიცოცხ-

ლის ნიშანწყალი არ ემჩნევა, მეორე კი მოზღვავებულ ენერგიას ვერ იტევს, ბუნებას რომ მიუძღვნია, თუმცა, ვერაფერს შველის მეგობარს.

აქეთ, მოზრდილ ხესთან, თავისი წილი სიცოცხლის მოსაპოვებლად ბრძოლაში დაღლილ ყლორტს ყვითელი ფერი დასდებია.

ხავსისგან შეჭმული უზარმაზარი ლოდი აზრადაც არ ივლებს თავისუფლება მისცეს ფესვებს, მიწაში რომ დაუმარხავს და ლალად სუნთქვის საშუალებას არ აძლევს.

ღრმა ხეობაში მშვიდად მინკანკარებს ნაკადული. ძლივს ასველებს ხავსიან ფსკერს ფოთლების და წვრილად დაფშვნილი, გაჭეჭყილი ტოტების სასაფლაოდ რომ ქცეულა.

შუა ტანზე გადამტვრეული გოლიათის ძირის გადანატეხზე წამახული საშინელი კონტური იკვეთება, ზედ მთელი სხეულით თვითონვე რომ წამოგებულა.

ტყე თითქოს გათავდა. გასასვლელში რამდენიმე დიდრონი ხე, თითქოს, ჩემს გასაცვილებლად ჩამწკრივებულა.

პირდამშრალ ხეობის ღრმა კალაპოტს მივადექი. რამდენ წყალს ჩაუვლია ლოდებზე, ახლა რომ წლობით ნაგროვები თიხისფერი ნალექი ფარავს. თვლემენ და ძილში ის დრო ეცხადებათ, თავზარდამცემი გრიალით რომ აყრუებდნენ არემარეს ამღვრეულ ტალღებს აყოლილნი.

სწრაფად გადავირბინე ბუნებრივ ხიდზე ფესვებიდან კენწერომდე და უყოყმანოდ შევრგე თავი ბუჩქნარში. მათ გადაღმა ახალი ტყე იწყება. ვინ იცის, რა ხდება, რა ახალი თავგადასავალი მელოდება!..

სიზმარი

...შუალამე კარგა ხნის გადასულია. წესით ამ დროს უნდა მეძინოს. აქ როგორ აღმოვჩნდი, წარმოდგენა არ მაქვს, გონება მერევა... წარმოსახვასა და სინამდვილეს შორის ზღვარი ერთი ხელის დაკვრით რალაცას თუ ვილაცას ნაუშლია, ვგრძნობ, რალაც ისე ვერ არის...

ღამის ვეებერთელა თაღში ცა მკვრივია და ლურჯ სხივებში გახვეული, ყველა ვარსკვლავი ყვავილობს და ხელგამლით აბნევს თავის ოქროს. მთვარის დისკო ჯადოსნურ ფერებს ღვრის, ნაფლეთ ღრუბლებში მწყემსივით მიმოდის.

სულიერი არ ჭაჭანებს, თუ არ ჩავთვლით ბუს, რომელმაც ისე საოცრად ჩუმად ჩაიქროლა ფრთების ქნევით, თითქოს არც ერთი ბუმბული არ ერხევაო. ჭრიჭინები სადღა გადაიკარგნენ, დღე და ღამე ყურთასმენა რომ აქვთ ნალებული...

ღამის ბინდბუნდში ჩაშვებული დაბალი ტყე ხელისგულივით მოჩანს ოდნავ დამრეც ფერდობზე. შორს, ჰორიზონტის გასწვრივ მთების გრძელი და ბნელი სილუეტი იკვეთება.

თვალს მტაცებს შუქდაფრქვეული, იდუმალი ხიბლით მოსილი უკიდევანო პურის ყანა. ჩრდილები უმისამართოდ დაბორიალობენ, ერთმანეთს ენივთებიან, ისევ იფანტებიან. ნიავი ელაციცება დათა-

ვთავებულ ღეროებს, მათი ჩურჩულის მონანილე ხდება, სწრაფად მიიბრუნს ყველა მათგანთან და ურცხვად ავრცელებს ჭორობს.

თითქოს ქვეყნიერება აქ იყოს დავანებული. ვგრძნობ, სიკვდილი არ არსებობს, სიცოცხლე არაამქვეყნიური სილამაზის მინდორზე მიმობნეულა.

მივარღვევ უკიდევანო სივრცეს, რძეჩამდგარი თავთავები მკერდზე მცემს, უზომო ბედნიერებას ვგრძნობ...

აქ, სადღაც, ვინრო ბილიკი უნდა გადიოდეს, გონებას ძალას ვატან, ვცდილობ გავიხსენო, სად... ღამის საუნჯე მთვარე ცდილობს დამეხმაროს, სხივებს მაშველებს, მაგრამ ღრმად ვიძირები ამ უსასრულობაში, ხელ-ფეხი მეკვრის, სუნთქვა მიჭირს... აელვარებული მნათობი პირდაპირ თვალეში მტყორცნის სხივებს და... მეღვიძება... სარკმლიდან მზე შემომცინის და საშინლად მაცხუნებს.

რეალობაში მეზობელი ქალის თავგანწირული ძახილი მაბრუნებს. ვგრძნობ, ეს ძალიან ცუდია. ანგარიშმიუცემლად ვდგები და გარეთ გავდივარ, სადღაც, უსასრულობიდან თუ რომელიღაც პარალელური სამყაროდან, მესმის ქოთქოთი: „ამდენ ხან ძილი, ქაა?!“

მძიმედ ვეშვები კიბის საფეხურზე.



ეთერ არჯევანიძე-ზუბაშვილი

38



ეთერ არჯევანიძე-ზუბაშვილი დაიბადა გაგრის რაიონის სოფელ ხეივანში. 1964 წლიდან სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე. ქვეყნდება პირველად.

სიკვდილამდე ერთგული

ერთი ქალბატონის მაზლი, ოთხმოც წელს გადაცილებული გოგია ავად გახდა. გოგიას ჯერ მეუღლე გარდაეცვალა, მერე კი შვილიშვილი ავარიაში დაეღუპა. დადარდიანებული აღარც ჭამდა და აღარც სვამდა, მხოლოდ სიკვდილს ნატრობდა.

გოგია კომუნისტი იყო და სიცოცხლის ბოლომდე ამ იდეოლოგიის ერთგული დარჩა. „პერესტროიკის“ წლები იდგა.

გოგიას თვალები დახუჭული ჰქონდა. მის სანახავად შესულ რძალსა და ძმისშვილს ეგონათ სძინავსო და უკან გამობრუნება დააპირეს. უცებ გოგიამ თვალი გაახილა და შემოსულებს უსიცოცხლოდ გადახედა.

— გოგი, როგორ ხარ, როგორ?! — ჰკითხა რძალმა.

— ეჰ, რა ვქნა ჩემო ქეთო, რომ არ ვიყო, კაი იქნებოდა, — თქვა ჩამქრალი ხმით კაცმა.

— ნუ გეშინია, ნუ. დარდს მოერიე, რალაცა შეჭამე, ფეხზე წამოდექი, — ქეთო მაზლის გამხნევენას შეეცადა.

მერე ალბათ იფიქრა, სხვა რამეზე გადავატანინებ ყურადღებასო და:

— რა ქნა გოგია ამ ბაობაჩოვმა (გორბაჩოვს ვერ ამბობდა), რაფერ დაანგრია ქვეყანა.

კაცი უცებ შეიცვალა. ხორბლისფერ, უსიცოცხლო სახეზე სინითლემ გადაჰკრა, თვალეები გაუფართოვდა და ცალ ხელზე წამოინია:

— ქეთო, კომუნისტებზე მეტი არაფერი თქვა, თორემ წამეტანი მანყენინებ, — გაბრაზებული კედლისკენ გადაბრუნდა და მეტი აღარაფერი უთქვამს.

— კარგი გოგი. არ ინერვიულო, კარგად იყავი. აბა, ჩვენ წავედით, — თქვა ქეთომ და ოთახიდან გამოვიდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

მოლოდინი

იქვე, სადაც მე ვცხოვრობ, კორპუსებს შორის ავტოფარეხებია ჩამწყობებული. ეს დღეს აღარავის უკვირს, მაგრამ ავტოფარეხებში მომწყვდეულ, მავთულბადით კოხტად შემოღობილ ეზოში ნანახმა წამდვილად გამაოცა. ერთმანეთს სილამაზეში ეჯიბრებოდნენ წითელი და ვარდისფერი ვარდები, ქრიზანთემები, მიხაკები, სხვადასხვა დასახელების ულამაზესი ყვავილები, შუაში გასავლელი ბილიკებითა და ნაპირებში გაყოლებული ვაზის ნარგავებით...

ჩამოვჯექი და ამ საოცრების ხილვით ვტკებობდი. უცებ, მავთულბადის გარეთ, ჭიშკართან, მარმარილოთი მოპირკეთებულ შადრევანზე წარწერა შევნიშნე. გულმა ცუდი მიგრძნო და რომ ვიკითხე, მითხრეს: ეს ბალი, დედამ, აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული შვილისთვის გააშენა და ბიჭის დაბრუნებას ელოდებო.

იმ დღის მერე, მეც დაკარგული ბიჭის დაბრუნებას ველი, ძალიან მინდა დედა ბედნიერი ვიხილო. იქნებ ცოცხალია. ვინ იცის, მონობაშია და ეგებ თავი დაიხსნას?

ომი უბედურებისა და სიკვდილის მთესველია. რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა, დასახიჩრდა, ბევრი პატარა დაობლდა. ზოგმა ქურდობა დაიწყო და ნაძარცვით დაბრუნდა. საუბედუროდ, ასეთებიც იყვნენ.

მძიმე დრო უდგას საქართველოს.

2004 წ.





ოთარ რურუა



არსაკიძის მონოლოგი

სვეტიცხოველთან ვდგავარ და
თვალწინ ცოცხლდება წარსული!
ვერ ვამჯობინე ქმნილებას
კოლონკელიძის ასული!

თუმც, გული დამრჩა კვლავ ღია,
მკლავი მიკურთხა გამჩენმა!
შორენა — ჩემი დარდია,
ტაძარი — ჩემი მარჯვენა!

შორენა

დგას სვეტიცხოვლის ტაძართან ახლოს
უმანკო, როგორც შველი, ან, კრავი...
და, რადგან, უტა მის გულში სახლობს,
ხელთ არსაკიძის უპყრია მკლავი.

დგას სვეტიცხოვლის ტაძართან ახლოს,
არ ანაცვალა, თუმც, ლაზმა თავი, —
ო, არ იქნება შორენა მარტო,
ვიდრე, უპყრია ხელთ უტას მკლავი.

ოთარაანთ ქვრივო!

ოთარაანთ ქვრივო!
ისევ გლოვობ ქმარს,
მინდა: ძველი სევდა
გაატანო ქარს.

ოთარაანთ ქვრივო!
კვლავ, დასტირი შვილს,
მეც, შენსავით, მტკივა,
მეც — სიკვდილი მჭირს.

სანთელს ვუნთებ დედას
და ვქვითინებ ჩემთვის,
მარადიულ გრძნობას —
მონატრებაც ერთვის.


მაშ, ვიჯეროთ გული:
ტირილით და სევდით,
შენ — საფლავზე შვილის,
მე —საფლავზე დედის.

ლილე

ლილე წერილებს, როცა არა მწერ,
ასე მგონია: აღარ გახსოვარ,
ვუსმენ — შენი ხმის სუფთა ჩანაწერს
და ვუფრთხილდები, როგორც სახსოვარს.

მსურს: ამოავსო სიცარიელე,
გული სტრიქონებს, ჰო, შენს გამო წერს,
და, ვიდრე, ეტრფის ივერიელებს, —
ვერ დაგივიწყებს ლამაზს... გამომწვევს.

ლილე, მაცოცხლებს — შენი სახელი,
თუმც, მივეჩვიე — მარტო ხეტიალს,
მოდის, რომ ყველა სევდა — ნაღველი
ქარს გავატანო, — შარახვეტიას.



ქეთევან ათუაშვილი

40



ქეთევან ათუაშვილი დაიბადა თელავში, დაამთავრა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობდა სოფელ ვარდისუბნის ბაგა-ბაღში, — აღმზრდელ-მასწავლებლად, ხოლო, შემდეგ, ვარდისუბნის ბიბლიოთეკის გამგედ. ამავე დროს, ასწავლიდა ვარდისუბნის საშუალო სკოლაში. იყო ვარდისუბნის განვითარებისა და აღორძინების ფონდის დირექტორი.

საჭაშნიკოდ გთავაზობთ ქეთევან ათუაშვილის ლექსებს.

ზავშვობის ზღაპარი

ვუძღვნი შვილიშვილს — კობას

ფეხი აითრია ზამთარმა,
და აღარ აპირებს წასვლას,
ბუხართან მიმჯდარი ბებია,
შვილიშვილს უამბობს ზღაპარს.

თეთრად დათოვლილა მინდორი,
და თეთრად დათოვლილ ქოხში,
იქ, — ჩემი ბავშვობა ჟღერტულებს,
ვითარცა — ბელურა თოვლში.

ფეხი აითრია ზამთარმა
და... აღარ აპირებს წასვლას,
ახლა, მე ვუამბობ შვილიშვილს,
იმ, — ჩემი ბავშვობის ზღაპარს.

იდუმალ ფიქრთა ლურჯი ფერებით...

მომენატრები, მომენატრები,
და მონატრების აგიგებ ტაძარს,
ღვთისმშობლის ხატთან ვილოცებ შენთვის,
კვლავ, გავიხსენებ ვარდისფერ ზღაპარს!

მე მონატრებით ვუმღერებ წარსულს,
და სულს შემიძრავს შენი ხატება,
გამახსენდება დრო სათაყვანო,
გულს ჩამარხული ახლა დარდება?

დამათენდება შენზე ფიქრებში,
შენზე ფიქრებით მოვივლი მთა-ბარს,
სულის სიმშვიდე ვერსად ვიპოვე,
და ველოდები სუსხიან ზამთარს!..

და... გრძელ ღამეში კვლავ მონატრების
იდუმალ ფიქრთა ლურჯი ფერებით,
დამათენდება შენზე ფიქრებით,
ისევ, — ჩვენს წარსულს მოვეფერები!

ქართველის გულის გასახარად...

საქართველო, სათაყვანო,
დედის რძე ხარ, — ტკბილზე-ტკბილი,
ქართველის გულის გასახარი,
მარიამის ნილხვედრილი.

საქართველო, ქართველის დედა,
ჩვენი მზე ხარ, ჩვენი მთვარე.
ღვთისმშობელო, გვედრები,
შენი კალთა დაგვაფარე.

საქართველო, სანუკვარო,
ჯიმთაჯიმო, გენთა გენო,
როგორ მინდა, სიამაყით,
ღირსეულად, მუდამ, გველოს.

მუდამ ჭრიდეს შენი ხმალი, —
ერეკლეს და დავითისა,
ხვავ-ბარაქით სავსე იყავ,
არ მოგაკლდეს ნამი ცისა.

საქართველო, მადლიანო,
ილიას და შოთას ქნარო,
ქართველის გულის გასახარად
ქრისტეს რჯულის სათაყვანო...

ზეციერო, მოგვეც დიდი,
ჭირთა თმენა, დღე მზიანი,
კიდევ ბევრი დაიბადოს —
ჩვენში, ბრძენი და ჭკვიანი.

ღვთისმშობელო, კიდევ ერთხელ,
წრფელი გულით გვედრები,
გამთლიანდეს და აყვავდეს
საქართველოს ველ-მინდვრები.

საქართველო, წამებულო,
საქართველო, ერთადერთო,
ქართველის გულის გასახარად,
ქრისტეს რჯულის სანთლად ენთო!





ალექსეი რიასკინი

პოეტი, პროზაიკოსი ალექსეი რიასკინი დაიბადა 1984 წელს ვორონეჟში. დაამთავრა ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. არის ისაევის პრემიის ლაურეატი, რუსეთის მწერალთა კავშირის წევრი. ცხოვრობს ვორონეჟში.



ალუბლები

შუადღეა. ბაღში ძველ სანოლზე ვწევარ და თავს ზემოთ გადმოკიდებულ ვაშლის ტოტებს შევყურებ. მზის სხივები ფოთლებში ისე ბრჭყვიალებენ, როგორც ფერადი მინის ნატეხები კალეიდოსკოპში. სადღაც ჭრიჭინა მოსაწყენად ჭრიჭინებს. დროდადრო ძაღლის ყეფა და სიცხისგან გამოთაყვანებული მამლის ყვირილი აღწევს. მთელი სამყარო გაურკვეველი ხმებით აღსავსე სიჩუმეში ინთქმება. მეჩვენება, იდუმალი სიჩუმე მდებარე ამოსული ბალახებიდან, თავს ზემოთ ჩამოშვებული თითოეული ტოტიდან, ცის თითოეული ნაგლეჯიდან ჟონავს.

საათზე მეტია გაუნძრევლად ვწევარ და ზაფხულის მზისგან გავარვარებული მოთენთილობა მთელ სხეულში მეღვრება. აზრები, როგორც გამდნარი თაფლი, ჩემს თავში მდორედ მიედინება. უკვე რამდენიმე წუთია კრაზანა ბაბუანვერას ყვავილზე დაცოცავს. მახსოვს, პატარაობისასაც მიყვარდა კრაზანების თვალთვალი.

— ფტიუ-იუ-იუ!

სიჩუმეს არღვევს გამკვივანი სტვენა თუ ყვირილი. მერე ზრიალის ხმა გაისმა, თითქოს ვიღაცას აკოკოლავებული თეფშები რკინის იატაკზე დაუცვივდა. კვალდაკვალ გაისმა ფრინველების ფრთების ფართხუნი — ხმაურით შეშინებული შაშვები შეფრთხილდნენ.

სახე უკმაყოფილოდ შევჭმუხნე და გვერდზე გადავბრუნდი. ორი კვირაა რაც აქ ვარ და ამ ხმებმა თავი მომაბეზრა. ყველაფრის მიზეზი ჩვენი მეზობელი დარია მიხაილოვნა ბაშჩევაა, რომელსაც სოფელში უბრალოდ მიშინას ეძახიან.

მიშინა ალბათ ოთხმოცი წლისაა, შესაძლოა მეტისაც. წარსულში ეს ქალი შრომის გმირი იყო, მონინავე კოლმეურნე, რომლისგანაც მაგალითს იღებდნენ მონიფულებიცა და ბავშვებიც. იგი ლამის დანყებითი კლასებიდანვე მუშაობდა, მამას სოფლის ნახირის მწყემსვაში ეხმარებოდა. როცა წამოიზარდა, დედასთან ერთად საკოლმეურნეო მინდვრებზე ჭარხალს მარგლავდა. სასკოლო გამოსაშვებ საღამოზე ბაშჩევს მუშაობისგან ხელები მთლად დაკოჟრილი ჰქონდა. მას უქმე დღეებიც ვერ წარმოედგინა საქმის გარეშე. შრომის გმირის წოდების მინიჭება მიშინას პირადად თავმჯდომარემ მიულოცა და თავდაუდებელი მუშაობისთვის მადლობა გადაუხა-

და. მისალოცად რაიონულ ცენტრშიც კი გამოიძახეს. დღემდე, ჩრჩილებით სავსე ძველი კარადის სიღრმეში ინახება შეყვითლებული გაზეთი, რომლის პირველ გვერდზეც ახალგაზრდა დარია მიხაილოვნას ფოტოსურათია დაბეჭდილი წარწერით: „მშრომელები, რომლებითაც ჩვენი სამშობლო ამაყობს“. ჯერ კიდევ ბებიჩემი მიამბობდა, მასთან ერთად როგორ დადიოდა კოლმეურნეობიდან ტორფის მოსაპოვებლად და მიშინა მანქანებს მამაკაცების დარად ტვირთავდა. ქალი ჭაობის წუმპეში მუხლებამდე იდგა, საბჭოთა ნიჩაბს მარჯვენდ ხმარობდა და დროდადრო მხოლოდ იმიტომ ჩერდებოდა, რომ კოლოები დაეფრთხო. მიშინას ქმარი არ ჰყოლია — პირადი ცხოვრება ვერ აიწყო. თუმცა არსებობდა ვასკა კომოვი და როგორც ამბობდნენ, ქალიშვილი ბიჭის ჯარიდან ჩამოსვლას ელოდა, მაგრამ ვასკა სოფელში არ დაბრუნებულა — სამხედრო სამსახურის ადგილას დასახლდა, მუშაობა იქვე დაიწყო, დაოჯახდა, შვილებიც ეყოლა. ეგებ ვასკაზე წყენა მიშინას თითოეული მამაკაცისადმი უნდობლობად გადაექცა? შესაძლოა ეს ამბები ჭორებია, ქალს ცხოვრებაში უბრალოდ არ გაუმართლა. როგორც არ უნდა იყოს, ეს ყველაფერი შორეულ წარსულში მოხდა. ახლა მიშინა უოჯახო, უფულო, ჯანმრთელობაშერყეული უსინათლო ბებრუხანაა.

— ფტიუ-იუ-იუ! — კვლავ გამკვივანი ხმა გაისმა.

ისევ რკინის ჭახანი და შაშვების ხმაური. თვალი დავხუჭე და წარმოვიდგინე ალუბლების ქვეშ სკამზე ჩამომჯდარი ქალი, რომელიც ცარიელ ქვაბზე კოვზს არაკუნებს. შაშვები მიფრინავენ, მაგრამ რამდენიმე წუთში უკანვე ბრუნდებიან. მიშინას ჩასთვლემს და ხელიდან კინალამ ქვაბი უვარდება. დედაბერს ეღვიძება, თავს ზემოთ ფრინველების ხმაური ესმის და სიჩუმეს კვლავ ნაცნობი ხმა მსჭვალავს.

— ფტიუ-იუ-იუ!

ასეა ყოველდღე, მთელი კვირა, მთელი ზაფხული, სანამ ალუბალი არ მოილევა. მას შემდეგ, რაც დედაბერმა ექვსი წლის წინ მხედველობა დაკარგა, ალუბლებზე ჩამომსხდარი შაშვების დაფრთხობა მის ერთადერთ საქმიანობად იქცა. დილაობით, მიშინა ბაღში მისი დეიდაშვილის ქალიშვილს — კლავდია ივანოვნა ილიმოვს გამოჰყავს. კლავდია სამოც წელსაა გადაცილებული, მაგრამ კოლმეურნეობაში მწველავად მუშაობს. მისი ქმარი დიდი ხნის წინათ





გარდაიცვალა, შვილები სოფლიდან წაუვიდნენ — ისიც მიშინასავით მარტოსული დედაბერია. გარი-ურაჟზე, დილის წველაზე მიმავალი კლავდია ივანოვ-ნა მიშინას აკითხავს, ბანს, აჭმევს, ბაღში გაჰყავს და სკამზე, რომელიც მუდამ ერთსა და იმავე ადგი-ლას დგას, ალუმინის კოვზითა და ცარიელი ქვაბით სვამს. როდესაც საღამოს წველიდან ბრუნდება მიში-ნა სახლში შეჰყავს, აჭმევს, ტანისამოსს უცვლის და დასაძინებლად სანოლში აწვენს. მთელ სოფელში ის ერთადერთი ადამიანია, რომელსაც ურთიერთობა აქვს ბრმა დედაბერთან, რომელმაც თავისი წუთის-ოფელი უკვე მოჭამა. შესაძლოა ეს მოვალეობის გრძ-ნობა იყოს, ანდა ცხოვრებაში დაუხარჯავი მოთხოვ-ნილება ვიღაცის მოვლისა. შესაძლოა, ეს უბრალო სიკეთეა.

— ფტიუ-იუ-იუ!

შაშვები კვლავ ხმაურით ტოვებენ ალუბლის ტოტებს.

ბაბუანვერას ვუყურებ, კრაზანა გაფრენილა. საინტერესოა, დარჩა თუ არა ყვავილში ცოტაოდენი ნექტარი? თუ უკანასკნელ წვეთამდე ამონოვა? ეგებ, კრაზანამ ოდნავ მოსვა და მაშინვე გაეცალა არა იმიტომ რომ ყვავილი უგემურია, ანდა შემდეგი უფრო ტკბილი იქნება, არამედ იმიტომ რომ განგებამ ასე დაანესა — ერთი ყვავილის არმატს რომ იგემებ, სხვა ყვავილთან უნდა გადაფრინდე და წინანდელი დაივიწყო, მერე შორეულ მდელსკენ გასწიო და შე-მოდგომას უცნობ ყვავილზე სევდისა და სინანულის გარეშე შეეგებო. ეგებ ყოველი განვლილი დღის შემ-დეგ ადამიანებიც ასე უნდა მოვიქცეთ?

— ფტიუ-იუ-იუ!

ქვაბის წკარუნი უკვე მერამდენედ აყრუებს ბალს. გულაღმა ვწვები და კვლავ მიშინაზე ვფიქრობ.

იგი მახსოვს ხმელ-ხმელი, მოძრავი ბებრუხანა, რომელიც მთელ დღეს ბოსტანს მარგლავდა და როცა უცხო ქათმები მის ბაღში იპარებოდნენ მეზობლებს ხმამაღლა ლანძღავდა. იგი არასოდეს შემინიშნავს სახლის წინ მდგარ სკამზე ჩამომჯდარი. გამუდმებით რაღაცას საქმიანობდა: თიბავდა, მარგლავდა, რწყავ-და, ამზადებდა, რეცხავდა. მგონი მის სხეულში ზამ-ბარა იყო გადამალული, რომელიც გამუდმებით ცდი-ლობდა, რომ მიღებული ძალა კვლავ აემოქმედებინა. სამოცდაათ წელს იყო მიღწეული, როდესაც მიხვდა, რომ ძროხის მოვლა აღარ შეეძლო. ღორები კი მაშინ მოიშორა, როცა ერთი თვალიდან ველარაფერი დაინ-ახა და მეორე თვალითაც ბრმავდებოდა. როდესაც მიშინა მთლად დაბრმავდა ქათმები კლავდია ივანოვ-ნას აჩუქა. მისი ეზო დაცარიელდა და დადუმდა. დარ-წმუნებით არ შემიძლია ვთქვა, მაგრამ ვფიქრობ, ეს სიჩუმე ბრმა ბებრუხანას აშინებდა. ამ სიჩუმით ვერც მე ვტკბებოდი და ვაშლის ხეების ძირში ძველ სანოლ-ზე წამოგორებული მწვანე ფოთლებში სინათლის ციალს შევცქეროდი. დედაბრის დაცარიელებული სახლის სიჩუმე მისივე დაცარიელებული ცხოვრების სიჩუმესავით იყო, რომელმაც ყველანაირი აზრი და-კარგა. მიუხედავად წლებისა, სიბრმავისა და სრული უმწეობისა მიხრწნილ, დაუძლურებულ სხეულში კი-დევე იკუმშებოდა და იშლებოდა სწორედ ის, მოქმე-დებდა დახარბებული ზამბარა. ამიტომაც დედაბერი ზაფხულის დადგომას მოუთმენლად ელოდა, ხოლო შემოდგომობით თავს არასაჭირო ნივთად გრძნობდა. მცირე ხნით ზაფხული დედაბრის არსებობას აზრს სძენდა. მიშინას კვლავ შეეძლო მუშაობა, ისევ საჭი-რო ხდებოდა, თუნდაც ისეთ უმნიშვნელო საქმეში,

როგორც ალუბლებიდან შაშვების დაფრთხობაა.

მიშინას ბალი დიდი არ ყოფილა — სულ რაღაც რვა-ცხრა ხე. პატარაობისას ხშირად ვძვრებოდი ბაღში ალუბლებისთვის და ანცობისთვის. უკვე იმ დროიდან ბაღმა ნელ-ნელა გაველურება დაიწყო. ხეები უწესრიგოდ იზრდებოდნენ, ალუბალი წვრი-ლი და მჟავე იყო. აქა-იქ ამოსულ ნორჩ ხეებს მიშინა იშვიათად ჭრიდა. დაბრმავების შემდეგ კი იქაურობა მთლად გაიბარდა.

— ფტიუ-იუ-იუ!

შაშვები ცაში აიჭრნენ.

ერთხელ გავიგონე კლავდია ივანოვნა მიშინას რომ ატყუებდა, ერთი ვედრო ალუბალი ჩამოსულ დამსვენებლებს მივყიდეო. დედაბერი ილიმებოდა, უკბილო ღრძილებს აჩენდა და კლავდია ივანოვ-ნას არიგებდა სარფიანად როგორ ევაჭრა და ფასი არაფრისდიდებით არ დაეკლო.

— თაფლივით ალუბალია, — ირწმუნებოდა წრი-პინა ხმით. — ბეჭენცეგებს შესთავაზე, მათ ბაღში ალუბლებს არასოდეს გაუხარიათ.

მისმა წარმოთქმულმა ალუბალმა ჩემი გარ-დაცვლილი ბებიები გამახსენა, რომლებიც ასევე ამახინჯებდნენ ამ სიტყვას. მომაგონდა ბევრი რამ, რომელთა გახსენებაც არ მსურდა. მეხსიერებამ წარ-სული დაუნდობლად გადაქექა და გარდასულ ბავშ-ვობაზე სევდა და მოწყენილობა მომასკდა. მე არ მჭირდება ერთი ყვავილიდან მეორე ყვავილზე უზ-რუნველად გადაფრენა, როგორც იმ კრაზანას, რო-მელიც ბაბუანვერაზე იჯდა. რასაც უკან მოვიტოვებ მემახსოვრება და თითოეულის გახსენებაზე ნალვე-ლი მომეძალება.

იმ დღეს მოზღვავებული მოგონებების ტყვეო-ბაში ვიმყოფებოდი და გადავწყვიტე უსინათლო დე-დაბრისთვის მესიამოვნებინა — მისგან ალუბალი მეყიდა. ავიღე ვედრო და მიშინას ბალისკენ გავემარ-თე. დედაბერი დაბალ სკამზე იჯდა და ალუბლის ხეს ეყრდნობოდა. ხელში განუყრელი კოვზი და ქვაბი ეჭირა. ნაბიჯების ხმა რომ გაიგონა თავი ჩემკენ მოა-ბრუნდა.

— გამარჯობათ, — ხმამაღლა ვთქვი მე.

მიშინა დუმდა. ხმაზე ვერ მიცნო.

— გავიგე, ალუბალს ყიდით. ერთ ვედროს ვიყი-დი.

მისი სახე ერთხანს დაძაბულ გამომეტყველებას ინარჩუნებდა, ხოლო როდესაც ჩემი ნათქვამის აზრს ჩასწვდა უცნაურად გაიღიმა — ნაოჭებისგან მთელი სახე დაექმუჭნა და ხორცმესხმულმა სიბერემ შე-მომხედა.

— მოკრიფე შვილო, — მოთქმით თქვა დედა-ბერმა, — თაფლივით ალუბალია.

როგორ გაიგებს რამდენს ჩამოვკრეფავ? დედა-ბერი ხომ ბრმაა. ეგებ ორი ვედრო გავავსო? რა არის ეს: ზედმეტი მიმნდობლობა, უგუნურება თუ მოხუ-ცებულობის ჭკუასუსტობა?

მიშინა დუმდა, თითქოს ჩასთვლიმა კიდევ. მა-სთან ლაპარაკი, რაღაცის გამოკითხვა მინდოდა, მა-გრამ არ ვიცოდი რა და როგორ მეთქვა და ალუბალს უჩემრად ვკრეფდი. დროდადრო სკამისკენ ვიხედე-ბოდი და გამხმარ, დაღმეჭილ სილუეტს შევყურებდი. დედაბერი ისე შესაბრალისად და უმწეოდ გამოიყ-ურებოდა, რომ მომინდა უბრალოდ ფული მიმეცა და წავსულიყავი, ოღონდაც იგი აღარ დამენახა. რა იყო მისი არსებობის მიზანი და რა მისცა სამყაროს? ათასი გამარგლული კვალი? ორი ათეული ტორფით დატვირთული მანქანა? ყველაფერი ეს სისულელედ,



უაზრობად და ამაოებად მეჩვენებოდა. როდესაც ეს ბებრუხანა აღარ იქნება, მისი დედამინაზე არსებობის კვალს რა შეგვახსენებს? შეყვითლებული ქების სიგელები? თუ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია? მთელი ცხოვრება შრომას ანაცვალა, მაგრამ მხოლოდ შრომაა საკმარისი ცხოვრების ფიალა ბოლომდე რომ აავსო? მინდოდა მეკითხა, ხომ არ ნანობს მისი ბედ-იღბალი ასე რომ აენყო?

რამდენიმე ალუბალი პირში ჩავიდე. მჟავე იყო. სახედამეჭილმა გადავყლაპე და კრეფა განვაგრძე. ბაღში სიჩუმე იდგა, გრილოდა. ნახევარი ვედრო რომ დავკრიფე დასასვენებლად ჩამოვჯექი. მიშინა დუმდა, არ ინძრეოდა. მხოლოდ დროდადრო თითები თქველ კაბაზე ნაკეცებს ისწორებდა. ფეხებთან დავიხედე და ბალახებში პატარა ჭიანჭველა შევნიშნე, რომელიც პანანინა ჩალის ღეროს მიათრევდა. განა ჭიანჭველა იმაზე ფიქრობს, მისი ცხოვრება რას წარმოადგენს? განა მას სიკვდილის შემდეგ დიდება და სამუდამო ხსოვნა ელის? ის სამყაროს ორომტრიალში მხოლოდ ქვიშის მარცვალაა, რომლის არსებობაც ვერავინ ვერ შეამჩნევს. ჭიანჭველა ჩალის ღეროს ბუდისაკენ ჯიუტად მიათრევს, რადგან ეს მისი საკეთებელი საქმეა, რადგან ის ცოცხალია...

მცირე ხანს ვიჯექი, მერე დედაბრისაკენ წავედი.

ნახევარი ვედროც საკმარისზე მეტი იყო.

— მოკრიფე? — იკითხა ფეხის ხმის გაგონებისას.

— დიახ, — ვუპასუხე.

— ერთი ვედრო?

— დიახ.

მიშინამ ალუბლის ფასი მითხრა. შეუვაჭრებლად გადავუხადე. ფულის გამორთმევისას არანაირი განსაკუთრებული სიხარული დედაბრის სახეზე არ აღბეჭდილა. ვერც მე ვიგრძენი, რომ რაღაც კარგი გავაკეთე. პირიქით, თავი მატყუარად მიმაჩნდა. ნახევრად გავსებული ვედროს გადაყრა მომიწია, ალუბლები მჟავე იყო და საჭმელად არ გამოდგებოდა, მურაბის მომხარშავი კი არავინ იყო.

— ფტიუ-იუ-იუ!

ქვაბზე დარახუნებული კოვზის ხმა კვლავ ანმყოში მაბრუნებს. სანოლიდან გალიზიანებული ვდგები. უადგილოდ გაჩენილმა მოგონებებმა და აზრებმა დასვენება ჩამიშხამა. წოლით დაბუყებული ფეხი არ მემორჩილება და სახლისკენ კოჭლობით მივდივარ. ზეგ შევებულება მიმთავრდება და ვგრძნობ, რა ძლიერ მომნატრებია ქალაქი.

თარგმნა

აკაკი დაუშვილა



მხატვარი
ნათელა (ნათია) შალაგბერიძე





ზაალ კოტკოველი



ლეგენდებისთვის...

მართლაც რომ ლეგენდებისთვის იყო დაბადებული.
ლეგენდებისთვის...
სიყვარულისთვის...
თავგანწირვისთვის...
ჩალისფერი დროშების ერთგულებისთვის...
ქართველთა სიამაყისთვის...
თანამემამულეთა სულიერებისთვის...
ჩვენი ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისათვის...

ჰამლეტ გონაშვილი!

კელაპტარივით ჩამოქნილი, სუფთა, ზნეკეთილი, ღვთიური მადლით მირონცხებული!

მის სიმღერაში ვულკანური ლავასავით მოედინება ქართული სულის, ქართული სისხლის მდუღარება და პირველი გრძობა, რომელიც მისი ჯადოსნური ხმის მოსმენისას გეუფლება, გაცეცხავს. სახტად დარჩენილი ცდილობ დაძაბო გონება და პასუხი გასცე უმარტივეს შეკითხვას: ნუთუ ყოველივე ის, რაც წუთის წინ მოისმინე, შეიძლება ჩვეულებრივ. მოკვდავის ბაგეებს მოსწყვეტოდა და ისე მოვლენოდა ჩვენს სულს შვებად და ნუგეშად, ქართველი კაცის გამაოგნებელი ნიჭიერების დასტურად...

ბედნიერი ვარ, ბედნიერი ვარ თუნდაც იმიტომ, რომ საშუალება მეძლევა კიდევ ერთხელ ვესტუმრო იმ სახლს, სადაც XX საუკუნის გენიალური ქართველი მომღერლის აკვანი დაირწა, რომელმაც საქართველოს არა მარტო მაფშალა, არამედ გრაალის მცველებივით ერთგული და მუხლჩაუხრელი მეციხოვნე აჩუქა ივერთა მიწისა.

ფეხაკრებით შევდივარ სახლში. მეშინია დისონანსი არ შევიტანო კოსმოგონიური ხილვებით დამუხტულ გარემოში, რომლის კუნჭულებიდან თითქოს ახლაც იღვრება საოცარი „ურმული“, „წინწყარო“ და „დაიგვიანეს“.

მასპინძელი კი მართლაც დიდებული მყავს. ჰამლეტ გონაშვილის და — ქალბატონი ჯულიეტა, რომელიც აგერ თითქმის სამი ათეული წელია, რაც ერთგულად პატრონობს და უვლის მისი ღვთაებრივი ძმის დანატოვარ მემორიალურ ნივთებს.

სახლის მეორე სართულზე საკუთარი ხელით მოუწყვია საგამოფენო დარბაზები, სადაც ყველას და ყველაფერს თავთავისი საკადრისი ადგილები აქვს მიჩენილი.

ბედის უმოწყალო ბორბალმა თურმე არც ქალბატონ ჯულიეტას მოაკლო მისი წილი სადარდელი, მაგრამ ვერარა დააკლო მის უტეხ ზნესა და წირს. ისიც ოთარაანთ ქვრივივით ჩუმად, უხმაუროდ ენ-

ევა ჭაპანს და ცდილობს საკადრისი პატივი მიაგოს მისთვის უძვირფასესი ადამიანების ხსოვნას, ობლობა არ აგრძნობინოს ერთადერთ შვილიშვილს, შემწედ და ქომაგად დაუდგეს მისი სათაყვანებელი ძმის ვაჟიშვილებს — დიმიტრისა და გიორგის, რომლებმაც საკუთარი მხრებით უნდა ზიდონ უმძიმესი ტვირთი. ჰამლეტ გონაშვილის შვილობა მართლაც არაა ადვილი საქმე.

დამატარებს ქალბატონი ჯულიეტა ოთახიდან ოთახში, ექსპონატიდან ექსპონატამდე, ცრემლმორეული მიყვება გონაშვილთა ოჯახის ტრაგიკულ ისტორიას და თანდათან ვგრძნობ, რომ თავადაც იმ ცრემლის ნაწილი ვხდები, იმ ცრემლის მოზიარე და ჭირისუფალი...

ჰამლეტის მამა დიმიტრი გონაშვილი მწერალი, ფოლკლორისტი, ქართული კულტურის ძეგლების მკვლევარი ყოფილა. ქართული ზეპირსიტყვიერების ტრფიალს შეუკრებია მირიადი ხალხური თქმულება, ლექსი, ზღაპარი, ლეგენდა, რომლებმაც შემდეგ „ხალხური სიბრძნის“ ხუთტომეულში დაივანა. თავადაც მეზღაპრე იყო და ცალკე წიგნად გამოუცია ორიგინალური ზღაპრები. რაც მთავარია, ბატონ დიმიტრის სოფელ ბოდბეში, მდინარე ივრის ხეობაში აღმოუჩენია დავით გარეჯის ციკლის გამოქვაბულთა რამდენიმე კომპლექსი, რომელთათვის პირობითად მალაზანები და ქოლაგირები უწოდებიათ.

პედაგოგი ხომ დიდებული გახლდათ. სწორედ მისი აღზრდილები იყვნენ ქართული მწერლობის, მეცნიერების ისეთი აღიარებული მეტრები, როგორც იყვნენ დიმიტრი ბენაშვილი, გიორგი ნატროშვილი, ივანე ლოლაშვილი...

დედა — მარგო კაცელაშვილი ფშავიდან უსამართლობას გამოქცეული წინაპრების მეხუთე თაობის წარმომადგენელი იყო. ჰამლეტ გონაშვილს სიმღერის ნიჭი თუ ვინმესგან დაჰყვა, სწორედაც რომ ღვთივეკურთხეული დედამისისგან. მარგოსთვის თავის დროზე თურმე დიდ ვანო სარაჯიშვილს მოუსმენია და ისე მოსწონებია მისი ნამღერი, რომ უთქვამს: ამ ერთ წელიწადს დაგაცდი, სკოლა დაამთავრე და მერე თბილისში კონსერვატორიაში წაგიყვანო. ის მერე კი აღარ შედგა. ვანო სწორედ იმ წელს დაიღუპა და შერჩა მარგო კაცელაშვილი მშობლიურ ჩონგურს...

სიმღერით თურმე ქალბატონი ჯულიეტაც ჩინებულად მღეროდა, მაგრამ ცხოვრებამ, ოჯახმა იძალა და ისიც მოყვარულის დონეზე დარჩა, თუმცა ჰამლეტს მაინც ყვარებია მასთან ერთად სიმღერით ტკობა...






მიყვება ქალბატონი ჯულიეტა ძმაზე და მეც ერთი ლეგენდიდან მეორეზე გადავდივარ, ვცდილობ ზედმეტი შეკითხვით არ შევწყვიტო ულამაზესი კრიალოსანივით გაბმული მდინარეა თხრობისა ნიჭიერების, სიკეთისა და სათნოების საუფლოზე, რომელსაც ჰამლეტ გონაშვილის სამყარო ჰქვია...

პირველი ლეგენდა კი კახეთის მატარებელში დედა-შვილის შეხვედრაზე მოგვითხრობს.

მეორე მსოფლიო ომის წლები იდგა. ჰამლეტი მაშინ საგურამოში, ვეტერინალურ ტექნიკუმში სწავლობდა. მშობლები კი დროებით ცხინვალში, იმდროინდელ სტალინირში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, დღეს კი არა, ღამეს, ჰამლეტი მატარებლით ანაგაში ბებიასთან გამგზავრებულა. სამგზავრო ვაგონის მესამე სართულზე წოლილა. ქვემოთ დინჯი კახელები, დრო რომ გაეყვანათ, მღეროდნენ და ჩონგურზე უკრავდნენ. ჰამლეტს უთხოვია მათთვის, ჩონგური მათხოვეთო და ამღერებულა. მთელი ვაგონი ელდანაცემივით გასუსულა და ისე უგდებდა თურმე ყურს ამ არამინიერ ხმას. ბოლოს მყუდროება ქალის ხმას დაურღვევია, ნეტავი შენს დედას, რა შვილი ეზრდებო. ჰამლეტს კი ეს ხმა ეცნაურა. ძირს ჩამომხტარა და დედას გადახვევია... იქნებ სწორედ მაშინ დაიბადა დიდი მომღერალი. ვინ იცის?



ჰამლეტ გონაშვილი და ანზორ ერქომაიშვილი

მეორე ლეგენდა მართლაც რომ დაუჯერებელი იქნებოდა, მისი ამსახველი ფოტოსურათი რომ არ არსებობდეს. ერთ-ერთი საგასტროლო მოგზაურობისას გემზე მყოფ ჰამლეტს პური დაუფშვნია, ხელისგულზე დაუყრია და ისე უჭმევია ზღვაზე მოლივლივე თოლიასთვის. ეს მართლაც საოცრება გამოდგა, რადგან ბევრისმნახველ მეზღვაურებს არ ახსოვდათ მსგავსი შემთხვევა. ამის შემხედვარეს სხვასაც უცდია თოლიათა დაპურება, მაგრამ ამაოდ. რა იყო ეს, ამის ახსნა დღესაც შეუძლებელია. რა მადლი ჰქონდა ამისთანა ამ სანთელივით სუფთა ადამიანს, ვინ გასცემს პასუხს. იქნებ ეს იმიტომაც მოხდა, რომ მის პატარა, ერთი ციციქნა სოფელში 18 ეკლესია ემსახურებოდა საუფლო საქმეს? იქნებ იმიტომაც, რომ 30 მილიონი წლის წინათ სიღნაღის რაიონი ზღვით იყო დაფარული და თოლიას ჰამლეტის სულში ადამისდროინდელი ზღვის ტალღების შრიალი მოესმა?

ლეგენდად ქცევა უწერია იმ საოცარ შემთხვევას, რომელიც შორეულ 1974 წელს გერმანიაში მოხდა. ჰამლეტს საავადმყოფოში მოუხანხლებია საქართველოს დიდი მეგობარი, რეჟისორი ჰერმან ვედეკინ-

დი. ლოგინად ჩავარდნილ, მძიმე ავადმყოფ ბერიკაცს ჰამლეტისთვის უთხოვია მიმღერეო და ჰამლეტსაც არ გაუნბილებია ლამის ქართველად გარდაქმნილი გერმანელი. სასწაული კი ის იყო, რომ მეორე დღეს გამოჯანმრთელებული, ფეხზე დამდგარი ვედეკინდი ქართველთა კონცერტსაც დასწრებია და ტაშსაც თავდავინწყებამდე უკრავდა.

რაც გინდათ, ის დაარქვით ამ მოვლენებს: ლეგენდა, სასწაული, მისტერია, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ის გახლავთ, რომ ამ მოვლენების მთავარი პერსონაჟი სწორედ რომ ჰამლეტ გონაშვილი იყო, ქართული სიმღერის რაინდი და მესაიდუმლე...

რაინდი იყო თუნდაც იმიტომ, რომ საოცარი გრძნობით ეპყრობოდა საქართველოს ბუღბუღის — ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ჰამლეტს არასოდეს უმღერია ის სიმღერები, რომლებსაც მისი დიდი წინამორბედი ასრულებდა, არ უმღერია იმ სცენებზე, სადაც ვანო მდგარა და ვერავინ დამისახელებს მსგავს მეორე შემთხვევას..

ზემოთ აღვნიშნე, საოცრად უბრალო და სათნო ადამიანი იყო-მეთქი. ახლა იმას მოგიყვებით, რასაც თავად შევსწრებივარ.

გასული საუკუნის 70-იანი წლები იდგა. მწერალთა კავშირის მეორე სართულზე ამომავალ კიბეზე ჰამლეტ გონაშვილს მოვკარი თვალი, ვილაც უცხოელს მოჰყვებოდა. მომიახლოვდა და მორიდებით მკითხა, გრიგოლ აბაშიძის კაბინეტი საით არისო. მეც მივუთითე. ჰამლეტმა უცხოელი კაბინეტამდე მიაცილა და უკან გაბრუნდა. გამიკვირდა და ვკითხე, ბატონო ჰამლეტ, თქვენც რატომ არ შეჰყვევით-მეთქი. მორცხვად ჩაიცინა, იმ უცხოელს არ ვიცნობ, რუსთაველზე შემთხვევით გადავეყარე, მწერალთა კავშირის მისამართი მკითხა და ამიტომაც მოვყევი თქვენამდეო. ესეც ერთი შტრიხი დიდი ადამიანის პორტრეტისათვის.

ვაჟკაცი გახლდათ, ქართველ მხედართა დარი აღნაგობა ჰქონდა, იმ ქიზიყელთა ჯიშისა და მოდგმისა იყო, ვისთან ერთადაც დაიწყო ერეკლე მეფის გმირული ეპოპეა სამშობლოს დაცვისა. უბატონო ქვეყნის შვილობა ეტყობოდა ხასიათშიც, მიხრამოხრამშიც. აკი წერდა კიდეც ტიცციან ტაბიძე:

„ქიზიყში არ იციან, რას ჰქვია ბატონყმობა. თუ კახელი, საზოგადოდ, მაგარი ხასიათის არის და უტეხია, ქიზიყელი ამ შემთხვევაში სრული დასრულება ამ ტიპისა. ამ მხარეში ხალხი ახოვანი იზრდება და ძლიერი ბუნება არაფერს აკლებს ქიზიყელს, რომ იყოს გულგაშლილი და ზვიადი“.

ჰამლეტ გონაშვილი სწორედაც რომ ალი-კვალი გახლდათ თავისი დიდი წინაპრებისა, ერთი ვეება ნატეხი იყო იმ უშველებელი მონოლითისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ანცვიფრებდა და დღესაც ანცვიფრებს მსოფლიოს. ოღონდ, თუ გვინდა, რომ კვლავაც ამაყად ფრიალებდეს ქართული სულიერების ბაირაღები, „ჩაკრულოსა“ და „მრავალყამიერს“ მოვუაროთ, „ვეფხისა და მოყმის ბალადას“ მოვუაროთ, ქართულ ცერულსა და „განდაგანას“



მოუფაროთ, თორემ სტივ უანდერისა და ელტონ ჯონის სამყაროს ჩვენი ინგლისური სიმღერით ბევრი ვერაფრით გავაკვირვებთ.

ისევე ანაგაში, სიმწვანეში ჩაკარგულ გონაშვილთა საუფლოს და ვუბრუნდეთ. სუნთქვა შეგვეკვრება კაცს, როდესაც კედელზე დაკიდებულ იმ ჩოხას შეეხები ხელით, რომლითაც ჰამლეტი პირველად გამოვიდა სცენაზე. ჰკიდია კედელზე დაჩრჩილული ჩოხა და დროჟამის ამაოებაზე მოგვითხრობს. აქვეა მომღერლის პირველი ჩონგურიც, რომელსაც შეკეთება ესაჭიროება. და ბოლოს, ყველაზე შემზარავი და სულისშემხუთველი ექსპონატი — ოთახის კუთხეში დამნაშავესავით მიყუდებული ძალაყინი, რომელმაც იმსხვერპლა ქართული სიმღერის კორიფე.

სევდიანი, ნალვლიანი და, ამავე დროს, ამაყი და ბედნიერი ვტოვებ დიდი მომღერლის სულის ნავ-

საყუდელს, ვისი ჰანგიც, როგორც პოეტმა ბრძანა, სიყვარულზე წმინდაა და ხალასი, ვისი ლეთაებრივი ხმაც საუკუნეების მიღმაც გაიტანს ქართული სიმღერის მაღლსა და მირონს...

ქართული სიმღერა კი დღესაც მიაპობს კოსმოსურ სივრცეებს და გალაქტიკებს ამცნობს, რომ ერთ პატარა პლანეტაზე, დედამინა რომ ჰქვია სახელად, სახლობს მაცხოვარივით ჯვარცმული ერი, ათასგზის გვემული და იავარქმნილი, მაგრამ უტეხი, ჯიუტი და ძელქვასავით გულმაგარი ერი, რომელიც დიდზე დიდი სიყვარულის ღირსია.

რატომ?

თუნდაც იმიტომ, რომ შეუძლია სამყაროს აჩუქოს ჰამლეტ გონაშვილი, არა მარტო სწორუპოვარი მომღერალი, არამედ სახე, სავიზიტო ბარათი თავისი ბედკრული ქვეყნისა.



გზიური სულის ანარეკლი

გურამ ასათიანი ერთგან წერს, რომ საქვეყნოდ ცნობილმა მ. ბახტინმა შუა საუკუნეების კულტურის კვლევისას საკუთარ ესთეტიკურ კონცეფციას საფუძვლად ფრანგი ისტორიკოსის ჟ.მიშლეს მოსაზრება დაუდო, რომლის თანახმადაც ალორძინების მხატვარი ჩვეულებრივ „ხალხური სტიქიიდან კრეფს სიბრძნეს“, ხოლო ყველგან, „სადაც ჯერ კიდევ ვერ პოულობს, თვითონვე წინასწარმეტყველებს, გვპირდება, მიმართულებას გვაძლევს...“

თუ ამ კონცეფციას ვენდობით, არადა, არავითარი საფუძველი არ გვაქვს არ ვენდოთ, მაშინ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ, ფართო გაგებით, თავად გურამ ასათიანი გახლდათ რენესანსული აზროვნების შემოქმედი. ჯერ ერთი ის, რომ იგი არათუ მხოლოდ ხალხური სტიქიის ნიაღის ყველა მღვიმესა და ხევხუვს იცნობდა სიღრმისეულად, დაგემოვნებით, არამედ ათასხუთასწლოვანი ქართული მწერლობის მხრებზე იდგა ამ ცნების საუკეთესო გაგებით და იქიდან, იმ თვალუნვდენელი სიმაღლიდან ჭვრეტდა მისთვის აგრერიგად ძვირფასი და საესავი საუფლოს შუქ-ჩრდილებს. მერე კიდევ ის, რომ აზროვნების საკუთარი ლალი, ძალდაუტანელი მდინარებით ბევრ დილემას, საფიქრალს, საკამათოს სთავაზობდა თანამოკალმეებს და თვალსაწიერის გაფართოების, ახალი ჰორიზონტების დაპყრობისაკენ მოუწოდებდა.

ბობოქარი, დაუცხრომელი სულის პატრონი გახლდათ. ძიებებით, ეჭვებით, საოცარი მიგნებებით, წარმატებებით, ადამიანის სულის იდუმალ ხვეულებში წვდომით გამოწვეული შემოქმედებითი სიხარულებით სავსე ცხოვრებით იცხოვრა და ქართული სულის, ქართულის სულიერების ერთ უმშვენიერეს გამოვლინებად იქცა.

რჩეული გახლდათ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრის კრიტიკული აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, მის სახელთან იყო დაკავშირებული, მისი ხელმძღვანელობით ვითარდებოდა, მისი უნიკალური და განუმეორებელი დამლით იყო ნიშანდებული.

ერთი სიტყვით, გურამ ასათიანი აღიარებული მეტრი, აღიარებული ლიდერი იყო ქართული სალიტერატურო კრიტიკისა. მისი არტისტული ბუნება, მისი ენციკლოპედიური განათლება, ფართო თვალსაწიერი, ღრმა ერუდიცია, მსოფლიო სალიტერატურო

პროცესების თანაზიარობის განცდა, მართლაც რომ დახვეწილი გემოვნება და ალლომის კრიტიკულ ნააზრევს გამოქვეყნებისთანავე მართლაც საყოველთაო ყურადღებისა და აღტაცების საგნად აქცევდა. ამ მასშტაბურად მოაზროვნე კრიტიკოსს პატივითა და რიდით ექცეოდნენ, მის სიტყვასა თუ მოსაზრებას ანგარიშს უწევდნენ. მისი ოპონენტობაც კი მეტად სასიამოვნო იყო ყველასათვის, რადგანაც კარგად იცოდნენ, იგი იდეას ეპაექრებოდა და არა ამ იდეის ავტორს...

საოცარია, გურამ ასათიანი გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებდა თავის ლიტერატურულ არსებობას და მას, როგორც ცოცხალს, ისე ეპაექრებოდნენ. ყველას კარგად გვახსოვს ან გარდაცვლილი აკაკი ბაქრაძის „მკვახე შეძახილი“ და კამათის გაგრძელება გურამის სულთან. თითქოს ცოცხლად დარჩენილებს არ ემეტებოდათ წარსულში დასატოვებლად ეს ჭემ-მარიტი ქურუმი ქართული კრიტიკული აზროვნებისა და ამგვარი ფორმით აგრძელებდნენ მის ამქვეყნიურ არსებობას...

ბატონმა გურამმა კრიტიკა — ეს მეტად უმაღური და უმძიმესი საქმე, ჩვენს სინამდვილეში, მწერლობის ჟანრად აქცია და მას სრულიად განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა მისცა... მან კრიტიკა გაათავისუფლა იმ აბლაბუდისაგან, იმ უკვე დახავსებული სტერეოტიპებისაგან, ურომლისოდაც საბჭოთა იმპერია იმპერიად ვერ იქნებოდა, მისი კრიტიკული ნაწარმოებები ნიმუშია ლიტერატურული აზროვნების განსაკუთრებული სიმაღლისა. რა კარგი იქნება, თუ ვინმე ითავებდა და გურამის ნაწარმოებებიდან ამონარიდ ბრძნულ გამონათქვამებსა და სენტენციებს ცალკე წიგნად გამოსცემდა. დარწმუნებული ბრძანდებოდათ ისინი ტოლს არ დაუდებდნენ ბლევ ბასკალისა და ჩესტერფილდის, პოლ ვალერისა და ჟან დე ლა ბრუიერის ანალოგიური შინაარსის გამოცემებს.

ეცნობი მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მისი ნააზრვის ლალ და ძალდაუტანელ მდინარებას, რომელსაც თითქოს ყველა უწმინდურობისა და ბოროტების წალეკვა ძალუძს. ეცნობი და წუთიერად სახტად დარჩენილი ირინდები, როდესაც მავსტროს შემდეგ სტრიქონებს წააწყდები:

„რომ დავენერო... სამჯერ უფსკრულს უნდა ჩავეკიდო, დალუპვამდე! სამჯერვე თუ გადავურჩი



სიკვდილს და გადაუდრჩი ნამდვილად, ისე კი არა, ბუტაფორიულად, მხოლოდ მერე მაქვს დაწერის უფლება“.

ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, ალბათ არაერთგზის გამოგვიცდია მსგავსი განცდა, მაგრამ გურამ ასათიანი და ასეთი შიში სუფთა, ქათქათა თაბახის ფურცლისადმი, პასუხისმგებლობის ასეთი გამძაფრებელი განცდა?!

ალბათ ასეთი განცდა იყო სანინდარი მისი დიდი ლიტერატურული გამარჯვებებისა, იმ სიმაღლეების დაძლევისა, რომლებიც მხოლოდ ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებულთ ემორჩილებიან.

სულიერი არისტოკრატიზმით გამორჩეული არავის არ აგრძნობინებდა საკუთარ უპირატესობას, პირიქით, მისი ადამიანური უბრალოება და მოყვასის სიყვარული სამაგალითო იყო ყველასთვის. სხვებშიც თუ რამ ხიბლავდა, სწორედ უბრალოება, სისადავე ხიბლავდა, სულის სიჩვილე, სამართლიანობის ნიჭი, ლალი ზნე და შინაგანი ღირსების ორგანული, ურყევი განცდა.

მისი პიროვნება სათავეს თითქოს ვეფხისა და მოყმის ბალადიდან იღებდა. იმ საკრალური თვისებების მატარებელი და მეციხოვნე იყო, რომლებმაც დღევანდლამდე მოიყვანა ღვთისმშობლის ნილხვდომილი ქვეყანა. ქართული ნიადაგზე იდგა ნიადაგ. ფესვები ღრმად ჰქონდა გაშვებული მშობელ მიწაში და თუ რამ ალაპარაკებდა, თუ რამ რიხსა და სიმტკიცეს ურევდა ხმაში, ამ მიწის ერთგულება იყო.

ამიტომაც სიკვდილი რომ სიკვდილია, მასაც არაფრად აგდებდა და დასცინოდა კიდეც. ბატონი გურამი წერდა:

„უსასრულოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ვიყავით.

უსასრულოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე აღარ ვიქნებით.

ამის გამო, ყველაფერი, რაც „ყოფნა“, უწინარეს ყოვლისა, მაღლად და სასწაულად უნდა მივიღოთ, ვინაიდან ეს ყოფნა — „ერთი ნამიცი კი სიცოცხლის“, არყოფნასთან შედარებით მაინც სინათლის სხივია, თუნდაც ის პატარა სხივი, თუთის გამჭვირვალე ნაყოფთან ერთად რომ ჩამოვარდა ხიდან“. ჰოდა, ასეთი ცნობიერების მქონე პიროვნებას რომელი სიკვდილი შეაშინებდა. უმძიმეს ავადმყოფსაც კი არ სტოვებდა სიმტკიცისა და შეუპოვრობის განცდა. როგორც ნეტარხსენებული რევაზ თაბუკაშვილი წერდა, „ის (გურამი — ზ.ბ.) კვდებოდა როგორც მერკუციო, ყოველ წამს იგრძნობოდა სიკვდილზე მისი გამარჯვება. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გურამთან მეგობარი ლიტერატორები მისულან. მეგობარი რომ გაემხნეებინათ, უთხოვიათ გოგლა ლეონიძეზე წერილი დაგვიწერო. გურამის თვალეებში ეშმაკუნები ათამაშებულან და მყისვე უპასუხია „მომხდურთათვის“, წერილს, ალბათ, ვერ დავწერ, თქვენ დაწერეთ და მე წავუღებო გოგლასო.

დამისახელებთ, ასე ვაჟკაცურად, ასე შემართულად ვინ დახვედრია სიკვდილს? თითოთოროლა შემთხვევა მახსენდება. ერთი გურამისავე მეგობარი ნოდარ დუმბაძე იყო, რომელიც მიქელ-გაბრიელს სიმღერით შეეგება და გააოგნა კიდეც. ზემოთნახსენები რეზო თაბუკაშვილიც რაინდვით ებრძოდა სიკვდილის ანგელოზებს. ალბათ, სხვებიც, ვინ იცის...

გურამ ასათიანს ძალიან მოსწონდა მონტენის ცნობილი გამონათქვამი: „თუკი შევძლებ, შევეცდები, რომ ჩემმა სიკვდილმა არაფერი ისეთი არ თქვას ჩემს შესახებ, რაც თავის დროზე სიცოცხლეს არ

უთქვამს“. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მისი ლამაზი სული, მისი მშვენიერი ასული ასე სრულად განიფინა მის ნაწერებში ისე, რომ კითხვის ნიშნის დასასმელად არავითარი სივრცე არ დატოვა; ამიტომაც იყო ასე მომთხოვნი, დაუნდობლად მკაცრად მომთხოვნი ყველასადმი და განსაკუთრებით ქართველობის — მისი სისხლისა და ხორცის მიმართ.

„ადამიანმა, პირველ რიგში, ადამიანურობა უნდა შეინარჩუნოს და თუ ძალა შესწევს, ერთდროულად, უანგაროდ უნდა ემსახუროს თავის იდეალს, თავის ღმერთსა და სინდისს“. — წერდა ბატონი გურამი და მტკიცედ სწამდა, რომ ადამიანი ცოცხალია მანამდე, სანამ ის ბედნიერებას ეძებს, ვიდრე მის გულში კიდევე ღვივის სიყვარულის, აღთქმული ქვეყნის ნახვის იმედი.

დიახაც რომ მისთვის უცხო იყო ასკეტური თვითგვემა, სამყაროს ხილულ მშვენიერებაზე, მინიერ ბედნიერებაზე უარის თქმა, მაგრამ კიდევე უფრო საძულველად მიაჩნდა ის, რაც ჭუჭყში სვრიდა ჩვენდამი ბუნების მიერ მომადლებულ მაღალ სულიერ თვისებებს... ის მართლაც რომ უქრობი სინათლის შვილი იყო და ძნელად ეგუებოდა ყველაფერს, რაც თრგუნავდა და ახშობდა შემოქმედი აზრის ლალ მოძრაობას. მის ძარღვებში ამ დიდი მზის ათინათი ციმციმებდა და თავდავიწყებით უყვარდა სიცოცხლე, გაზაფხული, ყველაფერი, რაც არსებობის მაღლად მოგგვლენია, რაც მარადიულ ქმედებას და განახლებას მოასწავებს.

რა ზუსტი, ამომწურავი და, ამავე დროს, რა შემზარავია ასათიანისეული განმარტება კონფორმიზმისა და კონფორმისტისა. იგი მიიჩნევდა, რომ თანამედროვე კონფორმიზმის უმთავრესი მიზეზი პიროვნების უთვისტომობაა, ფესვებდაკარგული და მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი პიროვნების უთვისტომობა. ზოგი ადამიანის ფესვები მხოლოდ იმ შრეებს წვდება, სადაც შმორი და სიბინძურეა დატოვებული და ეს ლიტერატურასაც ეხება. ფესვების გარეშე ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც მხოლოდ ბუტაფორიული მცენარეთა რიცხვი მრავლდება. ბატონი გურამი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მწერალი პასუხს აგებს ყველაფერზე, რაც მის გარშემო ხდება. იგი პასუხისმგებელია ყველაფრის გამო, რისი გაკეთებაც შეეძლო და რაზეც პროფესიული ქედმაღლობისა თუ ჩვეულებრივი სიმხდალის მიზეზით ხელის გასვრა არ იწება... არ არსებობს გამართლება, რომლის გამო ჩვენ ეს სამარცხვინო გულგრილობა გვეპატიოს. თუნდაც ამ სტრიქონების, ამ პოზიციის გამო არის დიდი და იგავმიუზღვენელი გურამ ასათიანი. ხომ არ გებადებათ კითხვა, ძვირფასო მკითხველებო, თუ როგორ მოიქცეოდა ეს ნამდვილი დენდი იმ ავადსახსენებელი 26 მაისის სისხლიან ღამეს, როდესაც ადამიანის ნიღბებმორგებული სატანის ნაშიერნი ქართველთა სისხლს სვამდნენ, როგორ მოიქცეოდა მეორე დილით, როდესაც რუსთაველის გამზირზე მხოლოდ ერთ ახალგაზრდა ბიჭს აღმოაჩნდა პროტესტის გრძნობა და ის ორმა პოლიციელმა იქაურობას მოარიდა. დარწმუნებული ვარ, გურამ ასათიანი სწორედ იმ ახალგაზრდა მოცეკვავის გვერდით აღმოჩნდებოდა და ხმამაღლა იტყოდა, მეფე შიშველია.

ეს ისე, სხვათა გასაგონად!!!

კრიტიკოსი ზაზა ასათიანი წერდა: „გურამს ძალიან მოსწონდა ამერიკული ფილმი „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“. მოსწონდა იმიტომ, რომ მისი სამშობლოც ფსიქიატრიულ კლინიკას დაამს-





გავსეს ნაძირალებმა და ქართველი ერის „გამოსა-ჯანმრთელებლად მუშაობდნენ“. და ის საპროტესტო მუხტი, რომლითაც ფილმია გამსჭვალული, მისი სამ-შობლოს მარადიულ ბრძოლას აგონებდა გადარჩენი-საკენ“.

გურამ ასათიანის ფიქრი, მისი სჯა, მისი შემოქ-მედება ხომ სამშობლო ქვეყნის გადარჩენის რწმენით იყო ნასულდგმულევი. სულ ანუხებდა ერთი პრობ-ლემა და კითხულობდა კიდევ:

„მართლაც, ჩვენ გვეკუთვნის ეს ლაჟვარდოვანი გუმბათი, ამდენი ხანია, თავს რომ გვევლება? მარ-თლა ჩვენი უძირო სულის ანარეკლია მისი იდუმალი სიღრმე, თუ აქ შემთხვევით შემოვიარეთ, დროებითი მდგმურები ვართ ამ ჭერქვეშ და ხვალ ისევ გუდა-ნაბადი უნდა ავიკრათ, უკვალოდ უნდა გადავშენდ-ეთ, რომ ჩვენს ნადგომზე სხვამ ისადგუროს?“

იქვე უკუაგებდა იჭვნარევი ფიქრებს, ისევ ომახიანად, ვაჟკა-ცურად შეუძახებ-და ქართველობას?

„ნურვინ იფ-იქრებს, რომ ჩვენ დავილაღეთ და დროის შეჩერება მოგვინდა. ქარ-თული სულის მუდ-მივი სურვილი — განახლება“.

ამ პროცესში, ქართული ენერ-გიის მუდმივი გა-ნახლების პრო-ცესში ერთ უმ-თავრეს ადგილს პოეზიას ანიჭებდა,

ურყევად სწამდა, რომ სანამ არსებობს ქართული ენა თავისი სასწაულმოქმედი, იდუმალი არსებით, იგი თვითონ, თავის ნიალიდან აღმოაცენებს პოეზიას — მის იდუმალ თრთოლვას, „რამეთუ ყოველი საიდუმ-ლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“. ვერ წამოედგი-ნა, დაჯერება არ შეეძლო, რომ თანამედროვე მკითხ-ველი მასის გულგრილობამ პოეზიისადმი, შეიძლება ძირშივე დააზროს ის ცხოველმყოფელი მარცვალი, რომელიც ოდითგანვე ფეთქავს ამ ქვეყნის მკვიდრთა სულში. პოეზია მისთვის იყო ოცნების და რეალობის, „ფრთებისა“ და „ფესვების“, „ამბოხისა“ და „ნიადა-გის“ შენადნობი, ის შთაგონება, რომელსაც უვრცესი პანოს შექმნა შეეძლება.

პოეტისაგან ძალიან ბევრს მოითხოვდა, ძალიან ბევრს მოელოდა, წერდა, პოეტმა სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლებელიც შესაძლებელია, რომ სასწაულები მართლაც ხდება და, რაც მთავარ-ია, პოეზია თვითონ არის ერთი ამ სასწაულთაგანი. რა დიდებული განმარტებაა და როგორ ეხმიანება ჩვენგან შორს, შორს დაბადებული დიდი ესპანელის მიგელ უნამუნოს ასევე დიდებულ ფრაზებს: „პოეზია არ არის კლოუნადა, არც ჯადოქრობა... ეს არის სას-ნაული“.

გურამ ასათიანი სწორედ ამ სასწაულების მცველიც გახლდათ, მეციხოვნეც და უმკაცრესი მსა-ჯულიც. შეეძლო მისთვის უცნობი ავტორის ლექსში ამოეკითხა, რომ თურმე მოკლე კაბებს კარადაში ფუტკრებით შეუძლიათ ზუზუნის და პატარა ბავშ-ვივით გაეხარა. ეს პირველად მომჩინის სიხარული გახლავთ, ბატონებო, და როგორც ჭეშმარიტ შემო-

ქმედს, არაერთი ჯადოსნური მღვიმისა თუ სრა-სასახლის მომლოცველს, სულაც არ ეთაკილებოდა ამის საჯაროდ აღიარება.

რა თქმა უნდა, ქართული ლექსის უბადლო მცოდნე, უპირველესად, იმ ტაძარში ლოცულობდა, სახელად „ვეფხისტყაოსანი“ რომ ჰქვია. სრულიად სამართლიანად სწამდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან გზაჯვარედინს კაცობრიობის ესთეტიკური განვი-თარების ისტორიაში, რომ რუსთაველის უკვდავი პოემა ადრეული რენესანსის იდეათა უჩვეულო ჰარ-მონიის კლასიკური გამოხატულებაა და აქვე სვამდა უმთავრეს კითხვას, შემოქმედების რა ფორმებში, რა ესთეტიკური ნაირსახეობით, რა კონკრეტული მხატ-ვრული იერით გამოვლინდა „ვეფხისტყაოსანში“ მისი წარმომშობი ერისა და დროის სული? ასე მასშტა-ბურად დასმული კითხვა თავისთავში გულისხმობს

პოემის „მჩხრეკელ-თა“ მირიადიანი კო-ჰორტის არსებობას, რომელიც უცილო-ბლად ჭირდება მის ყოველმხრივ შესწავ-ლას...

გურამ ასათიან-მა ამომწურავად გააანალიზა ქარ-თული პოეტური აზ-როვნების ევოლუცია XIX საუკუნეში, განსა-კუთრებული ღვანლი დასდო რომანტიკუ-ლი პოეზიის ინდი-ვიდუალიზმის შეს-წავლას და არაერთ

საგულისხმო მიგნებამდეც მივიდა. არც დიდი სა-მოციანელები გამოჩნენია და ილიას, აკაკის, ვაჟას, ალექსანდრე ყაზბეგს სათანადო პატივი მიაგო... არც XX საუკუნის პოეზია დარჩა მისი ყურადღების მიღმა. გალაკტიონ ტაბიძე, ცისფერყანელები, სხვანი და სხვანი, საგულდაგულოდ შეისწავლა და არაერთი საგულისხმო მოსაზრებაც გამოთქვა მათ შესახებ. მერმე ის იყო, რომ თავად იქცა XX საუკუნის სამო-ციანელთა ერთ-ერთ ლიდერად და მეზიარახტრედ. ნოდარ დუმბაძე, ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, არჩილ სულაკაური, რეზო ჭიჭიშვილი, რეზო ინანიშ-ვილი, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ემზარ კვიციანიშვილი, ბესიკ ხარანაული, გივი გეგეჭკროი, ტარიელ ჭანტურია დიდად დავალებულნი იყვნენ სალიტერატურო კრიტიკის მეტრისაგან, რომელსაც შეეძლო მათი ნაფიქრისა და ნაზრევის ობიექტუ-რი შეფასებაც და ასევე ობიექტური შენიშვნების მიცემაც.

გურამ ასათიანი კარგად იცნობდა რუსული პოეზიის ისეთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლების პოეზიას, როგორიც იყვნენ ევგენი ევტუშენკო, ან-დრეი ვოზნესენსკი, ბელა ახმადულინა, ალექსანდრე მეფიროვი, ბორის პასტერნაკი...

ზემოთ გამომრჩა და არაფერი მითქვამს, თუ რა სიყვარულით უყვარდა ბატონ გურამს ლადო ასათიანის პოეზია. მაინც რა ზუსტად განსაზღვრა ადრე წა-სული კაცის ლექსის წარმატების საიდუმლო: „ლადო ასათიანის ლექსის სტრიქონს თითქოს ალმური ას-დის, ეს სამხრეთის მცხუნვარე მზის ნიშანია, უფრო მეტად კი, იმ გაუნელებელი ცეცხლისა, რომელიც



დღედაღამ ღრღნიდა პოეტის სულსა და სხეულს, ეს ის შუქი და სითბოა, რომელიც პოეზიაში ვერავითარი ოსტატობით ვერ მოიპოვება, თუ სიტყვამ შთაგონების ღაღარში არ გაიარა“.

გურამ ასათიანს არასოდეს უსაუბრია ვინმეს შემოქმედებაზე ენის მოჩლექით, თუნდაც ის მისი უახლოესი მეგობარი ყოფილიყო. ეს უპირველესად ლიტერატურული პროცესის სასიკეთოდ განვითარებასაც უწყობდა ხელს და ავტორთა პროფესიულ ზრდასაც. ყველას გვახსოვს, თუ როგორ დაუჭირა მხარი ბატონმა გურამმა თავის ლიტერატურულ ძიებებში ბესიკ ხარანაულს, თუმცა იქვე რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის შენიშვნაც გამოთქვა იმ დროისათვის აშკარად ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედზე...

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გურამ ასათიანი ისევ ქართველი კაცის თვისებებს ჩაუღრმავდა და შექმნა ბრწყინვალე გამოკვლევა „სათავეებთან“, რომელიც გამოცემისთანავე სამაგიდო წიგნად იქცა საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის და სულიერების მკვლევართათვის.

ამ ნაშრომში გურამ ასათიანმა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ ქართული ხასიათის ღირსებები და ხარვეზები ზოგჯერ ერთმანეთთან არის გადახლართული და, უფრო მეტიც, ხშირად ისინი ერთმანეთს განაპირობებენ; რომ ქართული სულის სიღაღე, გულადობა, ვაჟკაცობა, ჭირის მოუთმენლობა, ბედნიერებისკენ უპირველესი ლტოლვა ქართული ხასიათის თანდაყოლილი თვისებებია; რომ სასურველისა და არსებულს შორის ჰარმონიის აღდგენის ცდა ბედნიერების ქართული მოდელის მთავარ ტენდენციას წარმოადგენს; რომ ეს ბედნიერება ქართველ კაცს ახლა, დღეს სჭირდება და ამიტომაცაა მიუღებელი და საძულველი მისთვის ისეთი სიტყვები, როგორიცაა „შეუძლებელი“ და „აკრძალული“; რომ უაღრესი სიმორცხვის და უაღრესი (ზოგჯერ წრეგადასული) თავხედობის წინააღმდეგობრივი მთლიანობა კიდევ ერთი ნიშანია ქართული ხასიათის შინაგანი დრამატიზმისა. გურამ ასათიანი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ქართველმა ხალხმა ქრისტიანობიდან მიიღო და შეისისხლხორცა ის, რაც მისთვის ყველაზე „მშობლიური“ აღმოჩნდა: შემწყნარებლობის იდეა და აღმშენებლობის (სიყვარულით შენების) პათოსი...

„სათავეებთან“ გურამ ასათიანის და საერთოდ XX საუკუნის ქართული მწერლობის ერთი დიდი გამარჯვება იყო...

გურამ ასათიანს ეკუთვნის არაერთი საინტერესო სტატია ქართული თეატრის, კინოს, მხატვრობის პრობლემატიკაზე.

როგორ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო კრიტიკოსის მომცრო წერილი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეზე, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს არაერთი მომავალი დიდი მოქალაქე გადაურჩინა სულიერ იავარქმნას.

ისევ მწერლობას მივუბრუნდეთ. ჩვენ დროში, როდესაც ქართული მწერლობა „დიდი თურქობის“ ალყაშია, როდესაც სადღაც სინჯარებში გამოყვანილი ეგრეთწოდებული მწერლები „შთაგონებას“ მხოლოდ მშობელთა გენიტალიების გახსენებით იღებენ, დამამშვიდებლად მოქმედებს ჩვენს სულსა და გულზე ბატონი გურამის უზუსტესი მოსაზრება:

„ქართული ლიტერატურა დიდი ეროვნული ტრადიციების მქონე უაღრესად თვითმყოფადი ლიტერატურაა. ამიტომ შეუძლებელია, რომ მან რაიმე გარეზე ზემოქმედების გავლენით თავისი ნაციონალური სპეციფიკა დაკარგოს. ამაში გვარწმუნებს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის ისტორია, რომელიც ხშირად ყოფილა ამგვარ განსაცდელში, მაგრამ არასდროს გათქვეფილა და თავისი საკუთარი იერი დღემდე შეინარჩუნა.“

თქვენს სულს მშვიდობა და ნეტარება, ბატონო გურამ!

მაინც რა განაპირობებდა გურამ ასათიანის დიდ მწერლურ აღიარებას.

ალბათ, ფართო თვალსაზიერი.

ალბათ, დიდი ერუდიცია.

ალბათ, ბრწყინვალე განათლება.

და, უმთავრესი ქართველი კაცისთვის — ოჯახ-იშვილობა — ლევან ასათიანის ოჯახის წევრობა.

გურამ ასათიანზე უსასრულოდ დიდხანს შეიძლება წერა. მე თუ ვინმე მკითხავს, მისი დიდი, მშვენიერი ლიტერატურული მემკვიდრეობა არაერთი დისერტაციის თემად შეიძლება იქცეს.

მისი თითოეული გამონათქვამი მნიშვნელოვანია, საყურადღებოა, წონადია და დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

ნახეთ, რას ამბობს კვაზიმოდოს კუზზე: „კვაზიმოდოს კუზი იმით არის მომხიბლავი, რომ ის ლოდად არ აწევს მის სულს, არათუ არ ღუნავს მას — ბოლოს და ბოლოს ფრთებად იქცევა, იმ ფრთებად, რომელთაც მას უკანასკნელი უმშვენიერესი გაფრენის საშუალება მისცეს“.

ან როგორ აფრთხილებს ბოროტებასთან მებრძოლ რაინდებს: „ბოროტების ერთადერთი წამალი მისი ძირფესვიანად ამოთხრაა, მაგრამ ამ წმინდა საქმის აღმსრულებელს უაღრესი სიფრთხილე მოეთხოვება, რათა ეგოიზმის შხამიან ფესვებთან შეხებისას თვითონ უვნებელი გადარჩეს. ბოროტებაზე გაბოროტებით პასუხი იმას ნიშნავს, რომ ერთი ამ ფესვთაგანი შენ თვითონ ჩაგრჩა სულში და ადრე თუ გვიან ახალ ყლორტებს ამოიყრის“.

დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას საკუთარ სულის ქურაში რომ გამოაწრთობ ნება-ნება, საკუთარი სისხლით რომ გაპოხავ, მხოლოდ მერე მოვა მსგავსი სიბრძნე, არსთაგამრიგესთან წილნაყარი.

გურამ ასათიანი ემანაციაა, გამონაშუქია ქართული სულისა.

მისი შემოქმედება დღესაც ცოცხალია და ძალუ-მად სუნთქავს.

ალბათ, თავის თავს გულისხმობდა დიდი მაესტრო, როდესაც წერდა:

„ნამდვილი მწერლის ბიოგრაფია სიკვდილის შემდეგაც გრძელდება და ზოგჯერ ცხოვრებისგან განწირული კაცის სახე სრულიად სხვა ელფერს იძენს ჩვენს თვალში. გადის დრო, სინანულის მწუხრი თანდათან შორდება მის ნაკვთებს და ჩვენთან რჩება მხოლოდ მისი მზიური სულის ანარეკლი“.

უკეთესად ნამდვილად ვერ იტყვი.

გურამ ასათიანი — მზიური სულის ანარეკლი კვლავაც ჩვენთანაა და ჩვენთან ერთად იბრძვის სიკეთისა და სათნოების დასამკვიდრებლად.

მზიური სულის ანარეკლი.



კლასიკოსი იყო!

სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული!

დავაზუსტებ: ქართული საბავშვო პოეზიის კლასიკოსი.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სულმნათ შიო მღვიმელს უნატიფესი მაყვალა მრევლიშვილის შემდეგ არ ჰყოლია ისეთი სულიერი მემკვიდრე, როგორც გივი ჭიჭინაძე გახლდათ, ქართველი ბავშვების უფაქიზესი სულების დიდი მესაიდუმლე, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ახერხებდა ერთგულად, მუხლჩაუხრელად, რწმენითა და სიყვარულით ეზიდა საბავშვო პოეტის მიძიმე, მაგრამ მეტად საპატიო უღელი და თავისი დიდი წვლილიც შეეტანა იმ საშვილიშვილო საქმეში, რასაც მოზარდი თაობის სულიერი ფორმირების უკეთეს-შობილესი საქმე ჰქვია...

გივი ჭიჭინაძის შემოქმედება წყაროსთვალის კამკამებს XX საუკუნის ქართული საბავშვო პოეზიის ცისკიდურზე და ყველას კიდევ ერთხელ შეგვახსენებს საყოველთაოდ ცნობილ გამონათქვამს, რომ ბავშვებისათვის ისე უნდა ვწეროთ, როგორც

უნდა სჯეროდეთ, რომ მას უეჭველად სძლევს სიკეთე“.

ამ კრედოს უერთგულა სიცოცხლის ბოლომდე და შეჰქმნა საკუთარი ზღაპრული სამყარო, რომელიც დაასახლა ისეთი ბინადრებით, სამუდამო მეგობრებად რომ ექცნენ ქართველ ბავშვებს და ცხოვრება გაუხალისეს, მათი პირველი ნაბიჯები „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტში“ უფრო ხალისიანი და ხალასი გახადეს. დათუნია დრუნჩა, ზღარბი ქაცვია, ბოჩოლა ბოჩიტა, ჩიტო-ჩიტალია, კნანა-კნუნა ციყვები, საყვარლად სულელი პანია ჭილყვავები საქართველოს მზის შვილები არიან, მის ემბაზში განბანილი შვილები და ყველანი ერთად შესთხოვენ არსთაგამრიგეს სამშობლოს გადარჩენას, ლიცლიცა ზღვისა თუ ქათქათა მთების გადარჩენას, ერთმანეთი უყვართ და საარაკო მაგალითებს იძლევიან თანადგომისა, ხოლო როცა მათ ერთობას ვინმე დაემუქრება, თუნდაც ის ძალზე საშიში ცხოველი — აჯღაბაჯღა იყოს, მაშინვე ერთიანდებიან და ისე ებრძვიან საძულველ მტერს, მართლაც რომ მტრისას, ისეთ დღეში აგდებენ. ამ სამყაროში პატარებს



გივი ჭიჭინაძე ბავშვებთან

დიდებისათვის, ოღონდ უფრო უკეთესად. დიახაც, რომ გივი ჭიჭინაძის საყმანვილო მარგალიტები ამ ფრთიანი გამონათქვამის ცოცხალ ილუსტრაციას წარმოადგენს.

გივი ჭიჭინაძემ საოცრად ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრა საკუთარი ლიტერატურული კრედო: „საბავშვო ლიტერატურის დანიშნულება მარადიულია: შეუნარჩუნოს ბავშვებს სპეტაკი სული, ჩაუნერგოს მამულის სიყვარული, გაადვივოს მათ სულში ყველა ის საუკეთესო მარცვალი, რომლებიდანაც შემდგომში მათი პიროვნების განმსაზღვრელი თვისებები უნდა აღმოცენდეს... ბავშვებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, რომ არსებობს ბოროტება,

ნანას ვარსკვლავები უმღერიან, თვალხუჭობანას თამაშობენ მზე და მთვარე; აქ შავ-შავი მაყვლისაგან ტუჩებმოხატულ ზღაპრულად ლამაზ ზაფხულსაც შეხვდებით და ყინვის უფლისწულსაც, მედიდურად რომ დაიარება და ვერცხლის ყაისნალით ქარგავს არემარეს... ასეთ სამყაროში მოხვედრა ნორჩებისთვის დიდი ბედნიერებაა და ისინიც სწორედ აქ სწავლობენ სამშობლოს, მშობლიური ენის სიყვარულს, ერთგულებასა და თავდადებას, სწავლობენ გმირობისა და ვაჟკაცობის ფასს, ყალიბდებიან ჩვენი ქვეყნის მართალ და პატიოსან მოქალაქეებად...

გივი ჭიჭინაძის საბავშვო პოეზიას ძალუმად გამოარჩევს სახეთა ფერადოვნება, მუსიკალობა,



ფრაზის სინათლე და სინატიფე, მსუბუქი, ხალასი იუმორი. ამ სიკეთეებმა აქცია გივი ჭიჭინაძე კეთილ ჯადოქრად, რომელსაც შეეძლო ბავშვების საოცრად იდუმალ სამყაროში ჩანვდომა და მათი სულების უნაზესი სიმების შერხევა.

დღევანდელი გადასახედიდან მართლაც რომ საკვირველია, საიდან ხაპავდა ამ ულევ სიყვარულს ბატონი გივი, რომლითაც შემდეგ ასე გულუხვად უნანილებდა დიდსა თუ პატარას. მას ხომ მწარე ბავშვობა ჰქონდა, თავის თავზე იწვინა, თუ რას ნიშნავს ობლობა... გულზე ხელს თუ დავიდებთ, ისიც უნდა ვალიაროთ, რომ არც სიჭარმაგეში უცხოვრია დალხენით. პატიოსან კაცებს ყოველთვის უჭირთ ხოლმე და ამიტომაც გვიკვირს, როგორ შეინარჩუნა ის სასიცოცხლო დვრიტა, ის ოპტიმიზმი თუ სულიერი სინმინდე, რითაც მუდამ გვხიბლავდა და გვაჯადოებდა.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართულ ბავშვებს შესწირა მთლიანად თავისი პიროვნება.

ალბათ ამიტომაც გვრჩება ხშირად ყურადღების მიღმა მისი მშვენიერი ლირიკა, რომელიც ღირსია უფრო დინჯი და გამონვლილვითი ანალიზისა. ამ ლექსებში ხომ ეროვნული პოეტის სულიერი ღაღადისია აღბეჭდილი, რომელსაც საოცარი ხილვები ჰქონდა, სულ ზეცისკენ გაფრენას ლამობდა და მაინც ჩვენს ცოდვილ დედამინაზე რჩებოდა, რათა თანამოძმეთა სულებში იმ ღაღანა სხივს შეეღწია, მის გულზე რომ იყო ასხლეტილი. მზის შვილი იყო და რა გასაკვირია, თუ სიმძიმისაგან ლამის დამწყდარ მის ბადეებს ოკეანეების უძირო ფსკერიდან მხოლოდ მზე და იმედი ამოჰქონდა ჩვენი ცოდვილი სულებისათვის. მდინარეები უყვარდა და თავის საყვარელ პოეტს — დიდ გალაკტიონს მდინარეს ადარებდა, უფრო სწორად ჩანჩქერად ქცეულ მდინარეს, კალაპოტში ვერდატეულ, კლდეზე გადმოვარდნილ და დამსხვრეულ მდინარეს. გივი ჭიჭინაძეს შეეძლო იმის დანახვა, დასიცხულ ქვებზე დანრეტილ, მილეულ წყაროს როგორ ემხოზოდა ზეცა წყურვილის მოსაკლავად; გადაყვითლებულ სათიბში როგორ თვლემდა ფრენით

გადაღლილი ჩიტივით დაქანცული მზე, ანდა იგივე მზე როგორ ჩახლართულიყო ფურირემის რქებში. ალიონზე სადღაც ფშანებთან ზოზინით მიმავალი შავი კამეჩი იმ ვეება ნაზდის ნაჭერს აგონებდა, ღამეს რომ შემორჩა რაღაც სასწაულით. თუ ანუხებდა, მხოლოდ ის, რომ თვალნათლივ ხედავდა, გაუმადლარ ბრაკონიერს რა ველური გავეშებით დაუნაღმავს ჩვენი ცხოვრება მდინარესავით და თუ ასე გაგრძელდა, მალე ლიფსიტასაც ვერ ნახავთ ნამლად... სევდა ერეოდა იმის შემხედვარეს, რომ ცხოვრება ისე იპარება, როგორც პეშვში მოქცეული წყალი...

გივი ჭიჭინაძის მრავალნახნაგოვანი ელვარე ნიჭის კიდევ ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა მისი სამსახიობო მოღვაწეობა. იგი პროფესიით ხომ მსახიობი გახლდათ და წლების განმავლობაში მოღვაწეობდა სოხუმისა და თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრებში, სადაც არაერთი საგულისხმო სახასიათო როლი შეასრულა. ასევე არაერთხელ გაიბრწყინა კინოშიც და მისი დროის მსახიობებს დღესაც ახსოვთ გენიალური სერგო ზაქარიაძის სიტყვები: „გივი ჭიჭინაძისთანა ნიჭიერი კაცი ჩვენს თეატრში არ მოსულაო“...

სამშობლომ, ქართულმა სახელმწიფომ დაუფასა დვანლი და ამაგი თავის ღირსეულ შვილს. ბატონ გივის მინიჭებული ჰქონდა სანუკვარი პრემია — შიო მღიმელის პრემია, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. იყო საქართველოს დამსახურებული არტისტი, და მაინც, ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის პატარების სიყვარული იყო, წრფელი და უნაღდესი სიყვარული. ამ სიყვარულს იგი ფეხის ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა, ეს სიყვარული აძლებინებდა ამ უსამართლო წუთისოფელში.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ პოეტის შემოქმედება მარად უკვდავი დარჩება. იგი დღესაც ისევე სჭირდებათ მოზარდებს, ისევე გამალებით ენაფებიან მის სიმდიდრეებს, როგორც ბატონ გივის სიცოცხლეში.

ამაზე დიდი ბედნიერება კი შემოქმედისათვის არ არსებობს.



ანზორ ჯაფარიძე



იყალთოს ცაო, ლურჯთვალაჲ...

ეს შესანიშნავი ლექსთა კრებული ნათელ ვარსკვლავით ამოჩნდა პოეზიის უძირო ოკეანეში, ქრთველ კაცს უფალმა აკვიდანვე დაანათლა უფლის სიყვარული, ლექსის სურნელი, მისი მადლი. ქალბატონმა ეველინა ხუციშვილმა, ჩვენ, ქართველ მკითხველთ მოგვცა პატარა ლექსთა კრებული, რომელიც, ჩემი აზრით, მარგალიტია.

ქალბატონი ეველინა ჩემი თანაკლასელია, ერთად გავატარეთ სკოლის პერიოდი; ეველინა, არა მარტო კლასში, არა მარტო სკოლაში, არამედ, რაიონშიც, გამორჩეული, ნიჭიერი, დიდი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული გოგონა იყო. მის გარეშე — სკოლაში ღონისძიება არ ტარდებოდა, არც სოფელში თუ იყალთოს ცნობილ აკადემიაში, — ულამაზესი, ცუნცულა გოგონა იყო, უყვარდა ლამაზად, თანამედროვედ ჩაცმა. მე მას მივუძღვენი ლექსი ექსპრომტად

მახსოვს, ერთი, პატარა გოგო, —
თმებზე ბაფთები, რომ ესხდა,
ნეტავ, ეხლა როგორია? —
შემახედა ნეტავ, ერთხანს.

ეს, — ბანტები ახლაც მახსოვს...
ეს, — შენ გქონდა მარტო, ერთ ქალს,
ასეთი — სხვა, არ მინახავს,
ვოცნებობდი, მეც კი, ერთხანს...

მისმა ლექსების კრებულმა კაშკაშა სხივივით გამოაშუქა, — სოფლის სიყვარული, მინის სიყვარული, ახლად მოხნული მინის ოხშივარი, ვაზის ყვავილის და ჩვენი მამულის სურნელი არ სჯობს?

ეველინამ იცის: რა არის მამული, მშობლიური მინა, მშობლიური სოფელი, ის — მამაზე წერს:

„დიდი მევენახე“.

ნამის მძივები დაეკიდა ვაზს, — ახალგასხლულს, ატირდა ვაზი, გაზაფხულით, როგორც სჩვევია, დადის ვენახში გლეხი კაცი და ვაზს ამშვიდებს, ნუ ტირიხარო, — მოითმინე, ჩემო ფერია.

კვირტების ტკაცუნს, თან მოჰყვება ყლორტების ჭალა, შემდეგ კი — ვაზის ყვავილობა, — თავბრუსდამხვევი, რომლის სურნელით აივსება კახეთის ზვრები და ისვრიმდაყრილ ვაზს ღიღინით ჩაუვლის გლეხი...



ეველინას განსაკუთრებით უყვარს ერთადერთი ძმა — ოთარ ხუციშვილი, — ცნობილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კაშკაშა იუმორით გამორჩეული. მისი სატირა და იუმორი ხომ უბადლოა. ოთარმა კახეთში, თელავში, აიდგა ფეხი, იქ გაშალა ფრთები, თავზე შემოევლო თავის კუთხეს, მაგრამ რაა... სირცხვილია, რომ კახელები იშვიათად ვაფასებთ და ვხედავთ ამაგადარ და გამორჩეულ ადამიანს. ეველინასაც ხომ არ ვაღირსეთ, უბრალოდ, მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოც კი. ეს, — ჩვენი, კუთხური სენია. ჩემს საყვარელ კახეთში ბევრი საფიცარი ტრადიცია და სიღარბაისლე გვაქვს, მაგრამ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

ეველინა ოთარზე წერს:

შენი ბასრი კალმით ემსახურე,
შენი სამშობლოს აღმა სვლას,
კახური იუმორით მიანიშნებ,
რაც კი ცუდი ზნე სჭირს ქართველ კაცს.

ბატონი ოთარი ჩემი განუყრელი მეგობარია. მე ვამაყობ მისი ქართველობით, მისი კახელობით... მახსენდება შეგონება: შემოსულ, ხორბლით დატენილ, სამკალში, ნაყოფიან, ხვავრიელ თავთავს თავი ჩაუღუნია, ვერ ვხედავთ, ცარიელს, უნაყოფოს გამორჩენით აუნევიო თავი და კეკლუცობს, მაგრამ... ბატონი ოთარის თავის დაღუნვა უფიცებს აცდუნებთ.

„იყალთოს ცაო, ლურჯთვალა“... ჩემი საყვარელი კრებული გახდა. მეც შეყვარებული ვარ იყალთოზე და იყალთოელებზე, — თითქმის იყალთოში გავიზარდე, მაგრამ ეველინა სულ სხვა არის!

იყალთოს ცაო, ცაო კამკამა,
ცაო ლურჯთვალა,
ცაო კაშკაშა...

ან, კიდეც:

ორმოცდაცხრამეტი ნანგრევი დაგვცქერის
ორმოცდაცხრამეტი ავტორი ამ ძეგლის.

კიდეც:

ჩემი იყალთოს მინაზე
კენჭიც ლამაზად დევს,
იყალთოელთა სხეულში
გულიც სხვაგვარად ძგერს.

ვევლინა ულამაზესი გოგონა იყო, — მთელ კლასს, მთელ სკოლას გვიყვარდა, მაგრამ... გამოჩნდა ჩვენივე კლასელი, მაღალი სულის, ძლიერი ვაჟკაცი, ჩვენი ძვირფასი მეგობარი — ბიჭიკო ნიკლაური, რომელმაც დაიპყრო მისი გული და გავხდით მათი სიყვარულის მხარდამჭერნი; ვევლინას ცივ ნიავს ვერავინ გააკარებდა:

თითქოს, გუშინ იყო, „მიყვარხარ“ მითხარ, ჩემს გულში უქრობი ცეცხლი რომ აანთე, თითქოს, გუშინ იყო, სიტბოთი, ალერსით, ხელი შემახე და... შენი ტყვე გამხადე.

ასე უპასუხა ვევლინამ თავის სიყვარულს. და კიდევ:

იმ, — პირველ სიყვარულს გაუმარჯოს,
იმ, — პირველი კოცნის სიტკბობას,
იმ, — პირველ მოფერების სიძლიერეს, —
ბაგეთა იმ, პირველ შერკინებას.

იმ, — პირველ აფეთქებას გაუმარჯოს,
იმ, — გაზაფხულის ბრწყინვალეობას,
იმ, — ლამაზ სიყვარულს გაუმარჯოს, —
ვნებიან, ბობოქარ აფეთქებას.

ქალბატონ ვევლინას პოეზია შემკულია მძივივით, შემკულია უნატიფესად...
აი, თუნდაც:

ჯეჯილში ყაყაჩოების
ხანძარი მობრიალე.

ტყემლებმა მარტის თვე მორთეს საპატარძლოდ,
მდინარემ ატეხა ხარხარი,
ფრინველთა ჟივჟივით გაყრუვდა,
ატმებმა წაიკიდეს ხანძარი.

ან, კიდევ:

ხან, — აფრენილი გნოლი ვარ,
ხან, — დარცხვენილი ნარცისი,
ლივლივა ალაზანი ვარ,
ხან, — მინისა ვარ ხან ცისი.

სანთლებს მინთებენ უფლის გზაზე ბრონეულე-
ბი. ცხოვრების ლამაზ შემოდგომაზე ვევლინა წერს:

ველარ ავრბივარ აღმართზე ხტუნვით
და ჯოხის ცხენიც, თითქო, დავარდა,
თეთრმა ფიფქებმა თმები დაბარდნა
და ფიფქიც, თითქმის, გაჭალარავდა.

ბედნიერ შემოდგომას გისურვებთ, ჩემო მე-
გობრებო, — ქალბატონო ვევლინა და ბატონო ოთა-
რი.

დალოცვილ იყოს ლამაზი კრებული: „იყალთოს
ცაო, ლურჯთვალა“...



მხატვარი
ნათელა (ნათია) შალამბერიძე





მარინა მამალაშვილი



ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა ცხოვრებამ XII საუკუნეში მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს. დავით აღმაშენებლის დროს დამთავრდა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის, ქართველთა წვრილი სამეფო-სამთავროები გაერთიანდა დიდ, ძლევამოსილ სახელმწიფოდ. თბილისი 1122 წლიდან იქცა საქართველოს დედაქალაქად და, ამასთან, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად.

ქვეყნის წინსვლა შეუწყობდა გზით გრძელდებოდა მთელი საუკუნის განმავლობაში. საქართველოს ფარგლებში მოექცა სომხეთის დიდი ნაწილი. მისი გავლენის სფერო ვრცელდებოდა უზარმაზარ ტერიტორიაზე — შავი ზღვიდან, კასპიის ზღვამდე, იმიერკავკასიიდან, არზრუმამდე და ტრაპიზონამდე.

მაშინდელი საქართველო იყო დიდი პოლიტიკური წონის მქონე, მჭიდროდ დასახლებული, მდიდარი და ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც მორიდებითა და პატივით ეპყრობოდნენ, როგორც მახლობელი, მეზობელი ქვეყნები, ისე — შორეული.

საქართველოს ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიძლიერემ ხელი შეუწყო ქვეყნის კულტურულ წინსვლას. დავით აღმაშენებელმა საფუძველი ჩაუყარა გელათის დიდებულ აკადემიას.

გელათის აკადემიის აგებას, მცირე ხნით, უსწრებდა იყალთოს აკადემია; აღნიშნული აკადემიები წარმოადგენენ სასწავლო და სამეცნიერო კერებს, შენობები კი — ხუროთმოძღვრების იშვიათი ძეგლებია.

საქართველოს კულტურული კავშირი ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან, რაც აფართოებდა ქართველი საზოგადოების გონებრივ ჰორიზონტს, — თარგმანები ამდიდრებდა თვითმყოფი და წელმაგარი ქართული ეროვნული კულტურის საღაროს.

ამ პერიოდში განვითარდა საერო ლიტერატურა, რომლის გვირგვინს წარმოადგენს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

„ვეფხისტყაოსანი“ საუკუნეთა მანძილზე იყო ქართველი ხალხის გონებრივი და სულიერი საზრდო, განუყრელი მეგობარი ჭირსა და ღვინში. იგი ქართული ოჯახის წმიდათაწმიდა რელიქვიას წარმოადგენდა და, ყოველთვის, ამშვენებდა ქართველი პატარძლების მზითევს.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილია მეტად საგულისხმო ამბავი. 1699 წელს ორმოცი ქართველი მეომარი ლევან ბატონიშვილის მეთაურობით უნდა შეებოდა სპარსეთში ბელუჯთა მრავალრიცხოვან რაზმს. ბრძოლის მონაწილე ისტორიკოსის — სეხენია ჩხეიძის გადმოცემით, რაზმის მეთაურს დროზე მოჰგონებია რუსთაველის ლექსი: „უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებან ხმელთა სპანი“. ამ სიტყვებით გამხნეებულ ერთ მუჭა ქართველებს მონინააღმდეგე სასტიკად დაუმარცხებია.

მოყვანილმა მაგალითმა ნათლად გვიჩვენა, თუ, იდეურად რა შთამაგონებელსა და სულიერად რა გამამხნეებელ ძალას წარმოადგენდა „ვეფხისტყაოსანი“ ქართველებისთვის.

უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ მომდევნო საუკუნეების ქართული მწერლობა, ქართული პოეზია, რუსთაველით საზრდოობდა, მის შემოქმედებაზე ინრობოდა და ინაფებოდა, მისით სუნთქავდა.

მიხაი ზიჩი, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია





XV და XVIII საუკუნეებში იწყება „ვეფხისტყაოსნის“ შეფასებები. საზოგადოების ერთი ნაწილი, კერძოდ, სასულიერო პირები, როგორც ალექსანდრე ბარამიძე ამტკიცებს, ებრძოდნენ „ვეფხისტყაოსანს“ და ცდილობდნენ მის ანტიქრისტიანულ წიგნად შერაცხვას. მაგალითისთვის, — მოვიყვანოთ ერთ-ერთი კლერიკალი ავტორის თქმულს:

„საეროა, არ ახსენებს სამებასა და ერთ არსულად,

არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქმნას აღსასრულად“.

გარკვეული წრის წარმომადგენლები, რომ ჩხრეკდნენ „ვეფხისტყაოსანს“, ამას გვიდასტურებს მეფე პოეტი არჩილი, რომელიც გაბაასებაში შოთას ათქმევინებს:

თუცა, სჩხრეკენ ჩემს ლექსებსა, ვერ ჰპოვებენ ვერსად ნაყის,

სადმე ჰპოონ ავად თქმული, ანუ წყალი ვინ დაწყის?“

იბადება კითხვა რატომ და როდის უნდა დაწყებულიყო „ვეფხისტყაოსნის“ დევნა? პოემის დევნა შეიძლება დაწყებულიყო მაშინ, როდესაც მომზადდა ნიადაგი ძველი იდეური შეხედულებების გადასაფასებლად. სავარაუდოა, ეს მოხდა მონღოლთა ბატონობის ხანაში. XIV საუკუნის ისტორიკოსი, ჟამთააღმწერელი, ქვეყნის თავზე დატეხილ უბედურებას მიანერს ღვთის რისხვას. რაც მისი აზრით, გამოიწვია ქართველი საზოგადოების ზნეობრივმა დაცემამ და სარწმუნოების შესუსტებამ. ე.ი. ღვთაებრივი რისხვის მიზეზი ყოფილა ქართველი საზოგადოების ამქვეყნიურობით გატაცება და იმქვეყნიურობის დავიწყება. ერთგვარად ამის დასტურია თეიმურაზ პირველის სიტყვები: „არვის უნდა სახარება, არცა „წიგნი მოციქულთა“. ნიშანდობლივია, — არჩილ მეფის ნაღვლიანი განცხადება „კაცისა და სოფლის გაბაასებაში“.

„სალვთო წიგნი ბევრი ნახდა უყდოთა და უბუღობით,

საშაიროს ინახავდენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით“.

ასეთ კრიტიკულ დამოკიდებულებას, საერო ლიტერატურისადმი, იჩენენ ის მწერლები, რომლებიც თავად ქმნიდნენ საერო ხასიათის ლიტერატურას. ამის შემდეგ როგორი უნდა ყოფილიყო საეკლესიო-კლერიკალური წრეების დამოკიდებულება საერო ლიტერატურისადმი? სარწმუნოებრივი პოზიციიდან ისინი შემდეგნაირად აფასებენ „ვეფხისტყაოსანს“:

პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,

უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ხორცს, არ სულად.

საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად.

თუ უყურონ მონაზონმან, შეიქმნების გაბასრულად“.

ალექსანდრე ბარამიძე ამტკიცებს, რომ — საეკლესიო-კლერიკალური წრეების მხრივ რუსთაველის წინააღმდეგ გაბოროტებას უწყობდა ხელს, ის რომ XVII-XVIII საუკუნეებში ქართველი საზოგადოება გულგრილია „სასულიერო-საეკლესიო ხასიათის წიგნებისადმი და გატაცებულია „საშაირო“ ლიტერატურით, უწინარეს ყოვლისა „ვეფხისტყაოსნით“.

ამის დასტურია ვახტანგ VI კომენტარები „ვეფხისტყაოსნისადმი“. კომენტარებიდან ჩანს, რომ ამ ხანებში განსაკუთრებით უჩენია თავი რეაქციას რუსთაველის წინააღმდეგ და ბევრი პოემას „სამეძაოდ

თარგმნიდა“, ამიტომ, ვახტანგის მიერ, ამ საკითხზე, ყურადღების საგანგებოდ გამახვილება საცხებით გასაგებია. მისი მსჯელობის მიზანია, რომ დაამტკიცოს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ქრისტიანული თვალსაზრისი, რომ პოემა „საღმრთოა და საეროცა“. მისი თქმით — „ესე ვითარი მეცნიერი კაცი არცა დაშვებოდა წარსაწყმედელად, რადგან ქრისტიანი იყო“. შემდეგ, ვახტანგი არწმუნებს მკითხველს — „ვეფხისტყაოსანი“ რომ სამეძაო წიგნი ყოფილიყო დაუხვეველს როდი გაუშვებდნენო. „ამისთვის თავთ რუსთველის დროს ქალი ბატონობდა და ამ გვარი მეძაობის სიტყუა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწყენდა. და მეორედ ორი კათალიკოზი რამთონი სამღვდელო წმინდა და ღირსნი კაცნი იყუნენ თუცა რუსთველს მოენდომებინა როდის აქნევიანდნენ და ნათქუამს დაუხვეველს როდი გაუშვებდნენ“.

ვახტანგ VI-ის მცდელობამ, უნდა ითქვას, რომ ამაოდ ჩაიარა, მდგომარეობა უფრო გამწვავდა. კლერიკალური საზოგადოების წარმომადგენელმა არქიეპისკოპოსმა ტიმოთე გაბაშვილმა შემდეგი კომენტარი გაუკეთა „ვეფხისტყაოსანს“. „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სინმინდისა წილ ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა, ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“.

ტიმოთეს ამ მინანერისთვის პლატონ იოსელიანს სქოლიოში შემდეგი შენიშვნა დაურთავს: „ამ ჰაზრისავე იყო თვით კათალიკოსი ანტონი პირველი, რომელმანცა მრავალნი დაბეჭვდილნი მეფის ვახტანგის დროსა 1710 წელს ვეფხისტყაოსანნი დაჰსწვნა და შთააყრევინა მტკვარში და აუკრძალა კითხვა წიგნისა ამისა ქართველთა“. პლატონ იოსელიანის აზრს იზიარებს ალექსანდრე ბარამიძე და აცხადებს: „შესაძლოა ანტონი არ იყო ვეფხისტყაოსნის უშუალო ხელმძყოფელი, მაგრამ მისი ერთგვარი მორალური პასუხისმგებლობა მაინც უცილობელია. ანტონ კათალიკოსი იყო ეკლესიურ-კლერიკალური საზოგადოების იდეური ხელმძღვანელი, მან კი უარყოფითად შეაფასა შოთას შემოქმედებაო“.

ალექსანდრე ბარამიძის მიერ ასეთი კომენტარის გაკეთების მიზეზი უნდა ვეძიოთ ანტონ I კათალიკოსის „წყობილსიტყვაობაში“, სადაც შოთას შესახებ ნათქვამია:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად, ფილოსოფოსი, მეტყველ სპარსთა ენისა, თუ სამ სწადოდა, ღვთისმეტყველი მაღალ, უცხო საკვირველ პიიტკოსი — შესტიხე, მაგრამ ამაოდ დაჰშვრა, სანუხარ არს ესე“.

მოყვანილ ლექსში საგულისხმოა მესამე ტაეპი. რას უნდა ნიშნავდეს „თუ სამ სწადოდა?“ ალექსანდრე ფოცხიშვილი ამას შემდეგნაირად განმარტავს „თუ მოინადინებდა, მაღალი ღვთისმეტყველი იქნებოდაო“. ე.ი. ანტონმა რალაცაში დაინახა, რომ შოთა დიდი ღვთისმეტყველი შეიძლება დამდგარიყო, თუ ამას მოისურვებდა“.

საიდან შეეძლო ანტონს ასეთი შეხედულება ჰქონოდა შოთაზე? შოთას ღვთისმეტყველებაში განსწავლულობის სამხილი სწორედ ვეფხისტყაოსანი იყო და დიდ ღვთისმეტყველ ანტონს შეუძლებელია ეს არ დაენახა.

შოთა რუსთაველი ანტონის აზრით, არა მხოლოდ დიდი პოეტი და ფილოსოფოსი, არამედ, საღმრთო რჯულშიც დიდად განსწავლულია. მაგრამ, როგორ უნდა გავიგოთ მეხუთე ტაეპი? ალექსანდრე





ფოცხიშვილს იგი შემდეგნაირად აქვს გაგებული: „ამოდ დაშვრა, სანუხარს ესე“ — ანტონი გულისხმობს იმას, რომ ასეთი ნიჭისა და ცოდნის კაცი არ გაჰყვა სასულიერო მწერლობასო.

განსხვავებული აზრისაა ალექსანდრე ბარამიძე. იგი ეთანხმება სხვა მკვლევარებს იმაში, რომ განსწავლული კათალიკოსი წუნს ვერ დასდებდა რუსთაველის პოეტურ ნიჭს, მაგრამ „ამოდ დაშვრა“ ეს ნიჭიო. თავშეუკავებელი სამღურავია, რაც წყალს ასხამს ვეფხისტყაოსნის მონინააღმდეგეთა წისქვილსო“.

მეტად საგულისხმოა 1949 წელს გამოქვეყნებული სოლომონ ყუბანიშვილის შრომა „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება XVII-XIX საუკუნეებში“, სადაც ავტორი წერდა: „არც ერთი შრომა არ მოგვეპოვება XVIII საუკუნემდის, რომელიც ადასტურებს, რომ პოემას ფიზიკურად განადგურება განეცადოს ვინმესგან და ვფიქრობთ, ასეთი რამ არასოდეს განუცდია მას“. ამავე ნაშრომში საუბარია ანტონ I კათალიკოსზე, სადაც ავტორი წერს: „ანტონ პირველს არ შეიძლება მტრული დამოკიდებულება გამოეჩინა „ვეფხისტყაოსნისადმი“. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის შრომები, რომლებშიც გადმოცემულია და გაანალიზებულია ანტონის, როგორც მეცნიერული, ისე — პრაქტიკული მოღვაწეობა და სათანადოდაა შეფასებული ის უზარმაზარი დამსახურება, რაც ამ უდიდეს მეცნიერსა და მამულიშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე“.

მართალია ისტორიამ კონკრეტული სახელები არ შემოგვინახა, მაგრამ ვერც იმ ფაქტს გამოვიციხავთ, რომ რეაქციულ საზოგადოებას „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ მწვავე ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული. თეორიის დონეზე შეიძლება დავუშვათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები ნამდვილად იქნა განადგურებული.

ჩვენ, ზემოთ, ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რა იყო „ვეფხისტყაოსნის“ დევნის მიზეზი, — მას მიიჩნევდნენ სულის გამხრწნელ ნაწარმოებად და მასში ვერაფერს ქრისტიანულს ვერ ხედავდნენ. საინტერესოა, — რა იძლეოდა ასეთი შეფასების საფუძველს? ალბათ, ის, რომ რუსთაველი პირდაპირ არ ახსენებს ქრისტიანულ ღმერთს, ღვთისმშობელს, ქრისტეს და წმინდანებს, თუმცა მისი გმირები თაყვანისმცემლები არიან „ერთ არსება ერთი“ ღმრთის, რაც თეოლოგიის მცოდნე კორნელი კეკელიძის განმარტებით „ჰგულისხმობს ქრისტიანულ სამებას“.

„ვეფხისტყაოსანი“ უდავოდ ცხადყოფს შოთა რუსთაველის „საღვთო“ წერილში ნაკითხობას. ავთანდილი ერთგან აფრთხილებს ტარიელს „არას გარგებს სწავლულება თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა: არ იხმარებ, რას ხელსა ჰხლი საუნჯესა დაფარულსა“. ავთანდილის ამ შეგონებას კავშირი უნდა ჰქონდეს „ძველი ალექსის“ შემდეგ სიტყვებთან: „სიბრძნე დაფარული და საუნჯე გამოუჩენელი, რაჲ სარგებელ არს ორთავე შინა?“ „შიში შეიქმს სიყვარულს“ პარალელს პოულობს ბიბლიაში „შიში დაადგენს გზათა ზედა სიყვარულისათა“. დიდი სიახლოვე შეინიშნება ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ დებულებათა და ახალ ალექსის შორის. მაგ. ვეფხისტყაოსანში გვხვდება:

„ბოლოდ ყოველი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს“.

მათეს სახარება: „არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს და არცა სადუმლოჲ, რომელი არა გამოცხადდეს“.

ვეფხისტყაოსანი: „შეცოდება შვიდ-გზის თქმულა შესანდობად“.

ლუკას სახარება: „დალათუ შვიდ-გზის დღესა შინა შეგცოდოს, შვიდ-გზის მოაქციოს და გარქუას შენ: შევინანე, მიუტევე მას“.

პროფესორ ილია აბულაძის დაკვირვებით, ბიბლიის გავლენითაა შექმნილი ვეფხისტყაოსნის რამდენიმე შედარება:

„გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად“,

„შენთვის ასრე მოსსურდების წყაროსათვის ვით ირემსა“.

ალექსანდრე ბარამიძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სააღდგომო დღესასწაულის ხსენებაზე ვეფხისტყაოსანში. ტარიელი იხსენებს ხვარაზმშაჰის ძის ინდოეთში შესვლას და დახვედრას:

„მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა,

მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა არს აღვსებისა“.

აღვსება ძველ ქართულად ნიშნავს აღდგომას, უბრწყინვალეს საუფლო დღესასწაულს. პოემის მიხედვით ტარიელი მუსლიმანია, მაგრამ რუსთაველმა მას ქრისტიანული წარმოდგენა ჩაუსახა. ეს დეტალი მიგვანიშნებს ავტორის ეროვნულ-სარწმუნოებრივ მიდრეკილებებზე. ამის შესახებ ვახტანგ VI ამბობს: „აღვსება აღდგომა არის და ქართველი კაცის გულისთვის უთქვამსო“.

არ შემიძლია არ გავიხსენო ავთანდილის ანდერძი, რომელიც ნამდვილ ქრისტიანულ ლოცვას მოგვაგონებს. ანდერძით გვამცნო ავთანდილმა პლატონისგან სწავლა-თქმული: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა“. ამასვე გვაუწყებს სოლომონი: „საძაგელ უფლისა გულის სიტყვანი ცრუნი“. ასევე პეტრე მოციქული: „რამეთუ რომელსა ჰნებავს სიყვარული ცხოვრებისა და ხილვად დღენი კეთილისანი, დააცხრვენ ენაჲ თვისი ბოროტისაგან და ბაგენი მისნი ნუ იტყვედ ზაკვასა“.

ანდერძში ავთანდილი როსტევეან მეფეს შეახსენებს:

„ნაგიკითხავ, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?

ვით იტყვიან, ვით აქებენ? სცან, ცნობარი მიაფერენ.

„სიყვარული აგვამალვებს“, ვით ეუყვანნი ამას უღერენ“.

და, მართლაც, განა ქრისტემ არ ამცნო სჯულისმოდღვარს მეორე მცნებად: „შეიყვარო მოყვასი შენი?“ განა ამ სიტყვებით არ გაანდო ქრისტემ მონაფეებს მცნება თვისი: „იყვარებდეთ ურთიერთს. უფროსი სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისათვის“.

ეს და სხვა მრავალი დამთხვევა ვეფხისტყაოსანსა და წმინდა წერილს შორის მიუთითებს ქრისტიანული კულტურის უპირატეს მნიშვნელობაზე. ბიბლიასა და ვეფხისტყაოსანში აზრთა ერთობაზე მიგნებულია 177 პარალელი, ხოლო ოთხთავსა და ვეფხისტყაოსანში ათასზე მეტი საერთო სიტყვაა აღმოჩენილი. ეს ყოველივე ეჭვს აღარ ტოვებს იმისას, რომ ვეფხისტყაოსნის რელიგია ქრისტიანულ საძირკველზეა მტკიცედ დამყარებული.





ნუნუ კაყუაშვილი

სამაგალითო სასკოლო მუზეუმი

ბევრი საქებარი გვესმოდა თელავის VII საჯარო სკოლის მუზეუმის შესახებ და მოვისურვეთ, უფრო, ახლოს გავცნობოდით მას.

თელავის VII საჯარო სკოლა გაიხსნა 1978 წელს, 1 სექტემბერს. სკოლის დირექტორად დაინიშნა, — ლევან იაგორაშვილი.

2003 წელს, VII საშუალო სკოლის დაარსებიდან 25 წლისთავზე გაიხსნა სასკოლო მუზეუმი.

სასკოლო მუზეუმის მთავარი ორგანიზატორი და დამაარსებელია ღვანლმოსილი პედაგოგი ნელი პოპიაშვილი.

მან, დიდი ენთუზიაზმით, შეძლო, სკოლის დაარსებიდან 25 წლის მანძილზე, — მასალების შეგროვება, დაზუსტება, ფოტო-მასალით გამდიდრება.

სასკოლო იუბილზე მონვეული იყვნენ: განათლების მუშაკები, როგორც რაიონული, ასევე, სამხარეო ორგანიზაციებიდან, დაძმობილებული ლაგოდეხის პირველი საშუალო სკოლიდან — პედაგოგები, მოსწავლეები.

ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ თავის ღვანლის მიხედვით, ამ დღეს დაჯილდოვდნენ ის პედაგოგები, რომლებიც დაარსების დღიდან აქტიურად მოღვაწეობდნენ სკოლაში.

შედიხარ სასკოლო მუზეუმში და გაცნობა გიპყრობს:

„ვინა ვართ?“ — ამ სტენდიდან მოჩანან პედაგოგები, რომლებიც ახლაც მოღვაწეობენ სკოლაში და ენერგიას არ იმურებენ მომავალი თაობის, — საქართველოს იმედთან მშენებელთა აღზრდისათვის.

„ვინ ვიყავით?“ ამ სტენდის სურათებიდანაც ღვანლმოსილი პედაგოგები გვიცქერიან; ზოგი პედაგოგი, კვლავაც, მუხლჩაუხრელად აგრძელებს ამ საშვილიშვილო საქმეს, ზოგი კი, სამწუხაროდ, —

უკვე, ზეციურ საუფლოშია...

აქვე, — გამოფენილია: დიპლომები, სიგელები, მაღლობები, რომლებიც ამ სკოლის მასწავლებლებს მიუღიათ მთელი, თავისი, მუშაობის მანძილზე.

სტენდზე აღმართულია სიმბოლიკა: „ხე-სი-ცოცხლისა“ — მუხა, — სიძლიერის საილუსტრაციოდ, — მუხის ფოთლებად მოჩუქურთმებულია 33 ასო.

თავს იწონებს: პირველი ყვავილი, — ია — ბუტა-ფორია.

იქვე, — დედაენის წიგნის მაკეტია.

კედელს ამშვენებს ნახატი — პანო: „ოდა — დედაენას“, რომელიც თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრის მსახიობის კარლო ქართველიშვილის შესრულებულია.

მუზეუმში ნახავთ — სასკოლო მერხს, — თავისი კალმითა და სამელნით, — ეს პირველი მერხია, — სკოლის დაარსებიდან. იქვე — ზარია, რომელიც გაკვეთილების დაწყებამდამთავრებას ამცნობდა სკოლას.

მუზეუმში ნახავთ — სასკოლო მერხს, — თავისი კალმითა და სამელნით, — ეს პირველი მერხია, — სკოლის დაარსებიდან. იქვე — ზარია, რომელიც გაკვეთილების დაწყებამდამთავრებას ამცნობდა სკოლას.

კედელზე სათუთადაა წარმოდგენილი მოსწავლე გოგონასა და ვაჟის სასკოლო ფორმა; მათში გაზრდილი

გოგო-ბიჭები — უკვე, ჩვენს სათაყვანებელ დედულ-მამულში მოღვაწეობენ.

სტენდის შემდგომ სურათზე მოჩანს — სკოლის მუზეუმის გახსნის პირველი დღე, — პედაგოგთა პედაგოგის ვალერიან რამიშვილის სტუმრობა სკოლაში, რომელიც ესაუბრება სკოლის მოსწავლეებს. სურათზე მოჩანან სხვა საპატიო სტუმრებიც.

ფოტოილუსტრაციაზე გამოსახულია აგრეთვე — ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულება. ეს ფოტო-მასალა ბევრ შთაბეჭდილებას ინახავს,



ნელი პოპიაშვილი (მარცხნივ), სასკოლო მუზეუმის დამაარსებელი და ხელმძღვანელი და სკოლის დირექტორი მაია სილაგაძე (მარჯვნივ). მოსწავლეები სასკოლო მუზეუმის დათვალიერებისას. 2017 წელი.





მარცხნიდან: მაშინდელი განათლების განყოფილების გამგე — ლია მუმლაური, სკოლის ყოფილი დირექტორი — ლევან იაგორაშვილი და ნელი ხეჩოშვილი — სასწავლო ნაწილი. 2003 წელი.

სიხარულს, ალტაცებას, სამშობლოს სიყვარულს, იგი, — ფუძე-საძირკველია პატრიოტიზმის და-სამკვიდრებლად. ამ სტენდს ამშვენებს მრავლისმეტყველი წარწერა: „მხოლოდ, — წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა და თავისი ვინაობა“.

საინტერესოა სურათი: „ჯოკონდა, — II-ბ კლასიდან“. ეს დიდი ფოტოხელოვანის, თელავში მოღვაწე, — ალექსანდრე ბროდსკის გადაღებული სურათია. ამ ფოტომ, თურმე, მსოფლიო პრესა მოიარა!

მუზეუმის კედელზე მოჩანს პლაკატი: „არა — ომს!“

რუბრიკით: „როცა დედები სამსახურში არიან“, გვამცნობს გახანგრძლივებული სწავლების შესახებ.

რუბრიკით: „ხამს სტუმარი — სასურველი, მასპინძელი მხიარული“ — არის ფოტო-მასალა, რომელიც მოგვითხრობს სახელგანთქმული ქორეოგრაფების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის სტუმრობას: შრომისა და ომის ვეტერანებთან, თელავის თეატრის მსახიობებთან, ასევე ვალერიან რამიშვილის, — დედაენის პროგრამის შემდგენლის — სტუმრობას.

მუზეუმის დარბაზს ამშვენებს ყოფილ მოსწავლეთა ნამუშევრები: „თიხის ქოთანია“, — ავტორი დიმიტრი ორკოდაშვილი და მაკეტი: „კახური ეზო“, — თორნიკე რაზმაძის ნახელავი.

დარბაზის ჭაღებზე გამოყენებულია „აბაჟურები“ — ანუ — შუქფარები — მოსწავლე გოგონების მიერ ყაისნალით მოქსოვილი.

მუზეუმი თავს იწონებს თაობათა მიერ მოპოვებული მადლობის ბარათებით, სიგელებით. თითოეულში, ხომ, დიდი შრომა-გარჯა და გამარჯვების სიხარულია ჩაქსოვილი.

მუსიკოს ჯონდო ზაალიშვილის ხელმძღვანელობით სკოლაში ფრთებს ისხამდა — ხალხური საკრავებისა და სიმღერის გუნდი, რომელიც კონცერტებს მართავდა გასტროლებზე.

არის, სხვადასხვა წლების, კარნავლების ამსახველი ფოტოები და — „რა, სად, როდის“, — გუნდების შეხვედრების ქრონიკა, სადაც ერთ-ერთი მონაწილე — თელავისთვის და, არა მარტო, თელავისთვის,

ვის, ცნობილი — თომა ჩაგელიშვილია. თომა — ისტორიკოსი და ჟურნალისტი, მრავალი დოკუმენტური ფილმის ავტორი.

რუბრიკით: „ჩვენ — პატარა პალიტრა და ას-პარეზი გვჭირდება, — ცარგვალივით ვარსკვლავებს რომ იტევს“, — არის მონოდება სწავლისაკენ — ფოტომასალით. „ინამე ყრმამო! დღეს, თუ, არა, ხვალ იქნება, ან — ზეგ...“, ოლონდაც, წინსვლის რწმენა ნუ ჩაგიტრება“.

შემდეგ, სპორტული გამარჯვების სტენდია, — აქ, უხვად არის გამოფენილი ჯილდოები — სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში: თასები, მედლები, ვიმპელები, სიგელები.

აქვეა — სეულის ოლიმპიადაზე საქართველოს დელეგაციის წინამძღოლის გიორგი წმინდაშვილის ფოტო, რომელიც მონაწილეობდა ოლიმპიადაზე, როგორც — მოჭიდავე.

ყოფილი, გამორჩეული მოსწავლეების, შესახებ სკოლას მიღებული აქვს, არაერთი, სამადლობელი წერილი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლიდან.

ცალკე სტენდი — იმ მოსწავლეებისა, ვინც ოქროსა და ვერცხლის მედლით დაასრულა სკოლა.

არის სევედიანი გვერდიც, — წარწერით: „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ ამ ფოტო-მასალაზე წარმოდგენილია სურათები, რომელიც ასახავს VII სკოლის პედაგოგ ქალთა მიერ წარმოდგენილ სპექტაკლს, — „საქართველო, შენ, ვინ მოგცა შვილი, — დასაკარგავი“, რომელიც ფართო საზოგადოებას აჩვენეს, — 9 აპრილთან დაკავშირებით.

სამწუხაროა, მაგრამ აქ მოსაგონარია გარდაცვლილ მოსწავლეებელთა და მოსწავლეთა შესახებ.

შემდეგი სტენდი გოდერძი ჩოხელის იუბილეს გვამცნობს.

არის სურათები, რომელიც ასახავს: ადრეული წლების სხვადასხვა დემონსტრაციებს, სადაც მონაწილეობას იღებდნენ VII სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები.

რუბრიკით: „მარადიული, მხოლოდ, ის არის, რომ ყველაფერი ცვალებადია“. ილუსტრირებულია ქვეყნის ცხოვრების წესი, ეკონომიკა და ფული, იცვლებოდა დროშა, გერბი და სახელმწიფო ჰიმნი. წარმოდგენილია ყველა ჰიმნის ტექსტი — რამდენიც კი ჰქონია საქართველოს 1918 წლიდან, ასევე, ფულადი ნიშნები, თუ, როგორ მოვედით ქართულ ლარამდე.

სადღეისოდ, სკოლას ჰყავს სიმღერის გუნდი (ხელმძღვანელი მაია შალიკაშვილი), რომელმაც ბოლო წლებში მოიპოვა 5 ოქროს მედალი სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

დღევანდელ, VII საჯარო სკოლას მაია სილაგაძე ხელმძღვანელობს და სკოლას აქვს, არაერთი, წარმატება სასკოლო ცხოვრებაში. — ორი წელია, რაც სკოლის დირექტორი ვარ, — გვესაუბრება ქალბატონი მაია, — ყველა სიახლე და მასალა მუზეუმში გადა-



დის, რომ შეივსოს და გამდიდრდეს. ქალბატონი ნელი პოპიაშვილი დაულაღვად მუშაობდა და, დღესაც, ასევე, ერთუხიაზმით აგრძელებს მუშაობას: თუ ვინმეს სკოლაში უსწავლია და... თუ, რამე წარმატებები ჰქონია, ან, თუ, რამე ღონისძიება ჩატარებულა, — ახალი ფოტო-მასალით ავსებს“.

სკოლაში მოქმედებს არაერთი კლუბი, მათ შორის — „ეკო-კლუბი“, რომლის მოწვევითაც ისრაელიდან სტუმრობდნენ დამეგობრებული სკოლის დირექტორი და მოსწავლეები. ჩვენთან და ილიას სახელობის უნივერსიტეტში მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო კონფერენციაში, როგორც ამ სკოლის მოსწავლეებმა, ასევე — სტუმრებმა, — ისრაელიდან.

2016 წლის თელავის ეტალონი გახდა თელავის VII საჯარო სკოლის მე-12-ე კლასის მოსწავლე — რატი გალახვარიძე, ხოლო, სასკოლო გუნდმა, თელავის სახელით, რესპუბლიკურ კონკურსში: „ინტელექტის დღე“ მიიღო მონაწილეობა. ეს მცირე ჩამონათვალა, — სასკოლო ცხოვრების წარმატებებიდან.

მაგიდაზე დევს: 3 ისტორიული ჟურნალი, — I — ჟამთააღმწერელი, — რომელსაც წერს სასკოლო მუზეუმის დამაარსებელი, ნელი პოპიაშვილი. „2003 წლიდან — დღემდე — სკოლის ისტორია“. II — ჟურნალი, — რომელშიც ასახულია: 1981 წლის I — გამომშვებიდან, დღემდე, — ამ სკოლის კურსდამთავრებულთა სიები, — მათი გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, შექმნილი პროფესიების აღნიშვნით და, ვინ, როგორ, ემსახურება თავის ქვეყანას.

III — ჟურნალი, — მიმართვა: „ჩვენს მომავალ თაობას“; ეს მიმართვა დაწერილია 2003 წელს:

„ჩვენ წილად გვხვდა პატივი, რომ თელავის VII საშუალო სკოლის პირველი 25 წელი ერთად გვემუშავა, შეგვექმნა, ეს ისტორია, — სასკოლო მუზეუმის სახით და... მოვიტანეთ თქვენამდე.

აი, მთავარი დევიზიც:

„ეს კედლები იტევს, 1978 წლიდან, დღემდე, თქვენი თანატოლების, პედაგოგების ნაშრომს და ნაღვანს, გაუფრთხილდით მას, მოუარეთ და შემატეთ თქვენი სასახელო წარმატებების არაერთი ფურცელი“.

სკოლაში, იცვლებიან პედაგოგები, მაგრამ უმტკივნეულოდ მიმდინარეობს თაობათა ცვლა. ისე, როგორც მოხდა — პედაგოგ ნათელა დეკანოზიშვილის მაგალითით... აი, ამონარიდი — მისი წერილიდან, — სკოლის მიმართ:

„სკოლა უდიდესი სიყვარულია ჩემი და ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობაც, ამიტომ, თვალი უნდა გავუსწოროთ რეალობას, საჭიროა, ჩვენ, ასაკოვანი პედაგოგები, უფრო ახალგაზრდა, ენერგიით სავსე პედაგოგებმა შეგვცვალონ. ძალიან მიჭირს დავთმო სკოლა, ჩვენი პედაგოგიური კოლექტივი, მაგრამ საქმის უკეთესობა მოითხოვს ამას და უდიდესი სიყვარულით გემშვიდობებით“.

სასკოლო მუზეუმის შთაბეჭდილების წიგნში უამრავი ჩანაწერია — კმაყოფილების გამომხატველი, — მათ შორის, საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორ ჩანაწერს:

„ქალაქ თელავის VII საჯარო სკოლის სასკოლო მუზეუმმა ჩემში დიდებული შთაბეჭდილება დატოვა; მსგავსი სასკოლო მუზეუმი არ მინახავს. გრიგოლ ორბელიანის თქმისა არ იყოს, „შაბაშ!“...“

ზარნა რაინა
მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე

„თელავის VII სკოლის სასკოლო მუზეუმი არის საოცრება; აქ, ასახულია — მთელი ისტორია! მიხარია, რომ დღეს თქვენი სტუმარი ვარ.

ზინა სოლომონიშვილი
პოეტი

„მართლაც, — სამაგალითოა ეს, სასკოლო მუზეუმი, — სამაგალითო!.. სიხარული, სიკეთე და წარმატებები ყოფილიყოს თქვენი მეგზური... მრავალჟამიერ!“

ნუნუ კამუკაშვილი
მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელი

P.S. სასკოლო მუზეუმის შესახებ მომზადებული გადაცემა 2016 წლის მაისის თვეში გავიდა ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში. გადაცემა ინახება სასკოლო მუზეუმში.



სასკოლო მუზეუმის დამაარსებელი — ნელი პოპიაშვილი და სტუმარი განათლების სამინისტროდან. 2003 წელი.



**„და პაპის ხელეზს დავყურებ კრძალვით,
ვით საქართველოს პირვანდელ რუკას“**



29 მაისს, რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში, სრულიად საქართველოს ელიტარულმა საზოგადოებამ დიდი სითბოთი და სიყვარულით აღნიშნა თემურ ჩალაბაშვილის 65 წლის იუბილე, გაიმართა შემოქმედებითი საღამო. პოეტი ხელდამშვენებული შეხვდა საიუბილეო თარიღს და მსმენელს თავისი ახალი წიგნი „ატირეთ წვიმები“ წარუდგინა. ეს წიგნი მან მიუძღვნა ძვირფასი მშობლების, რუსუდან ღვედაშვილისა და ბეჟან ჩალაბაშვილის ხსოვნას.

წიგნი გამოიცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. შესავალში ვკითხულობთ: **თემურ ჩალაბაშვილი ჩვენი დროის გამორჩეული შემოქმედი, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით გაჯერებული მისი პოეზია სულ სხვა ელფერს ატარებს. მისი ტკივილი და სიხარული სხვისი ტკივილი და სიხარულიცაა, ეს გრძნობა ისეთი სიღრმითა და გულწრფელობით ეძლევა მკითხველს, რომ ადამიანი ამ განცდის თანაზიარი მაშინვე ხდება.**

სიცრუით სავსე ჩვენს დროში ამის მიღწევა ადვილი არ არის.

ღმერთმა დალოცოს ბატონი თემური და დიდხანს ამსახუროს სიტყვას, ღმერთს და ჩვენს ქვეყანას.

**ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.
ქ. თბილისი, 20 მაისი, 2017 წელი.**

არაერთი ცნობილი ადამიანის საიუბილეო თუ შემოქმედებით საღამოს დავსწრებივარ, მაგრამ ამდენი ხალხი, სიყვარულით და სითბოთი გაჯერებული საღამო მე არ მინახავს. ერთ მუშტად შეკრულ სცენას და დარბაზს ერთი რამ გვაერთიანებდა, პოეტის მონოლოგი:

„კარგად ვიცი, ვინცა ვარ,
თუ ვინმეა მეცა ვარ,
როცა ვტირი, მინა ვარ,
გავიცინებ — ზეცა ვარ.
როგორც ბევრი ამქვეყნად,
მოვსულვარ და ქექ ნავალ...“
მოდით, საიუბილეო საღამოს მსვლელობას თა-



თემურ ჩალაბაშვილი

ნამიმდევრულად მივყევთ: ჩაბნელებულ სცენაზე სპეციალურ სამოსში გამოწყობილი გამოვიდა ბატონი თემური — ქართული სინდისი და ნამუსი და შანდალზე სანთელი აანთო. შემოქმედებითი საღამო თემურ ნიკლაურმა გახსნა — თემურ მჭავიას სიმღერით „ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებელო!“ და დასძინა: — თემურ ჩალაბაშვილმა, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ეს ლექსი 15 წლის წინ მე მომიძღვნა და ახლა უკან ვუბრუნებო.

საღამო მიჰყავდათ ცნობილ მსახიობებს: უმშვენიერეს ცისია მეტრეველს და გია ჯაფარიძეს.

პოეტმა თავისი ახალი ლექსები მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით წაიკითხა.

საიუბილეო საღამოს განსაკუთრებული სიბლი შემატა, ცნობილი ანსამბლების და მომღერლების მიერ შესრულებულმა, პოეტის ლექსებზე შექმნილმა მაცაცო სებისკვერაძის, მარიკა კვალიაშვილის, ვაჟა აზარაშვილის სიმღერებმა...

ქართული ქალაქური სიმღერების პოპული შეასრულეს ტრიო „კელაპტარმა“, ფოლკლორულმა ანსამბლმა „ალილომ“. გიორგი უშიკიშვილის საბავშვო ანსამბლი

მოეფერა ბატონ თემურს, ხოლო სიმღერებით თავი დაგვამახსოვრეს მიხეილ ზაქარეიშვილმა, ნოდინო ტატიშვილმა, სოფო გელოვანმა, რამინ მიქაბერიძემ. დიდი მოწონება ხვდა წილად ფოლკლორულ ანსამბლ „კესანეს“ და მის შეუდარებელ ხელმძღვანელს ლელა თათარაიძეს, შემდეგ კი სცენა დაეთმო „ეგ არის“ და მათი საოცარი მუსიკის ჰანგებს. მუსიკამ იუბილარი პოეტი ააცეკვა.

პოეტს მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი და „კულტურის რაინდის“ ნოდების სიგელი გადასცა და დასძინა: ქართული კულტურის რაინდის ნოდება მინიჭებული აქვთ ჭაბუა ამირეჯიბს, ოტია იოსელიანს, ჯანსუღ ჩარკვიანს, ომარ მხეიძეს, თენგიზ ურთმელიძეს, რეზო ჩხეიძეს, გივი თოიძეს, პაატა ბურჭულაძეს, ლადო ათანელს და სხვებს — სულ ოც ადამიანს. მანვე საჩუქრად გადასცა ქეთი მატაბელის ნახატი „ავთანდილი“.

პოეტის ლექსები წაიკითხა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა გია ბურჯანაძემ.

საინტერესო იყო თემურ ქორიძის გამოსვლა — „შენ ისე მოხდენილად ატარებ 65 წელს, ყველა ინატრებდა თქვენს ასაკსო“ — ასე მიმართა მან პოეტს.



პოეტს მიესალმნენ კოლეგები: მზია ხეთაგური, ტარიელ ხარხელაური. ეთერ ფაცურია პოეტს ლექსი უძღვნა.


გიორგი უშიკიშვილმა თავის ანსამბლთან ერთად შეასრულა „გადი-გამოდი, გუთანო“ და „წინწყარო“. მათთან ერთად იმღერა თემურ ჩალაბაშვილმაც.

შემოქმედებითი საღამოს დასასრულს პოეტს მიესალმა თბილისის საკრებულოს წევრი გულიკო ზუმბაძე და საპატრიარქოსთან არსებულ ჩოხოსანთა საზოგადოება, რომლის საპატიო წევრიც გახლავთ იუბილარი პოეტი.

ღონისძიების ორგანიზატორმა ციცი ერისთავმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა თბილისის მერიას, საკრებულოს, რუსთაველის თეატრის დირექტორს გია თევზაძეს; საღამოზე გამომსვლელ ფოლკლორულ ანსამბლებს, მოსულ საზოგადოებას და ყველას, ვინც ამ საიუბილეო საღამოს მოწყობაში მიიღო მონაწილეობა. საიუბილეო საღამო დასრულდა ფოიერვერკით.

ღონისძიების დასასრულს კომენტარი ვთხოვეთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელს ლაშა ჟვანიას: „თემურ ჩალაბაშვილის საღამო იყო ისეთი სადა, როგორც თავად თემურია. მისი თითოეული ლექსის სტრიქონი სალბუნად ედება მკითხველის გულს“.


„რაც კი ლექსად მიწერია,
ყველა ჩემი ნარიტმია,
მახრჩობს სულის მისტერია,




მტანჯავს გულის არითმია...
შენ ერთადერთს — მამულს ნუ მთხოვ,
დანარჩენი — დამითმია!..“

ომარ მხეიძე — საუკუნის მოცეკვავე, სახალხო არტისტი — „ხალხს ძალიან მოენატრა ასეთი შემოქმედებითი საღამოები, ეროვნული სული ტრიალებდა... მიუხედავად იმისა, რომ საღამო დიდხანს გაგრძელდა, მაყურებელი კი არ მოდუნდა, პირიქით, ყველას მზერაში სიხარულის ნაპერწკალი კიაფობდა...“

ნანა ჭიჭინაძე



მეხსიერების სკივრიდან



ჩვენს ხელთაა — პოეტ მარიამ კოზმანიშვილის მიერ შედგენილი წიგნი „Facebook-ის სკივრიდან“, ანუ, „მეხსიერების სკივრიდან“.

ამ სათაურსვე გადაყვართ წარსულში, — ჩვენს დედებს, ბებიებს თუ, მათ წინაპრებს შემონახული ჰქონდათ ოჯახში — სკივრი, სადაც სათუთად იყო შენახული, მათი ქორწინების ტანისამოსი, ძვირფასი რელიქვიები და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი სულმნათი შოთას „ვეფხისტყაოსანიც“.

მეგობრობა, ხომ, შოთა რუსთველმა — აასხივოსნა, ასტყორცნა მზემდე.

ამ კრებულის გამოსვლის მიზანიც მეგობრობაა, — ერთიმეორის თანადგომა, სიკეთე, გამხნევება, სიხარულის, თუ, სევდის გაზიარება.

წიგნის გარეკანი დადებითად განგვანყოფს, — კრებულის ავტორებისადმი. სურათებიდან იცქირებიან ალალ-მართალი ადამიანები, ვისაც სურვილი ჰქონდა თავისი გულისთქმა — ამ, მეხსიერების სკივრისთვის გაენდო. მისდევ ფურცლებს და მოგზაურობ მათთან ერთად, — მათი ფიქრის, ლამაზი ოცნებების თანამონაწილე ხდები. ეს ის ალალი ნაფიქრია, რომელიც, წლების მანძილზე დაატარებდნენ ისინი გულის სიღრმეში, და, აი, კრებულიც სახეზეა.

აი, ამიტომ, გაისარჯა — მარინა კოზმანიშვილი. ზოგი ავტორის შემოქმედებას მწერლური ენაც გასდევს, ზოგსაც, როგორც მოუხერხებია, ისე გადმოუცია და, რაც მთავარია, ეს ყველასთვის ძვირფა-

სი საჩუქარია და, ალბათ, მათთვის სამაგიდო წიგნიც იქნება, როგორც, ნიშნად, მათი მეგობრობისა და თავიანთი ნატვრის შესრულებისა...

ისინი წერენ სამშობლოს სიყვარულზე, მის სათუთ ბუნებაზე, ოჯახზე, სიყვარულზე, შვილებზე, ნანახ თუ განცდილ შთაბეჭდილებებზე, ცხოვრების პრობლემებზე...

წინასიტყვაობაში მარიამ კოზმანიშვილი აღნიშნავს — „ეს არ გახლავთ მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა ერთობლიობა, წიგნის მიზანია შემოუნახოს მომავალ თაობას სხვადასხვა სოციალური ფენის, განათლების, მისწრაფებების და საქმიანობის ადამიანების ნააზრევი, ყოველდღიური ჩანაწერები, რომელთა დანიშნულებაც სოციალურ სივრცეში მარტივია: დაამყაროს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან, გაუზიარონ მათ საკუთარი შთაბეჭდილებები, სევდა თუ, სიხარული.“

კრებულში წარმოდგენილი ავტორები ჩემი ვირტუალური მეგობრები არიან.

მათი ჩანაწერების ანუ „სტატუსების“ უმრავლესობა დასავინყებლადაა განწირული, ვინაიდან ინტერნეტის უძირო სკივრში ჩაძირულნი შესაძლოა ზედაპირზე აღარც ამოტივტივდნენ, თუ ვინმემ საგანგებოდ არ მოიძია.

ეს კეთილი წიგნი ხელს შეუწყობს ვირტუალური სივრცის ბინადართა დაახლოებას.

ჩემი, როგორც წიგნის პროექტის ავტორისა და რედაქტორის მიზანი ავტორებისათვის სიხარულის მინიჭება გახლავთ“.

თითოეული ავტორის შემოქმედება, თავისებურად საინტერესოა. სურვილი გვაქვს, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდანაც გაგაცნოთ, მაგრამ, მთლიანად, ეს, თითქმის, შეუძლებელია.

და... მაინც, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამოდენიმე ავტორს:

თეო მონასარიძე

როგორ მინდოდა, როგორ ძალიან მინდოდა ჩემი მამაოს ქადაგება მთელ სამყაროს მოსმინა...

თუ რას ნიშნავს ნამდვილი პატიება და შენდობა...

რაც უფრო გადის დრო, ერთ რამეს ვხვდები: ყველაზე მთავარი, რაც ადამიანს სიცოცხლეს აყვარებს და ბედნიერს ხდის, სიკეთის დანახვა და მისი მიღება... მერე ამ სიკეთისგან სიყვარულის გაბეგრება და გულის კარის გახსნა ახალ-ახალი სიხარულებისათვის...

დიდი მადლობა იმისათვის, რომ თქვენს პატარ-პატარა „მზეებს“ მჩუქნით და ჩემს სამყაროს ანათებთ და ათბობთ!

უყვარხართ თეოს იმაზე მეტად, ვიდრე ეს თქვენ გგონიათ...



დილა მშვიდობისა საქართველო!
მშვიდობა და სიხარული შენ — დედალვთისმშობლის, წმინდა მარიაამის ნილხვედრო და ნაპატრონებელო!!!

ჩვენ, თვითეული ქართველი „ჯაჭვის პერანგად შემოგექსოვებით“ ტანზე და გვერქმევა სიმტკიცე, სიყვარული, სიძლიერე, ერთიანობა და ჩვენს სიცოცხლეს, მხოლოდ შენი კეთილდღეობისთვის ღვთით ბოძებულს, მენამულისფერ დროშებად ავაფრიალებთ შენს ერთგულებად, სულით ხორცამდე პატრიოტები და ისევ ერთად დავაგუგუნებთ სამშობლოს, ერთიანი საქართველოს სადიდებელ ჰიმნს და ბანს მოგვეცემენ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ერთგულების, სიყვარულის, მონატრების და ერთად ყოფნის, გამთლიანების სურვილით, სანთლებად და ლოცვად აბრიალებული შენი შვილები!!!

გეფერები ჩემო საქართველო!!!
სულ ერთ მუჭა გულში მთლიანად მიზიხარ და გეფერები...

გეფერები ჩემო დაღლილო, ნანამებო, არდაჩოქილო, დედალვთისმშობლის კალთით სანანავებელო...

გეფერები, დილა მშვიდობისა ჩემო საქართველო!!!

წერეთ ლექსები სიყვარულზე. შექმენით მუსიკა სიყვარულზე. ფერწერული ტილოები აავსეთ მზის ფერით. ბავშვებს ასწავლეთ საქართველოს ისტორია. შვილები აღზარდეთ ქრისტიანულად. ოჯახებში გააძლიერეთ პატრიოტული სულისკვეთება!!!

ნურასოდეს დაგავინწყდებათ: — ქართული ანბანი, მშობლის პატივისცემა, დედის ამაგის დაფასება, მეგობარი ჭირში რომ გამოიცდება, სტუმარი რომ ძვირფასი და პატივსაცემია. ქართული პურის გემო, ლოცვის ძალა, სანთლის მადლი და ის, რომ ტაძართან მხოლოდ სიყვარულით ნაკეთები საქმეები მიგიყვანთ სათნოების ნაბიჯებით...

ნუ დაგავინწყდებათ, რომ არ გვაქვს გასასხვისებელი სამშობლო, რომ მცველები უნდა ვიყოთ ეროვნული საგანძურის, ისტორიული ძეგლების, უდიდესი ლიტერატურული მემკვიდრეობის, თითოეული გოჯი მიწის, რომელიც წმინდა მარიაამის ნილხვედრია, და თუ გვინდა თამამად ჩაეხედოთ დედალვთისმშობელს თვალებში... ნურავის მივცემთ უფლებას უდიერად შეეხოს მის წმინდა კალთას!!!

ნუ დაგავინწყდებათ რომ ქ-ა-რ-თ-ვ-ე-ლ-ო-ბ-ა უდიდესი მადლი და საჩუქარია უფლისგან!!!

სოფო ღორთქიფანიკა

ისე არაფერი გვამცნობს გაზაფხულის მობრძანებას, როგორც დედამიწის მადლიან მკერდზე ერთ ღამეში დაბადებული ციციქნა და ლურჯთვალა ია, სასუფევლის სურნელება რომ ასდის და გაოცებული ჩვილის თვალებით იხედება...

მკრთალი ნათებით

მზე გადმოველო მაღალ ლაყვარდებს, მთაზე აენტო და ვით ნახირი შეეფინა სხივთა ჩქერი ტყისპირს მოლივლივე ფერთა ბუბუნით. სავსე სივრცეში უხმო შრიალით მინას ეპკურა დიდი ნათელი, მზის სხივის ხვატი მოედო გარემოს. ღმერთის ნათელი ცრემლი იღვრება ხნულში და წყალში.

სხივთა ჩქერებით გადაფოთილ ცაზე თეთრ ღრუბლებში რაინდული სიდარბაისლით დააბიჯებენ ოცნებები. მანათობლის თმები შეეხო გახშირებულ გულისთქმას, მკერდსველი მინა ველარ მიოკებს დაუოკებელ ლტოლვას და ფიქრს. თავს დამტრიალებს ფიქრების თავნება ქარი, მოგონებების მწვანე კოცონიდან და ჯავრის ტრიალ მინდორზე ძლივს მობორძიკობს ჩემი მოხრილი ლანდი ღორღიან გზების ვინრო აღმართს შემდგარი.

პეტრა კოლხი

შიშის ქვეშ მოკანკალე სული ვერასოდეს იპოვის თავისუფლებას. თავისუფლების გარეშე კი ღმერთს ვერ მივაგნებთ.

ჩემი ღმერთი არ მიკრძალავს სანაპიროდან მზის ყურებით ვიხარო, წვიმაში ხელებგაშლილმა ვიყვირო, რომ მიყვარხარ, ვუყურო თოლიას და ფრთებზე ვიოცნებო, ცაში ვარსკვლავები დავითვალო და პატარა უფლისწულის ასტეროიდი ამოვიცნო, ქალაღდისგან ნავი გავაკეთო და დინებას გავატანო, გავიღიმო, ბედნიერი ვიყო, მთვარის შუქზე ლექსები ვიკითხო, როცა გულით მინდა, მაშინ ვილოცო...

ბევრი ვიმოგზაურო და როცა მინდა ჩუმად ვიტყვი... ჩემი ღმერთი ძალიან, ძალიან კეთილია.

როი აბუსელიკა

თოვლი ყველაზე სუფთა და აქტიური სტიმიულატორია, რომელიც სიკეთეზე გვალაპარაკებს, სიყვარულზე გვალაპარაკებს და გვალაპარაკებს უბრალოდ...

ეს ჩემი სიტყვაც თოვას!
ბევრი თოვლი და სინმინდე!
თოვა მშვიდობისა!

თორნიკე ნაროზაული

ჩვენ შეგვიძლია, მსოფლიო თუ არა, ქვეყანა თუ არა, ქალაქი თუ არა, სოფელი თუ არა, უბანი თუ არა, ოჯახი თუ არა, საკუთარი თავი მაინც გავხადოთ ერთი-ორად უკეთესი და ეს იქნება მცირე დასაწყისი დიდი საქმეებისა.

შენი სიყვარული გადამდებია.



მარიამ კომანიშვილი

ჩემი სიცოცხლის კიდევ ერთ წელს დამოკლებულ კაბასავით დაკეცავს აპრილი და ატმის ყვავილებით, მოქარგულ სკივრში საგულდაგულოდ გადაინახავს. გაზაფხული ახალგაზრდობას მპარავს დიდი ხანია.

მე კი ისევ ძველებური გაგიჟებით მიყვარს მისი მობრძანება.

იასამნის სურნელით გაბრუებულ ჰაერს თვალდახუჭული ვიგროვებ ზამთრის უფერადობით დაღლილ სულში და მავინყდება დარდი გაფრენილ წლებზე.

მიყვარს გაზაფხული! მიყვარს აპრილი! მიყვარს სიცოცხლე!

მაღე აპრილი შემოაღებს დაგმანულ ფანჯრებს!

ლიკა სალაყაია

როცა გიყვარს?!. ოოოოო, როცა გიყვარს...

გგონია, რომ სულმოუთქმელად ერთ სადღე-გრძელოში გამოსცლი არაგვს...

არწივივით გაშლი ფრთებს და ზემოდან დახედავ მთას, როცა გიყვარს?!

.....

როცა გიყვარს... როცა... როცააააა, ლოცვის დაწყების წინ უფალს ჯერ შენს კი არა, მის თავს აბარებ...

.....

როცა გიყვარს, გგონია, რომ მანამდე არც გიცხოვრია ვიდრე ის არ გყავდა და სუნთქვა გეკვრის ყველა იმ კარის მიხურვისას, როდესაც შინიდან აცილებ...

როცა გიყვარს ერთი სიტყვა, ერთი ყლორტი, ყვავილი, ერთი გაზაფხულის წვიმა მთაში და ერთი თავის დადება მის მხარზე გირჩევია ყველაზე ძვირადღირებულ ფუფუნების საგნებს...

ნელი კავკასიელი

ყვავილცვენაა პოეზიის სულით გამთბარი ადამიანების გულში.

პოეზია, გრძნობაში იისფერ კვირტებად ფეთქავს და საამურად იშლება.

სულში მღელვარე, დაუდგრომელი ტალღებად ბობოქრობს და ეხეთქება ნაპირებს.

ნაზ სიოდ უბერავს და რითმებს დალალებს უშლის — უსწორებს.

სერებზე საამოდ გადაჰფენს და სალამურივით აკვენსებს მის ბგერებს.

წვიმასავით თავსხმად ატყდება და აბობოქრებს. მზის სხივებივით ფოთლებიდან გრძნობაში უეცრად იჭყიტება. მდინარესავით მშვიდი დინებით მიდის და მიდუდუნებს, ყურს არავის უგდება.

მერცხლის ჭიკჭიკია, ბულბულების ენაა — საამურად მოსალბუნე. მთის სურნელია მონაბერი, ყელზე რომ გეხვევა და აღარ გეხსნება. თეთრი ფანტელებია, მკერდზე რომ გაცვივა და გათბობს. პოეზია მარადიული სულის საზრდოა, უშრეტი წყაროა.

წყარო რომელსაც ესწრაფვი. სვამ და ვერ აშრობ — ვერ ნაყრდები.

ეს ლამაზი და შინაარსიანი წიგნი საინტერესო საკითხავია, ზოგი ავტორის შემოქმედებას ახლავს ლალი იუმორიც.

და მართლაც ძვირფასი საჩუქარია ეს წიგნი, — როგორც ავტორებისთვის, ისე ფართო მკითხველისთვის.


როგორც მარიამ კომანიშვილი აცხადებს წინასიტყვაობაში, „ვფიქრობ, უახლოეს მომავალში, კეთილი ადამიანების თანადგომით შევძლებთ მეორე წიგნის გამოცემას“.

რასაკვირველია ყოველივე კარგს, — ჩვენც მივესალმებით და დღეს კი გილოცავთ ამ ორიგინალური წიგნის გამოცემას.

ნუნუ ქაბუკაშვილი

მხატვარი

ნათელა (ნათია) შალამაგარიძე




მხატვარი ნათელა (ნათია) შალამბერიძე



ნათელა (ნათია) შალამბერიძე დაიბადა 1991 წელს ქალაქ თელავში. 2006 წელს დაამთავრა თელავის სამხატვრო სკოლა, 2015 წელს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიზაინის ფაკულტეტი.

ნათელა შალამბერიძის ილუსტრაციებით გამოიცა ორი საბავშვო წიგნი. გთავაზობთ წუნუ ძამუკაშვილის საბავშვო ლექსების ილუსტრაციებს.



ISSN 1512-3995



15123995